

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

## ბექა მაკარაძე

„თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების  
ურთიერთობები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში (2002-2020 წწ.)“

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

**რევაზ დიასამიძე**

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა  
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

**გიორგი სანიკიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ბათუმი - 2022

## გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

09. 03. 2022

ბ. მაკარაძე

## ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

შესავალი .....	4
თავი I. „ცივი ომის“ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების მოკლე ისტორიული მიმოხილვა ---	19
თავი II. თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში .....	34
თავი III. თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები 2002-2020 წლებში .....	47
3.1. თურქეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების პოლიტიკური იდეოლოგიები თანამედროვე ეტაპზე .....	47
3.2. თურქეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების გაუარესების მიზეზები 2002-2020 წლებში .....	68
თავი IV. თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საკითხები „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდიდან XXI საუკუნის 20-იან წლამდე .....	77
4.1. თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკა „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში .....	77
4.2. თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები და სომხებთან დაკავშირებული საკითხი .....	84
4.3. თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები და ისრაელის საკითხი .....	89
4.4. თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები და ირანის საკითხი .....	92
4.5. ქურთების საკითხი თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებში .....	93
4.6. თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები და რუსეთის საკითხი .....	106
4.7. თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე და საქართველო დასკვნითი დებულებები .....	118
124	124
გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია .....	136

## შესავალი

საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალურობა. XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში თურქეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობამ საერთაშორისო საზოგადოების სერიოზული ყურადღება მიიპყრო.

ტერმინი - „ცივი ომი“, გამოხატავდა XX ს-ის მეორე ნახევრის მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითად შინაარსს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან ამ საუკუნის 90-იან წლებამდე. ამ ტერმინით აღინიშნებოდა მწვავე პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირება ორ სისტემას - აშშ-სა და დასავლეთის სხვა წამყვან სახელმწიფოებსა და ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მის მომხრეებს შორის. 1945 წელს, ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, სსრ კავშირი და აშშ წარმოადგენენ მსოფლიოს ორ ზესახელმწიფოს.

„ცივი ომის“ პერიოდში აშშ-მა შეძლო გამხდარიყო დასავლეთის სამყაროს, დასავლური ცივილიზაციისა და დემოკრატიულ ღირებულებათა გადამრჩენი. ამასთან ერთად ცხადი გახდა, რომ აშშ ცდილობდა მთელ არაკომუნისტურ სამყაროში ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენის მოპოვებას.

„ცივი ომის“ მიზეზებისა და შინაარსის შესახებ არსებობს სამი განსხვავებული შეხედულება. პირველის მიხედვით, რომელიც დასავლეთის სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში იყო მიღებული, „ცივი ომის“ დაწყებაში მთავარი დამნაშავე იყო საბჭოთა კავშირი და მისი კომუნისტური რეჟიმი, რომელმაც მიზნად დაისახა მთელი მსოფლიოს „გაწითლება“, აშშ კი იძულებული გახდა წინ აღდგომოდა საბჭოთა ექსპანსიონიზმის საფრთხეს და გადაერჩინა დასავლური ფასეულობანი; მეორე (საბჭოური) შეხედულებით „ცივი ომი“ გამოიწვია აშშ-ის მისწრაფებამ მსოფლიო ბატონობისაკენ და კომუნიზმის განადგურების განზრახვამ; მესამე შეხედულებით კი გერმანიის განადგურებამ წარმოშვა ძალის ვაკუუმი ევროპაში და ორი სუპერძალა (აშშ და სსრკ) ცდილობდა შეეცხო ეს

ვაკუუმი. „ცივი ომი“ იყო კონფლიქტი ბიპოლარული მსოფლიოს ორ ზესახელმწიფოს შორის.

1985 წლიდან საბჭოთა კავშირში დაწყებულმა და განხორციელებულმა „გარდაქმნის კურსმა“ არსებითი ცვლილებები შეიტანა „ცივი ომისა“ და მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში. სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვამ და საბჭოთა ჯარების გამოყვანამ ავღანეთიდან სასიკეთოდ შეცვალა საერთაშორისო ვითარება, ხოლო ბერლინის კედლის დანგრევა, კომუნისტური რეჟიმების დამხობა აღმოსავლეთ ევროპაში და იქიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის დაშლა მომასწავებელი გახდა ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დასასრულისა. 1992 წლის დამდეგისათვის, როდესაც საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო, უკვე აღარ არსებობდა და კომუნისტური რეჟიმი მთელ ევროპაში დაემხო, „ცივი ომი“ ისტორიის საკუთრება გახდა.

„ცივი ომის“ დასრულებიდან დღემდე თურქეთის რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობას, ძირითადად, უსაფრთხოებაზე ზრუნვა განსაზღვრავდა. ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში დროდადრო საერთო, ზოგჯერ კი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიზნები იკვეთებოდა. ამის პარალელურად, აღმავლობისა და დაღმავლობის პერიოდები შეინიშნებოდა ეკონომიკურ ურთიერთობებში. სწორედ უსაფრთხოების მიღწევის მიზანი განაპირობებდა თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის. ერთ მხარეს იყო „ცივი ომის“ პერიოდში არსებული ორი პოლუსიდან ერთ-ერთის ლიდერი - აშშ, მეორე მხარეს კი - თურქეთი, რეგიონში სერიოზული გავლენის მქონე, მაგრამ მნიშვნელოვნად აშშ-ზე დამოკიდებული ქვეყანა.

სწორედ აღნიშნული ფაქტორებითაა განპირობებული მოცემული საკვლევი თემის აქტუალურობა.

**კვლევის მიზნები და ამოცანები.** საკვლევი თემიდან გამომდინარე, ნაშრომი იძლევა შესაძლებლობას, სრულად იქნას წარმოდგენილი თურქეთის რესპუბ-

ლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდიდან 2020 წლამდე. გარდა ამისა, ნაშრომი დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობას მისცემს უახლოესი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, გამოიტანოს საფუძვლიანი დასკვნები. თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი ურთიერთობების ვექტორების განსაზღვრისათვის.

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის ძირითადი მიზანია, თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების ანალიზი „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის გარკვეულ ეტაპზე. განსაკუთრებით კი მათი საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტების კვლევა ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებთან მიმართებით.

ნაშრომის მიზანია, აგრეთვე, შეაფასოს და აჩვენოს თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების უახლოესი პერიოდის ხელისუფალთა საგარეო პოლიტიკური ხედვები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც დღემდე აქტუალურია როგორც თურქეთის, ისე ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა ანკარის მიერ აშშ-ისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში და ე.წ. „დამოუკიდებელი მოთამაშის“ როლის მორგების მცდელობა.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ასევე, გაანალიზოს თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯები და შეიმუშაოს მომავლის ვარაუდები, რომლებიც შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საკითხის კვლევით დაინტერესებულ სტუდენტებისთვის თუ მკვლევრებისთვის. ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ასევე გახლავთ სარეკომენდაციო ხასიათის რჩევების მიცემა თურქეთის

რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, კვლევის პროცესში შემოვიფარგლეთ შემდეგი საკითხებით:

1. თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების მოკლე ისტორია „ცივი ომის“ პერიოდში;
2. თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ პერიოდის შემდეგ XX საუკუნის 90-იან წლებში;
3. ანალიზი თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებისა 2002-2020 წლებში;
4. თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ძირითადი ასპექტების განხილვა.

**კვლევის ობიექტი.** სადისერტაციო კვლევა წარმოაჩენს თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებს „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში (2002-2020 წწ.). კვლევაში დაწვრილებით, კომპლექსურად არის გაანალიზებული თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯები, შეფასებულია მათი შედეგები და გაკეთებულია უკვე გადადგმული საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯების შედეგების პროგნოზები.

**თემის შესწავლის მდგომარეობა.** თემის აქტუალურობის მიუხედავად, ქართულ ისტორიოგრაფიაში თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში (2002-2020 წწ.) არ არის მრავალმხრივ, კომპლექსურად და ფუნდამენტურად შესწავლილი. აუცილებლად აღსანიშნავია კომპლექსური სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების სიმწირე, რაც პრობლემას უქმნის ამ საკითხით დაინტერესებულ ყველა მკვლევარს.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** ნაშრომის სამეცნიერო სიახლე გახლავთ ის, რომ აღნიშნული საკითხი აკადემიურ ჭრილში პირველად არის შესწავლილი კომპლექსურად, მასში განხილული, გაანალიზებული და შეფასებულია თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში (2002-2020 წწ.).

სადისერტაციო ნაშრომში კომპლექსურადაა განხილული თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების რიგი მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხი, ისეთები, როგორცაა: თურქეთ-აშშ-ის დამოკიდებულება და პოლიტიკური ინტერესები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების, რუსეთისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მიმართ.

კვლევის პროცესში გაკეთდა თურქეთისა და აშშ-ის 2002-2020 წლების ურთიერთობების საფუძვლიანი ანალიზი, რამაც საშუალება მოგვცა, გვეჩვენებინა მათი ურთიერთობა ცივი ომის შემდგომი პერიოდიდან დღემდე.

ნაშრომის მომზადებისას, გარდა ქართულენოვანი წყაროებისა, გამოვიყენეთ უახლესი პირველწყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა ინგლისურ და თურქულ ენებზე, რაც აკადემიურ სფეროში საკვლევ თემასთან მიმართებით სიახლეს წარმოადგენს.

გარდა ზემოხსენებულისა, ნაშრომი წარმოადგენს აღნიშნული თემის ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების შესწავლის მცდელობას შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების ძირითადი მიმართულებების ფორმირებაზე.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა გახლავთ ის, რომ მასში მოცემული მასალები, დასკვნები, რეკომენდაციები, წინადადებები და ცალკეული შეფასებები შეიძლება გამოყენებულ იქნას თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებით დაინტერესებული ისტორიკოსების, აღმოსავლეთმცოდნეების, საერთაშორისო



ურთიერთობებისა და სამეცნიერო წრეების სხვა დარგების წარმომადგენლების მიერ. ამასთან, ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი დისციპლინების სწავლებისას.

**მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები.** ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ თანამედროვე სამეცნიერო სფეროში აპრობირებული კვლევის ის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება საკვლევი ობიექტის არსსა და თავისებურებებს, მიზნებსა და დასახულ ამოცანებს. კვლევის ობიექტი არის რთული, რის გამოც საჭირო გახდა ისტორიული, შედარებითი, აღწერითი და შეფასებითი კვლევების ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენება. გამოვიყენეთ აგრეთვე თეორიული და ემპირიული მასალა.

საკვლევი თემის სირთულის, მრავალმხრივობის, წყაროთა ბაზის მრავალფეროვნებისა და მრავალრიცხოვნებიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ჩვენ მიერ დასმული საკვლევი საკითხი. შესაბამისად, მოხდა თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების შესახებ გამოცემული წიგნების, მონოგრაფიების, სხვადასხვა პუბლიკაციების, ასევე ელექტრონული მასალების მოძიება, დამუშავება, შესწავლა და ანალიზი.

კვლევის უკეთ წარმართვისათვის გამოყენებულ იქნა თურქეთის რესპუბლიკის სტამბოლის უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის მასალები, სადაც წარმოდგენილია თურქი, ევროპელი და ამერიკელი მეცნიერების უახლესი ნაშრომები თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებზე „ცივი ომის“ პერიოდში.

**საკვლევი თემის სამეცნიერო მნიშვნელობა.** საკვლევი თემის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია, მისი სამეცნიერო მნიშვნელობა უმთავრესად ისაა, რომ თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების თანამედროვე ასპექტების ანალიზი შესაძლებლობას მისცემს საქართველოს ხელისუფლებას გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელმაც შეიძლება ჩვენს

ქვეყანას შესძინოს მომგებიანი პოზიციები მეზობელთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

კვლევის სამეცნიერო მნიშვნელობა განსაზღვრულია იმ მასალებით, დასკვნებით, წინადადებებითა და რეკომენდაციებით, რაც, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ნაშრომში განხილული პრობლემატიკის შემდგომი შესწავლისა და სამეცნიერო კვლევების ჩატარებისას. ასევე, შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის წარმართვისას.

**კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო.** მოცემული ნაშრომი ქრონოლოგიურად მოიცავს „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის ერთ ეტაპს, ანუ 2002-2020 წლებს, რაც უმთავრესად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სწორედ ამ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებმა, გაცილებით მეტი მნიშვნელობა შეიძინა სხვადასხვა მიზეზთა გამო და მიიპყრო მსოფლიო საზოგადოების ყურადღება.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** დისერტაცია მოიცავს 148 ნაბეჭდ გვერდს. ის შედგება შესავალის, ოთხი თავის, თავებში შემავალი ცხრა ქვეთავის, დასკვნითი დებულებების, გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სიისაგან.

**საკითხის შესწავლის ისტორია.** ვიდრე უშუალოდ ჩვენი კვლევის საგანზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ მიმოვიხილოთ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული საკმაოდ მნიშვნელოვანი ლიტერატურა.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული და გაანალიზებულია ნორმატიული მასალა და ოფიციალური დოკუმენტები; მიმოხილულია ქართული, თურქული, ინგლისური და რუსული სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის სტატიები, სხვა შრომები, ინტერნეტ სივრცეში არსებული მასალები, კვლევები/კვლევების შედეგები, რომლებიც კავშირშია თემასთან. საკვლევი პრობლემის ცალკეულ საკითხთა შესწავლაში გარკვეული ადგილი უჭირავს კრებულების, ანგარიშების და ცნობარების მასალებს.

გარკვეული მასალა მოძიებულ იქნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის საბიბლიოთეკო ფონდებსა და სტამბოლის უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრობლემების შესწავლას, პირველწყაროებზე დაყრდნობით, საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნეს ცნობილმა თურქმა მეცნიერებმა. პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია - ალი დაიოდლუს, ბასქინ ორანის, ფუნდა ქესქინ ათას, ილჰან უზგელის, ყუდრეთ ოზესაის და სხვათა შრომებისაგან შემდგარი კრებული „თურქეთის საგარეო პოლიტიკა 2001-2012 წლებში“, ნაწილი III, სადაც საფუძვლიანადაა გაანალიზებული თურქეთ - აშშ-ის აღნიშნული პერიოდის ურთიერთობა, მოცემულია ცალკეულ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები და წარმოდგენილია მათი გარკვეული ანალიზი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოცემული შრომები პირველადაა გამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

აღნიშვნის ღირსია, ასევე თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრისა (2014-2016) და საგარეო საქმეთა მინისტრის (2009-2014), პროფესორ აჰმედ დავუთოდლუს სამეცნიერო ნაშრომი - „სტრატეგიული სიღრმე - თურქეთის საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები“ (2014 წელი), სადაც ავტორი განსხვავებულად აყალიბებს „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის თურქეთის საგარეო პოლიტიკის კურსს და აზუსტებს, თუ როგორი საგარეო პოლიტიკის გატარება სურს თურქეთს XXI საუკუნეში. გაანალიზებული და კომპლექსურად განხილულია თურქეთის საგარეო პოლიტიკის ასპექტები ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის, რუსეთის ფედერაციის, სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების მიმართ.

ძალზე საინტერესოა თურქოლოგ მაია მანჩხაშვილის მიერ თურქულიდან ნათარგმნი სახელმძღვანელო - „თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლებში“, სადაც ოცდაათობმეტი უნივერსიტეტის ოცი მეცნიერის სხვადასხვა შრომაა განხილული, ახსნილია თურქეთის პოლიტიკის ახალი საფუძვლები და

ნაჩვენებია თურქეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარი ამოცანები. მოცემულ სახელმძღვანელოში ასევე განხილულია თურქეთის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები და ურთიერთობები აშშ-თან.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ თურქეთის მდგომარეობის შესახებ საინტერესო განმარტებას აკეთებს თურქი მეცნიერი ნასულ უსლუ. თავის ნაშრომში „1947 წლიდან დღემდე თურქეთ-ამერიკის ურთიერთობათა ზოგადი პორტრეტი“, ავტორი აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთის ბლოკის დაშლის შემდეგ შექმნილი გაურკვეველი ვითარება თურქეთის უსაფრთხოების მხრივ შემამფოთებელი იყო. სპარსეთის ყურის კრიზისი, იუგოსლავიაში წარმოქმნილი ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტი, კავკასიაში სომხეთ - აზერბაიჯანის დაპირისპირება და ჩეჩნეთის ომი, არეულობა ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთის და ზოგადად მთელი კავკასიის რეგიონებში თურქეთის რესპუბლიკას აიძულებდა დაეწყო უსაფრთხოების ზომების მიღება“. ავტორის აზრით, ასეთ გაურკვეველ და მრავალმხრივად არეულ სიტუაციაში თურქეთს ამერიკის „დახმარებით“, „მსოფლიო ჟანდარმის“ როლის თამაში შეეძლო.

პროფესორი ჰასან კონი, თავის ნაშრომში „თურქეთის ახალი ჰეგემონია“, აღნიშნავს, რომ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ თურქეთი ავტომატურად გადაიქცა უმნიშვნელოვანეს ძალად რეგიონში. თურქეთის გავლენის ამ გაძლიერებას რეგიონში ხელს უწყობდა ისიც, რომ ამერიკის ინტერესებში შემავალ თურქეთს მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონში მყარი პოზიციები გააჩნდა. გამომდინარე აქედან, თურქეთის სტრატეგიული კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებთან თურქეთს უმნიშვნელოვანეს ძალად აქცევდა რეგიონში.

საინტერესოა პოლონური წარმოშობის ამერიკელი პოლიტოლოგისა და სახელმწიფო მოღვაწის ზბიგნევ ბჟეზინსკის სამეცნიერო ნაშრომი „დიდი საჭადრაკო დაფა“, სადაც ავტორი საუბრობს იმაზე, როგორ შეძლეს XX საუკუნის ბოლოს, „ცივი ომის“ დასრულების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და არაევრაზიულმა სახელმწიფოებმა,

გამხდარიყვნენ ერთპიროვნული ლიდერები ევრაზიულ სახელმწიფოებში. ავტორის აზრით, რომელსაც ჩვენც ვეთანხმებით, მიუხედავად რიგი პრობლემებისა, თურქეთი ირანთან ერთად აღნიშნულ რეგიონში ითვლება მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცენტრად, რადგან ასტაბილიზებს შავი ზღვის რეგიონს, აკონტროლებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს და აწონასწორებს რუსეთს სამხრეთ კავკასიაში.

დღეისათვის თურქეთის რესპუბლიკა გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთადერთი მუსლიმური სახელმწიფო, რომელიც ოფიციალურად წინააღმდეგია ისლამური ფუნდამენტალიზმის და გახლავთ „ნატოს“ სამხრეთი ფლანგის უშუალო დამცველი. ამდენად, ბჟეზინსკის აზრით, დესტაბილიზაცია თურქეთის რესპუბლიკაში გამოიწვევს დესტაბილიზაციას მთელს რეგიონში და ხელს შეუწყობს „რუსეთის იმპერიას“, კვლავ მოაქციოს სამხრეთ კავკასია თავისი გავლენის ქვეშ.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საინტერესო კვლევა ეკუთვნის ამერიკელ მეცნიერ ბ. ჯენტლესონს - „ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩევანის დინამიკა - XXI საუკუნეში“, სადაც ავტორი პირველწყაროებზე და მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით მიმოიხილავს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ისტორიას და ამერიკა - თურქეთის ურთიერთობას თანამედროვე ეტაპზე. ეს გამოკვლევა დიდად დაგვეხმარა ჩვენს ნაშრომზე მუშაობისას.

თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებს ეხება აგრეთვე რ. ოლსონის ნაშრომში „თურქეთის ურთიერთობები სირიასთან, ისრაელთან და რუსეთთან“, სადაც, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თურქეთ-ისრაელ-ამერიკის პოლიტიკურ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში.

აღნიშვნის ღირსია პროფესორ თ. ქორქმაზის მონოგრაფია, „ანკარა - ვაშინგტონის ხაზი“, სადაც ავტორი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამერიკის

შეერთებული შტატებისა და თურქეთის რესპუბლიკის ურთიერთობებს XX საუკუნის მეორე ნახევრიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე. იგი მართებულად აღწერს, თუ რა წვლილი მიუძღვის აშშ-ს თურქეთის რესპუბლიკაში 1960 წლის 27 მაისისა და 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედროების მიერ მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებებში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ავტორი დაწვრილებით საუბრობს იმ ბზარზე, რომელიც გაჩნდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტის შემდეგ.

ასევე აღნიშვნის ღირსია პროფესორ გრემ ფულერის ნაშრომი - „თურქეთის ახალი სახელმწიფო“, რომელიც ეხება თურქეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია XVI თავი, რომელიც თურქეთ-ამერიკის ურთიერთობას ეხება.

ნაშრომში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: 1. ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში - პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სტრატეგიული ქმედებების გავლენის ზრდა; 2. ახლო აღმოსავლეთის საკითხში ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის რესპუბლიკის პოზიციების შეჯახება და თურქეთის შემფოთება აღნიშნულ ტერიტორიაზე გავლენის დაკარგვის გამო; 3. არასასურველი რეგიონული კონფლიქტების პრობლემები და სხვა.

თურქეთის ისტორიის კვლევას საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა ცნობილმა ევროპელმა მეცნიერმა, ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორმა ერიკ იან ზიურჩერმა, „თურქეთი: თანამედროვე ისტორია“, სადაც ავტორი სიღრმისეულად მიმოიხილავს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დადგა თურქეთი XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში. დეტალურად ანალიზებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღებას კი უთმობს თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებს.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე პროფესორ ბერნარდ ლიუისის მონოგრაფია „თანამედროვე თურქეთის წარმოშობა“. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრობლემებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ასევე ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები. კერძოდ, ცნობილი ქართველი თურქოლოგების: პროფესორ მ. სვანიძის, თურქეთის ისტორია (1299-2000), სადაც ავტორი პირველწყაროებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით, გვაწვდის საინტერესო მასალას და შეხედულებებს თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე.

ქართველ აღმოსავლეთმცოდნეს, თურქოლოგ ელისო მაჩიტაძეს ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევები თურქეთ-ამერიკის ურთიერთობებზე თანამედროვე პერიოდში. ამ მხრივ გამოვყოფდით შემდეგს: „ამერიკა-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან“; „1980 - იანი წლების თურქეთი და აშშ“; „ოქროს ხანა ამერიკა - თურქეთის ურთიერთობის ისტორიაში“. აღნიშვნის ღირსია აგრეთვე, 2018 წელს გამოცემული მონოგრაფია „ნარკვევები თურქეთის ისტორიიდან“, სადაც ავტორი, პირველწყაროებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით, გვაწვდის უამრავ საინტერესო მასალას, რომელიც ჩვენი კვლევისთვის მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

საინტერესოა ავტორთა ჯგუფის (ალასანია გ., გელოვანი ნ., სანიკიძე გ.) მიერ მომზადებული ნაშრომი - „ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX-XXI ს-ის დასაწყისი)“, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე თურქეთს და მის საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე, ისტორიის აკადემიური დოქტორის, ზურაბ ბატიაშვილის ნაშრომი - „თურქეთის შეიარაღებული ძალები“, სადაც ავტორი მრავალფეროვან წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით გვაწვდის

საინტერესო ინფორმაციას თურქეთის შეიარაღებული ძალების შესახებ და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აშშ-თან და ნატოსთან თურქეთის თანამშრომლობის საკითხებს.

ზ. ბატიაშვილს ასევე ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევა „აშშ-თურქეთის დაძაბული ურთიერთობები - საქართველოსთვის მოსალოდნელი საფრთხეები და გამოწვევები“, რომელშიც ავტორი ანალიზებს თურქეთ-ამერიკის 2016-2018 წლების ურთიერთობას და დასძენს, რომ ორივე მხარე განსხვავებულად აღიქვამს როგორც სხვა ქვეყნებთან არსებულ კავშირებს, ისე თავიანთი ქვეყნების მნიშვნელობასა და ადგილს საერთაშორისო ურთიერთობებში.

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის საკითხებს საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა ისტორიის აკადემიურმა დოქტორმა მათა მანჩხაშვილმა, „თურქეთი XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს“, სადაც ის აღნიშნავს, რომ დღევანდელ გეოპოლიტიკურ რეალობაში თურქეთი მოგვევლინა რეგიონულ ლიდერად. მონოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია თურქეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას თანამედროვე ეტაპზე.

აღსანიშნავია პროფესორ ემზარ მაკარაძის სამეცნიერო ნაშრომები: „თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში; თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობები 2002-2017 წლებში“; „აშშ და თურქეთის ურთიერთობები ჯ. ბუშის ადმინისტრაციის მმართველობის დროს (1989-1993)“; „თურქეთ-ამერიკის ურთიერთობების ძირითადი ასპექტები თანამედროვე ეტაპზე“; „თურქეთ-ამერიკის ძირითადი პრობლემები დღეს“. გამოკვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თურქეთ-აშშ-ის პოლიტიკურ ურთიერთობას „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდიდან დღემდე. ინტერესს იწვევს ასევე, პროფესორ ემზარ მაკარაძის მიერ 2019 წელს გამოცემული სახელმძღვანელო - „თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები-სალექციო ჩანაწერები“, სადაც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა თურქეთში 2016 წლის



არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობას.

2019 წელს აკადემიურმა დოქტორმა ლაშა ხოზრევანიძემ გამოსცა საინტერესო მონოგრაფია - თურქეთის საგარეო პოლიტიკის ასპექტები, სადაც მიმოხილულია თურქეთის საგარეო პოლიტიკა აშშ-თან 1980 წლიდან 2018 წლამდე.

ყურადღებას იმსახურებს პროფესორ რ. გაჩეჩილაძის წიგნი - „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“. აღნიშნული ნაშრომში ერთ თავში ავტორი საუბრობს თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკაზე და გვაჩვენებს როგორ შეძლო ანკარამ გეოპოლიტიკური მოთამაშიდან რეგიონულ ლიდერად გადაქცევა. ავტორი ვრცლად განიხილავს თურქეთის რესპუბლიკის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორცაა: ანკარისათვის ქურთები რეგიონულ გეოპოლიტიკაში და ორად გახლეჩილი კუნძული კვიპროსი. ის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რაოდენ უარყოფითად იმოქმედა, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით ერაყში დაწყებულმა სამხედრო კამპანიამ რეგიონზე.

აღნიშვნის ღირსია მკვლევარ ს. ბაკურაძის ნაშრომი - „თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში“, თბილისი, 2020. ნაშრომში ავტორი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ცივი ომის შემდგომი პერიოდის თურქეთის საგარეო პოლიტიკას, რომლის ძირითადი ამოცანა იყო საკუთარი გავლენის ზრდა მეზობელ ქვეყნებში, სადაც მანამდე, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის და მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან მას ამის საშუალება არ ეძლეოდა, და მისი გავლენის სფერო შეზღუდული ან ჩაკეტილი იყო.

ყოფილ სსრკ-ის ისტორიოგრაფიაში თურქეთის უახლესი ისტორიის საკითხებს საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნეს ცნობილმა რუსმა მეცნიერებმა: გ. სტარჩენკოვმა, „თანამედროვე თურქეთი“; ნ. გ. კირეევმა, „თურქეთის ისტორია - XX საუკუნე“; მ. ა. გასრატიაძემ, ს. ფ. ორემკოვამ და უ. ა. პეტროსიანმა, „თურქე-

თის ისტორიის ნარკვევები“, რომლებშიც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა თურქეთ-ამერიკის ურთიერთობების ისტორიას სხვადასხვა ეტაპზე.

მიუხედავად ასეთი საკმაოდ ინტენსიური მუშაობისა აღნიშნულ თემაზე, მკვლევარ - ისტორიკოსთა მიერ ჯერ კიდევ არ შექმნილა ისეთი ნაშრომი, რომელშიც, კომპლექსურად იქნებოდა მოცემული „თურქეთ - ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების ანალიზი“ „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში კი ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა და შემოგვეთავაზებინა ჩვენი ხედვა თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებზე „ცივი ომის“ შემდგომ ეტაპზე (2002-2020 წლებში).

# თავი I. „ცივი ომის“ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ამერიკის შეერთებული შტატები დღევანდელ მსოფლიოში წამყვანი სახელმწიფოა, რომლის უპირატესობა და გავლენა ნებისმიერ ქვეყანაზე ცხადად იგრძნობა.

1783 წელს ინგლისელებთან დამოუკიდებლობისათვის ომში, ამერიკელი ხალხის გამარჯვების შედეგად შექმნილ სახელმწიფოს ხშირად უწევდა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოსთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობა. გამომდინარე აქედან, „ოსმალეთის იმპერიაც ავტომატურად მოექცა ამ ურთიერთობათა სფეროში“ (Acmaoğlu, 1984: 53).

ზოგადად თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაში თურქეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების საწყის ეტაპზე საუბრისას ხაზი ესმება შემდეგ გარემოებას: ამ ორ სახელმწიფოს შორის ნებისმიერ სფეროში ურთიერთობის ამოსავალი წერტილი გახლდათ ის, რომ მაშინ, როდესაც ოსმალეთის იმპერია ჯერ კიდევ ძლიერი იყო და მსოფლიოში საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა, შეერთებული შტატები იყო ჯერ კიდევ არა გლობალური, არამედ რეგიონული სიძლიერის მქონე სახელმწიფო.

ოსმალეთის იმპერიისა და ახალგაზრდა ამერიკულ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, საწყის ეტაპზე, გარკვეულწილად რელიგიურ-მისიონერულ სახესაც ატარებდა. ამერიკელი პროტესტანტების სამიზნეს იმ პერიოდში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი, ბიბლიაში ნახსენები წმინდა ადგილები: სალონიკი, იზმირი, მილეთი (დღევანდელი მულლა) და ოდიკია (დღევანდელი დენიზლი), წარმოადგენდა. ბუნებრივია, მუსლიმური ოსმალეთის იმპერია ახალბედა ამერიკის სახელმწიფოს ამ მისიონერულ ზრახვებს წინ აღუდგა, თუმცა ამერიკელების გულის მოსაგებად, ოსმალებმა თავიანთ

იმპერიაში მცხოვრები მართლმადიდებელი სომხების პროტესტანტულ რელიგიაზე მოქცევის უფლება და, შესაბამისად, პროტესტანტული მისიის შესრულების უფლება მისცეს. მაგალითად, თუ 1845 წელს ოსმალეთში 50-მდე ამერიკელი პროტესტანტი მისიონერი იყო, უკვე 1890 წელს მათი რაოდენობა 1000-მდე გაიზარდა. შეიქმნა მისიონერთა სკოლები, სადაც იმავე პერიოდში მოსწავლეთა რაოდენობა 813-დან 16990-მდე გაიზარდა (Gündüz, 2007:188).

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის კურსზე საუბრისას, ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მის გეოსტრატეგიულ მდებარეობაზე უნდა გამახვილდეს. თურქეთი, როგორც ინგლისელი გეოგრაფი ჰალფორდ მაკინდერი (1861-1947) აღნიშნავდა, ევრაზიასა და აფრიკას შორის „მსოფლიო კუნძულს“ წარმოადგენს (Halford, 1962:150-165). ის ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის მდებარე ბალკანეთის, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ხიდია (Kaya, 2017:3). პროფესორი ჟაკ ატალი (Atali, 2006:12) თავის პროგნოზებში წერს: „თუ XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო გეოპოლიტიკის ცენტრი ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა და რუსეთი იყო, XXI საუკუნის დასაწყისში ამ მისიას ამერიკა, ჩინეთი, რუსეთი, ევროკავშირი და ისლამური სამყარო იტვირთავს“ (Denk, 2000:20-21). აქედან გამომდინარე, ისლამური და ქრისტიანული სამყაროს გზაჯვარედინზე მდებარე თურქეთი დასავლეთიდან - ევროპული, ჩრდილოეთიდან - რუსული, აღმოსავლეთიდან - აზიური და სამხრეთიდან - აფრიკული და არაბული კულტურების გადაკვეთის წერტილს წარმოადგენს (Kaya, 2017:9). მსოფლიოსთვის თურქეთი, გეოგრაფიულად დამაკავშირებელ ხიდს, კულტურული თვალსაზრისით - ცენტრს, ეკონომიკურად - სატრანზიტო გზას, ხოლო გეოპოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით - სასიცოცხლო რეგიონს წარმოადგენს. ყველაფერი ეს კი გარკვეულწილად უსაფრთხოებას უქმნის თურქეთს, რის გამოც, ის საკუთარი სტაბილურობის შესანარჩუნებლად სხვადასხვა გზისა და მეთოდების ძიებაშია, სწორედ ამას

ემსახურება „ცივი ომის“ შემდეგ მსოფლიოს ზესახელმწიფოდ ქცეულ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაც (Kaya, 2017:12).

თურქეთ-ამერიკას შორის აქტიური სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე იწყება. საბჭოთა კავშირის განზრახვას-სრუტეებზე სამხედრო კონტროლის დამყარებასა და თურქეთის აღმოსავლეთ რეგიონების ტერიტორიებზე „გავლენის“ მოპოვებას, ამერიკის შეერთებული შტატები მთელი ძალით აღუდგა წინ. ამას კი ხელს უწყობდა 1947 წლის ტრუმენის დოქტრინა და მარშლის გეგმა (Türkman, 2007: 160-161).

ტრუმენის დოქტრინის და მარშლის გეგმის მეშვეობით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თურქეთს გაუწია დიდი ფინანსური დახმარება, რომელმაც 1947 წელს შეადგინა 100 მილიონი დოლარი. მისი დიდი ნაწილი ქვეყანაში სამხედრო სფეროს განვითარებას მოხმარდა.

ტრუმენის დოქტრინა „ცივი ომის“ დროინდელი სტრატეგიაა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო საბჭოთა საფრთხესთან გამკლავება და გრძელვადიანი სტრატეგიით მისი შეკავება.

ამერიკის შეერთებული შტატები მზად იყო დახმარებოდა როგორც საბერძნეთს, ისე თურქეთს. თუ აშშ საბერძნეთს დაკარგავდა, თურქეთი გახდებოდა თავდაცვის უუნარო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ასევე, თუ თურქეთი შეასრულებდა საბჭოთა მოთხოვნებს, საბერძნეთიც დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა.

აშშ-ის პრეზიდენტმა, ჰარი ტრუმენმა, დოქტრინა 1947 წლის 12 მარტს გაგზავნა კონგრესში. ის აცხადებდა, რომ თუ საბერძნეთი და თურქეთი არ მიიღებდნენ საკმარის დახმარებას, კომუნიზმი გაიმარჯვებდა და ეს მთელს რეგიონზე აისახებოდა. ტრუმენის მოწოდებამ თავისი შედეგი გამოიღო.

1947 წლის ივლისში მარშლის გეგმის - ევროპის ე.წ. ადდენის პროგრამის მიზანი იყო არა მხოლოდ კონტინენტის ქვეყნებისთვის ეკონომიკური დახმარება,

არამედ ევროპის მასშტაბით კომუნიზმის წინსვლის მოგერიება (**Ertem, 2007:337-397**).

ამერიკის შეერთებული შტატები თურქეთს, საბერძნეთთან ერთად, სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას უწევდა. ამის დადასტურება იყო 1947 წელს აშშ-ის სამხედრო გემების სტამბოლში შემოსვლა (მას შემდეგ, რაც ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა მსოფლიოს განუცხადა, რომ ევროპა რკინის ფარდით ორად გაიყო და, ფაქტობრივად, ამით „ცივი ომის“ დაწყება გამოაცხადა).

ამერიკული სამხედრო გემების შემოსვლა სტამბოლში (საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თურქეთის დასახმარებლად), თურქეთ-აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის დაწყების სიმბოლოდ იქცა (**Bağci, 2009:3**).

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქეთი, ჯერ კიდევ ნატოში შესვლამდე იყო ერთადერთი სახელმწიფო ახლო და შუა აღმოსავლეთში, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 1950 - 1953 წლების კორეის ომში.

1951 წლის მაისში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თურქეთს მისცა რეკომენდაცია ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო - პოლიტიკურ ბლოკში (ნატო) შესვლაზე და 1951 წლის ოქტომბერში ლონდონში ხელი მოაწერეს ოქმს თურქეთის ნატოში მიღების შესახებ.

1952 წლის 18 თებერვალს თურქეთის მეჯლისმა მოახდინა ნატოში გაწევრიანების ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ნატოში შესვლის შემდეგ თურქეთი აქტიურად მონაწილეობდა აშშ-ისა და ინგლისის ინიციატივით შექმნილ სამხედრო ბლოკებში - ბალდადის პაქტსა (1955 წლის 24 თებერვალი) და მის შემცველ სენტოში (სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება ახლო და შუა აღმოსავლეთში) (1959 წლის 24 მარტი) (**მაჩიტაძე, 2005 (ა):112**).

თურქეთმა მონაწილეობა მიიღო ყველა იმ აქციაში, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებმა მოაწყვეს ახლო აღმოსავლეთში.

XX საუკუნის 50-60-იან წლებში აშშ-ის დახმარებამ თურქეთისადმი შეადგინა 2885,5 მლნ. დოლარი, აქედან 1878,3 მლნ. დოლარი სამხედრო საჭიროებებს მოხმარდა (სანიკიძე, 2011:351), დარჩენილი თანხა კი ეკონომიკის განვითარებას, გზების, აეროდრომებისა და ნავსადგურების მშენებლობებს, რომელთაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

1974-1975 წლებში მკვეთრად გამწვავდა თურქეთის ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოსთან კვიპროსის კრიზისის გამო (მაჩიტაძე, 2018:194).

XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მომხდარმა მოვლენებმა (1979 წლის ირანის ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადება და ავღანეთში საბჭოთა ჯარების შესვლა) გავლენა მოახდინა თურქეთის მოკავშირეობაზე, რომლებმაც საჭიროდ ცნეს, თურქეთისათვის უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედრო დახმარება აღმოეჩინათ (მაჩიტაძე, 2018:196).

თურქეთისადმი აშშ-ის სამხედრო დახმარება 80-იან წლებში მკვეთრად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 1980-1985 წლებში აშშ-ის დახმარებამ 2,6 მლრდ. დოლარი შეადგინა (მაჩიტაძე, 2005 (ბ):113).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარმა გეოპოლიტიკურმა ძვრებმა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივი ნეიტრალიტეტი პროდასავლური კურსით შეცვალა. დაიწყო თურქეთ-აშშ-ის სწრაფი დაახლოება, რომელიც „ცივი ომის“ მთელ პერიოდში განისაზღვრებოდა საბჭოთა კავშირის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის საფრთხით.

1980 წლიდან თურქეთისა და აშშ-ის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი სიახლეები გამოიკვეთა. როგორც თურქეთის, ასევე აშშ-ის პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებმა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა უფრო მრავალფეროვანი გახადა. მართალია, ის წინა პერიოდებში არსებული ურთიერთობების ელემენტებს ეყრდნობოდა, მაგრამ ახალი ფორმა მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინანდელისაგან.

აღსანიშნავია, რომ თურქეთი ადრინდელზე უფრო აქტიურ და ეფექტურ პოლიტიკას ატარებდა და ზოგ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული უპირატესობის მოპოვებას იმედოვნებდა, მაგრამ, როგორც წესი, იგი ვერ იღებდა იმ დონის მხარდაჭერას, რომელსაც ელოდა აშშ-ისგან და შესაბამისად, მიზნის მიღწევასაც ვერ ახერხებდა.

1980-იანი წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, აშშ-ის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო „ცივი ომის“ მოგება და მოწინააღმდეგე ბლოკის, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის დამარცხება.

1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალებამ ცვლილებები შეიტანა როგორც თურქეთის შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ასევე მის საგარეო პოლიტიკაშიც. მომდევნო ათი წლის განმავლობაში თურქეთის და აშშ-ის ურთიერთობებზე ზეგავლენას ახდენდა როგორც თურქეთში არსებული მმართველობის შეცვლისა და დემოკრატიისაკენ დაბრუნების პრობლემები, ასევე საერთაშორისო არენაზე განვითარებული მოვლენებიც (**მაჩიტაძე, 2005(ბ):122**).

ახალი პოლიტიკური მიდგომის ფარგლებში აშშ-ის მიერ თურქეთისათვის განკუთვნილი როლი ამ პერიოდის ყველაზე თვალშისაცემ მახასიათებელს წარმოადგენს. თურქეთის მეზობლობა ახლო აღმოსავლეთთან აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში ახალი ცვლილებების საფუძველი გახდა. დასავლეთის ქვეყნები თურქეთს უყურებდნენ როგორც დასავლეთისა და ახლო აღმოსავლეთის საზღვარზე მდებარე ქვეყანას და მასთან დაკავშირებით გეგმებს განიხილავდნენ იმ დამოკიდებულების მიხედვით, რომელიც ჰქონდა დასავლეთს ახლო აღმოსავლეთის მიმართ. უფრო მეტიც, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, თურქეთი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებში ჩაურევლობას ამჯობინებდა. ამიტომაც იყო, რომ 1980-იანი წლების დასასრულისთვის მისი გააქტიურება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და აშკარა ჩარევა იქ მიმდინარე პროცესებში შეიძლება მივიჩნიოთ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში გარდატეხის წერტილად.



თურქეთ-აშშ-ს შორის ურთიერთობებზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზეგავლენას ახდენდა უთანხმოება, რომელიც არსებობდა თურქეთსა და საბერძნეთს შორის (ეგეოსის ზღვისა და კვიპროსის პრობლემები), აგრეთვე, აშშ-თან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის არასტაბილურობა და სამხედრო სფეროში არსებული სადავო საკითხებიც. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო 1980-იანი წლების თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობა სერიოზული პრობლემების თანხლებით ვითარდებოდა და ამიტომაც ეს პერიოდი, როგორც ვთქვით, ორი ქვეყნის ურთიერთობისთვის გარკვეულ გამოცდად იქცა.

1980-იანი წლები აშშ-მა ახალი მმართველობით და წინა პერიოდიდან დარჩენილი სერიოზული ეკონომიკური პრობლემებით დაიწყო. იმ პერიოდში, როდესაც 1980 წელს არჩევნებში რონალდ რეიგანმა გაიმარჯვა, ამერიკის ეკონომიკის ზრდა თითქმის შეჩერებული იყო, ინფლაციისა და უმუშევრობის მაჩვენებელი კი - მეტად გაზრდილი. რეიგანისა და მისი გუნდისათვის (ე.წ. „ახალი მემარჯვენეები“) უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა ეკონომიკის გამოცოცხლება და აღორძინება, აგრეთვე ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც მსოფლიო ლიდერობისათვის ბრძოლაში აშშ-ს უპირატესობას შეუნარჩუნებდა. 1979 წელი შეერთებული შტატებისათვის რთული გამოდგა. მისმა კონკურენტმა, საბჭოთა კავშირმა, ავღანეთში ჯარების შეყვანით მანამდე აქ არსებული ძალთა ბალანსი დაარღვია. ვითარება შეიცვალა ირანშიც, რომელიც იმ დრომდე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ის უახლოეს მოკავშირედ მიიჩნეოდა. აქ მომხდარმა ისლამურმა რევოლუციამ ქვეყნის ხელმძღვანელობა და საგარეო-პოლიტიკური კურსი შეცვალა. თეირანში აშშ-ის საელჩოს შენობაში ამბოხებულებმა 52 ამერიკელი მძევლად აიყვანეს. ამ ფონზე ურთიერთობის ერთადერთი ფორმა, რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდა (და ჰქონდა კიდევ) აშშ-ს ირანის ახალ ხელისუფლებასთან, იყო მტრობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა, აშშ-ს უფრო მტკიცე ნაბიჯები გადაედგა თურქეთთან მიმართ-

ებით, რათა კიდევ უფრო გაემყარებინა პოზიციები ახლო აღმოსავლეთში (მაჩიტბე, 2005(ბ):125).

1980 წლის 23 იანვარს, აშშ-ის პრეზიდენტმა - ჯიმი კარტერმა ახალი განცხადება გააკეთა, რომელსაც „კარტერის დოქტრინის“ სახელით იცნობენ. ამის მიხედვით, აშშ შეეწინააღმდეგებოდა ყველა პროცესს, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონისათვის, განსაკუთრებით, სპარსეთის ყურისათვის, და ამისათვის იგი გამოიყენებდა ყველა საშუალებას, იარაღის ჩათვლით. უფრო მეტიც, შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა და დემოგრაფიული მდგომარეობა თურქეთს აიძულებდა, მუდმივად ედევნებინა თვალყური ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენებისათვის. შესაბამისად, აშშ-ის პოლიტიკამ და თურქეთის ხელისუფლების გეგმებმა (რეგიონში ამ ქვეყნის როლთან დაკავშირებით) საჭირო გახადა, რომ თურქეთს რეგიონული მასშტაბით ახალი როლი ეკისრა. ამ პერიოდში დაიწყო ე.წ. „მწვანე სარტყლის“ პროექტის განხორციელება, რომელიც შემუშავდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე საბჭოთა კავშირის გავლენის ზრდის აღსაკვეთად და სპარსეთის ყურიდან დასავლეთის მიმართულებით ნავთობის ნაკადის უწყვეტი და უსაფრთხო მიწოდების უზრუნველსაყოფად. ეს პროექტი, „მწვანე სარტყელი“, რომელიც ითვალისწინებდა რეგიონში ზომიერი ისლამური ჯგუფების მხარდაჭერას და ამ ჯგუფებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების განვითარებას, 1977 წელს ჯ. კარტერის მრჩეველმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ შეიმუშავა. აღნიშნული პროექტის განხორციელება 1979-1980 წლებიდან დაიწყო, მას საბჭოთა კავშირის ალყაში მოქცევასთან ერთად, სპარსეთის ყურის რეგიონისათვის გარკვეული გარანტიების უზრუნველყოფა უნდა შეძლებოდა და მიზნად ისახავდა ისლამური ელემენტებისაგან შემდგარი კედლით საბჭოთა გავლენის შემცირებას, მაგრამ, დაგეგმილისაგან განსხვავებით, რადიკალური და ზომიერი ისლამური ჯგუფების განცალკევება და კლასიფიცირება შეუძლებელი აღმოჩნდა. „სარტყლის“ გასწვრივ არსებულმა ისლამურმა ჯგუფებმა რადიკ-

ალიზმი აირჩიეს (Çağrı, 2003:10), თურქეთში კი 1980 წლის 12 სექტემბერს მოსული ხელისუფლება სწორედაც რომ მიესადაგებოდა აშშ-დან წამოსულ პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის ალყაში მოქცევის პოლიტიკის სამხედრო დასაყრდენი იყო „სწრაფი რეაგირების ძალების“ პროექტი, რომელიც ზუსტად დაემთხვა „ახალი მემარჯვენეების“ მიდგომას და გაზარდა სამხედრო ხარჯები. აშშ-ს ესაჭიროებოდა ახალი ბაზები და სამხედრო საშუალებები, რაც მთავარია, რეგიონის ქვეყნების მხარდაჭერა, რათა სპარსეთის ყურესა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში უფრო სწრაფი და ეფექტური ჩარევის შესაძლებლობა ჰქონოდა.

პირველად „სწრაფი რეაგირების ძალები“ სპარსეთის ყურეში გამოიყენეს. თუმცა, აღნიშნული წარმონაქმნი არ უნდა ყოფილიყო ნატოს საშუალებებისა და შესაძლებლობებისგან დამოუკიდებელი, მაგრამ პრობლემები მაინც შექმნა. იგი რეალურად გასცდა ნატოს მოქმედების ფარგლებს. თურქეთი ამ პროექტს მეტად სერიოზულად მიუდგა (Sönmezoglu, 2006:293). ის აცნობიერებდა, რომ რეგიონის ქვეყნები ამ პროექტს დიდი ალტაცებით არ ხვდებოდნენ. უფრო მეტიც, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში ჩარევის შემთხვევაში უნდა გამოეყენებინათ თურქეთის ბაზები და ეს ფაქტი თურქეთს მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა. თურქეთი აშშ-ის წარმომადგენლებს უცხადებდა, რომ იგი კვლავ შეუერთდებოდა ნატოს გადაწყვეტილებებს, რადგან სხვა ნაბიჯის გადადგმა სპარსეთის ყურის რეგიონის საწინააღმდეგო რეაქციას გამოიწვევდა და თურქეთის მდგომარეობას დაამძიმებდა (Uzgel, 2001:55).

როგორც ჩანს, თურქეთი ჯერ კიდევ არ იყო მზად „სწრაფი რეაგირების ძალების“ პროექტისათვის. იგი „სარტყელში“ შემავალ ქვეყანას წარმოადგენდა და 1980 წლის შემდეგ „ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის“ შეხვედრებში პრემიერ-მინისტრის დონეზე იღებდა მონაწილეობას. ამის გათვალისწინებით, სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობისათვის თურქეთს გარკვეული დრო

სჭირდებოდა. ამასთან შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელოვან საკითხად რჩებოდა თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში თავისი სამხედრო პოტენციალის გაზრდა.

1982 წლის 29 ნოემბერს, ბრიუსელში აშშ-სა და თურქეთს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლითაც გათვალისწინებული იყო აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონში 10 აეროდრომის განახლება და მუშა და ბათმანში ორი ახალი სამხედრო აეროდრომის მშენებლობა. ეს დოკუმენტი პირველი ნაბიჯი გახდა თურქეთის „სწრაფი რეაგირების ძალების“ პროექტში შესასვლელად.

1981 წელს აშშ-ის ახალ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა „ახალი მემარჯვენეების“ იდეის ერთგული - რონალდ რეიგანი. თურქეთში კი 1983 წელს ჩატარებული არჩევნებით სამოქალაქო მმართველობა აღდგა და შეიქმნა ახალი მთავრობა პრემიერ-მინისტრ თურგუთ ოზალის ხელმძღვანელობით. რეიგანი „ცივი ომის“ დასრულებამდე აშშ-ის პრეზიდენტი იყო, ხოლო ამავე პერიოდში თურქეთს სათავეში უკვე პრეზიდენტის რანგში თ. ოზალი ედგა. მთელი ამ ხნის განმავლობაში აშშ-ის დამოკიდებულება თურქეთისადმი საკმაოდ ზომიერი და გაწონასწორებული იყო.

1983-1989 წლებს თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობის ისტორიაში „ოქროს ხანად“ მოიხსენიებენ (Oran, 2001: 49).

თურქეთის პრემიერ-მინისტრი თურგუთ ოზალი ცდილობდა, გაეტარებინა პრაგმატული საგარეო პოლიტიკა და განეხორციელებინა ეკონომიკის ლიბერალიზაცია, რომელიც გათვალისწინებული იყო „ეკონომიკის სტაბილიზაციის“ პროგრამით. იგი ცდილობდა აშშ-თან ურთიერთობაში წინა პლანზე წამოეწია ეკონომიკური ინტერესები, ოზალი აცხადებდა, რომ „ჩვენს ურთიერთობას დასავლეთთან, პირველ რიგში, აქვს ეკონომიკური ინტერესები“ (მაჩიტძე, 2005(ა):111).

1985 წლის ივლისში აშშ-მა და თურქეთმა ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას ინვესტიციების შესახებ. ამ პერიოდში დიდი რაოდენობის ინვესტიცია იქნა ჩადებული სამხედრო მრეწველობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკული ინვესტიციები, რაოდენობის მხრივ, პირველ ადგილზე იყო თურქეთში (**Oran, 2001:69**).

ნიშანდობლივია, რომ 80-იან წლებში აშშ-ის სტრატეგიაში თურქეთის გავლენის ზრდასთან ერთად, გაიზარდა აშშ-ის სამხედრო დახმარებაც თურქეთის მიმართ, რომელმაც 1981-1988 წლებში 4 მლნ. დოლარს გადააჭარბა. თურქეთი მესამე ადგილზე გავიდა ამერიკული სამხედრო დახმარების მხრივ, ისრაელისა და ეგვიპტის შემდეგ.

ყოველივე ამის შედეგად, შესაძლებელი გახდა თურქეთის სამხედრო ბაზების რეორგანიზაცია და სამხედრო მრეწველობის თანამედროვე დარგების შექმნა. აღსანიშნავია ისიც, რომ 80-იან წლებში აშშ-ის დახმარება თურქეთის სამხედრო პერსონალის მოსამზადებლად 7 მლნ. დოლარამდე გაიზარდა (**მაჩიტძე, 2005 (ბ):115**).

80-იან წლებში აშშ ცდილობდა, თურქეთის „ისლამური ფაქტორი“ ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა და ამით მოემზადებინა ერთგვარი ნიადაგი ახლო და შუა აღმოსავლეთში ამერიკული ინტერესების განმტკიცებისთვის.

1980-1988 წლებში, ირან-ერაყის ომის დროს, თურქეთი ნეიტრალიტეტის პოზიციაზე იდგა, თუმცა ინარჩუნებდა მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს სსრკ-თანაც და აშშ-თანაც.

აშშ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თურქეთ-ისრაელის ურთიერთობას, რადგანაც ამ სტრატეგიული პარტნიორების თანამშრომლობაზე იყო დამოკიდებული აშშ-ის პოლიტიკის წარმატება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. თურქეთი კი, თავის მხრივ, ცდილობდა სხვასთან ერთად გამოეყენებინა ებრაული ლობის მხარდაჭერა აშშ-ის კონგრესში.

1985 წელს ვაშინგტონში ვიზიტად მყოფმა თურქეთის პრეზიდენტმა თ. ოზალმა აშშ-ში ებრაული ლობის მიერ თურქეთისათვის მხარდაჭერის საკითხი განიხილა. მისი მიზანი იყო, ებრაული მხარდაჭერის უზრუნველყოფა და თურქეთ-ისრაელს შორის კავშირების გამყარება. აღმოსავლეთთან დაკავშირებული გეგმების ფარგლებში აშშ განსაკუთრებულად უჭერდა მხარს თურქეთ-ისრაელის დაახლოებას.

მიუხედავად იმისა, რომ თ. ოზალს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა აშშ-თან და ამ პერიოდს ურთიერთობების მწვერვალად მიიჩნევდნენ, მას უპრობლემოდ მაინც არ ჩაუვლია. 1980 წელს ხელმოწერილი თავდაცვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმების (SEI) ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე თურქეთმა აშშ-ს ცვლილებების შეტანის მოთხოვნით მიმართა. თურქეთი, რომელიც ემხრობოდა აშშ-თან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, ამავე დროს, მისგან დახმარების გაზრდას ითხოვდა. თურქეთის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის გაგზავნილ ათპუნქტიან მოთხოვნას აშშ თავშეკავებით შეხვდა. აშკარა ხდებოდა, რომ ვაშინგტონი არ იჩენდა სათანადო ძალისხმევას, რათა აშშ-ის ტერიტორიაზე თურქულ პროდუქციას ექსპორტისათვის არსებული წინააღმდეგობები დაეძლია. აშშ სხვადასხვა ტექნიკური დეტალების მომიზეზებით აცხადებდა, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელი იყო თურქეთის ტექსტილის ნაწარმის ექსპორტისათვის არსებული ბარიერების მოხსნა. შეერთებული შტატების ასეთი გულგრილი მიდგომის საპასუხოდ თურქეთმა SEI-ს მოქმედება მხოლოდ ერთი წლით გააგრძელა. აშშ-თან ურთიერთობაში დამაბულობა გრძელდებოდა. შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ 1987 წელს თურქეთისთვის გადასაცემი გრანტისა და დახმარების რაოდენობა შეამცირა. უფრო მეტიც, თურქეთისთვის დახმარების საკითხის განხილვისას დღის წესრიგში კვლავ დადგა 1983 წლიდან კვიპროსზე თურქული ჯარის ყოფნის საკითხი (მას შემდეგ, რაც 1983 წლის 15 ნოემბერს „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქთა რესპუბლიკა“ გამოცხადდა, ბერძნული ლობი

თურქეთის წინააღმდეგ გააქტიურდა. უფრო მეტიც, აშშ-ის კონგრესში გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. თუმცა ეს არ ყოფილა შეერთებული შტატების დახმარების შემცირების ერთადერთი მიზეზი, კვიპროსის საკითხი ყველა პერიოდში, მინიმუმ ერთხელ, დღის წესრიგში დგებოდა და დახმარების საკითხის განხილვისას ამ პრობლემას ასახელებდნენ, როგორც წინაპირობას, რომელიც უარყოფითად მოქმედებდა ორმხრივ ურთიერთობაზე).

1987 წელს აშშ-ის დახმარების შემცირებით შეწუხებულმა ოზალმა შეერთებული შტატებისაგან მოითხოვა უფრო მეტი და უფრო ხელსაყრელი პროცენტით ფინანსური დახმარება და, ამავე დროს, სამხედრო ვალების ნაწილის ჩამოწერა. ბუნებრივია, რომ ამ მცდელობამაც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი. თურქეთმა და აშშ-მა 1987 წლის მარტში, დამატებითი დოკუმენტების გაცვლით, ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმება (SEI) 1990 წლამდე გააგრძელეს. დამატებითი დოკუმენტის დანართის ოქმში მხარეები გარკვეულ საკითხებზე შეთანხმდნენ. გარდა ამისა, თურქეთს, დახმარების სახით, დაახლოებით 400 მილიონი დოლარი უნდა მიეღო, მაგრამ SEI -ს ხელმოწერის შემდეგ აშშ-ის კონგრესმა თურქეთისთვის გამოყოფილი დახმარება მნიშვნელოვნად შეამცირა (Uzgel, 2001:57). უფრო მეტიც, დაასახელა დახმარების გაცემის შემდეგი პირობები: კვიპროსზე უნდა შეემცირებინათ თურქი სამხედროების რაოდენობა, ასევე, იქ არ უნდა გამოეყენებინათ თურქეთისათვის გადაცემული ამერიკული იარაღი. დამაბულობა ესკალაციის გარეშე დასრულდა, რადგანაც ოზალის მთავრობა რისკზე აღარ წავიდა. მინისტრთა კაბინეტმა წერილიც და ფარული ოქმიც 1988 წლის დასაწყისში დაამტკიცა. თ. ოზალის მთავრობა მიხვდა, რომ აშშ-თან, პრეზიდენტის დონეზე, უფრო კომფორტულ და გულითად ურთიერთობას დაამყარებდა, ვიდრე კონგრესთან.

ბერძნული ლობი ახერხებდა, რომ აშშ-ის კონგრესში კვიპროსის საკითხს აქტუალურობა არ დაეკარგა და მას მუდმივად იყენებდა თურქეთის წინააღმდეგ. ამის პარალელურად, სომხური ლობიც აგრძელებდა საქმიანობას და წარმა-

ტებებსაც აღწევდა. 1984 წლიდან, თითქმის ყოველ წელს, ამ ლობის გავლენით, ამერიკელი პოლიტიკოსები ააქტიურებდნენ სომეხთა გენოციდის პრობლემას. მათ არაერთხელ დააყენეს დღის წესრიგში საკითხი, რომ 24 აპრილი გამოცხადდეს გენოციდის დღედ. ეს ვითარება, რომელიც მუდმივად დისკომფორტს უქმნიდა თურქეთს, რეიგანის მმართველობის წლებში კონგრესს არ გასცდენია, თუმცა აშშ-თურქეთის ურთიერთობაში მუდამ სერიოზული დამაბულობის წყარო იყო.

1989 წლის 20 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტად არჩეულმა ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუშმა საარჩევნო პერიოდში სომხური ლობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღო.

1989 წლის ოქტომბერში აშშ-ის სენატის იურიდიულმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილების პროექტი - 24 აპრილი სომეხთა გენოციდის დღედ გამოცხადებულიყო. ამ ფაქტმა თურქეთის შემფოთება გამოიწვია. ანკარამ გარკვეული ზომები მიიღო, რომელიც დროებითი აღმოჩნდა. იანვარში თ. ოზალი აშშ-ს ესტუმრა. მაშინ, როდესაც აღნიშნულ საკითხზე თურქეთი ფიქრობდა, რომ კრიზისი დაძლეული იყო, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 24 აპრილს მსოფლიოს წერილობით აცნობა, რომ ეს დღე გამოცხადებულია ხსოვნის დღედ. აღნიშნული საკითხი დღესაც აქტუალურია აშშ-ისა და თურქეთის ორმხრივ ურთიერთობაში.

1985 წელს შეიქმნა თურქულ-ამერიკული ბიზნესსაბჭო და ამავე წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას თურქულ-ამერიკული ორმხრივი ინვესტიციების შესახებ, თუმცა ორივე დოკუმენტი შორს იყო იმ მოლოდინისაგან, რომელიც თურქეთს ჰქონდა. ამასთანავე, აშშ მოითხოვდა თურქული ეკონომიკის უფრო მეტ ლიბერალიზაციას, თურქეთისათვის უფრო მეტი სამხედრო პროდუქციის მიყიდვას და თურქეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აშშ თურქეთთან ურთიერთობაში ცდილობდა თავისი ინტერესების გატარებას.



ამგვარად, „ცივი ომის“ პერიოდში თურქეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებში აღმავლობას დაღმავლობა ენაცვლებოდა.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან თურქეთისა და აშშ-ის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ახალი ნიშნები გამოიკვეთა. როგორც თურქეთში, ასევე აშშ-ში მიმდინარე პროცესებმა, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მომხდარმა ცვლილებებმა, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას უაღრესად საინტერესო სახე მისცა. მართალია, ის წინა პერიოდებში არსებული ურთიერთობების ელემენტებს ეყრდნობოდა, მაგრამ თანამშრომლობის ახალი ფორმა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინანდელისაგან.

აღსანიშნავია, რომ თურქეთი ხშირად წინანდელზე უფრო აქტიურ და ეფექტურ პოლიტიკას ატარებდა და ზოგ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა, მაგრამ, როგორც ადრე ითქვა, იგი ვერ იღებდა იმ მხარდაჭერას, რომელსაც ელოდა აშშ-ისგან და, შესაბამისად, მიზნის მიღწევასაც ვერ ახერხებდა.

XX საუკუნის 80-იან წლებში, მიუხედავად მცირე უთანხმოებებისა, თურქეთის რესპუბლიკა ავტომატურად გადაიქცა ამერიკის შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანეს დასაყრდენად და ძლიერ ძალად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

აქედან გამომდინარე, XX საუკუნის 80-იან წლებში თურქეთის საგარეო პოლიტიკა, ძირითადად, აშშ-თან მოკავშირეობაზე იყო ორიენტირებული.

## თავი II. თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში

XX საუკუნის 90-იან წლებში, „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ, თურქეთის რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობას, ძირითადად, ასევე უსაფრთხოებაზე ზრუნვა განსაზღვრავდა. ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში დროდადრო საერთო, ზოგჯერ კი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიზნები იკვეთებოდა. ამის პარალელურად, აღმავლობისა და დაღმავლობის პერიოდები შეინიშნებოდა ეკონომიკურ ურთიერთობებშიც. სწორედ უსაფრთხოების პოლიტიკა წარმართავდა თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის. ერთ მხარეს იყო „ცივი ომის“ პერიოდში არსებული ორი პოლუსიდან ერთ-ერთის ლიდერი - აშშ, მეორე მხარეს კი - თურქეთი, რეგიონში მნიშვნელოვანი, მაგრამ აშშ-ზე მეტად დამოკიდებული ქვეყანა.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, კერძოდ, 1989 წლის 20 იანვარს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა ჯორჯ ბუში უფროსი, რომელმაც თურქეთს არამარტო შეუნარჩუნა უკანასკნელ წლებში გაცემული ფინანსური დახმარება, არამედ გაუზარდა კიდევ.

თურქეთ-აშშ-ის ორმხრივ ურთიერთობებში რადიკალური ცვლილებები სრულიად სხვა კონტექსტში მოხდა - სპარსეთის ყურეში ომის (1990-1991) დროს, როდესაც თურქეთს შესამღებლობა მიეცა აშშ-ისთვის თავისი რეალური სარგებლობა დაემტკიცებინა, ანკარამ მაქსიმალურად გამოიყენა თავისი შანსი და ანტიერაყული კოალიციის ჯარებს გაუხსნა თავისი სამხედრო ბაზები და ერაყ-თურქეთის ნავთობსადენის ქირქუქ - იუმურთალიკის მიმართულება გადაკეტა. გარდა ამისა, თავისი ჯარების მნიშვნელოვანი დაჯგუფება განალაგა ერაყ-თურქეთის საზღვარზე, რის გამოც მოხდა ს. ჰუსეინის არმიის გარკვეული ნაწილის მობილიზება აღნიშნულ მონაკვეთზე.

ანკარის ლოიალურობამ სპარსეთის ყურის ომის დროს, სსრკ-ის დაშლამ და თურქეთის გეოგრაფიულმა სიახლოვემ ევრაზიის პრობლემურ რეგიონებთან, ჯ. ბუშის ადმინისტრაცია აიძულა კვლავ განეხილა თურქეთის პრეზიდენტ თ. ოზალის წინადადება, რომელიც სთავაზობდა თურქეთის, როგორც ხიდის გამოყენებას - „დასავლეთსა და აღმოსავლეთს“ შორის. სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ თურქეთის პრეზიდენტის იდეა აშშ-ის რესპუბლიკელი სტრატეგები-სათვის სრულიად ახალი რაკურსით წარმოჩინდა. მათ დაჟინებით მოითხოვეს ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში თურქეთის სტრატეგიული როლის გაძლიერება, რაც აშშ-ს დაეხმარებოდა ერთდროულად ოთხი საკითხის გადაწყვეტაში. კერძოდ, **პირველი**, არსებობდა ვარაუდი, რომ ძლიერი თურქეთი წარმატებულად შეეწინააღმდეგებოდა რუსეთის შესაძლო ექსპანსიას სამხრეთის მიმართულებით. **ჯ. ბუშის** ადმინისტრაციაში შიშობდნენ, რომ კრემლის დაბრუნება ცენტრალური აზიის მდიდარ ქვეყნებში ძლიერი მოთამაშის რანგში საფრთხეს შეუქმნიდა აშშ-ს და ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. თურქეთის, როგორც ისლამური და ამავე დროს საერო, ეკონომიკურად სტაბილური სახელმწიფოს მაგალითი ყოფილი სსრკ-ის სამხრეთი რესპუბლიკების განვითარების მოდელი უნდა გამხდარიყო და ამავე დროს მას უნდა შეესრულებინა თავისებური ცივილიზებული „ხიდის“ როლი კულტურებს შორის. ეს ყველაფერი დასავლეთს დაუახლოვებდა ცენტრალური აზიის ქვეყნებს (**Lesser, 2007:25**). მეორე, ცენტრალური აზიის ქვეყნებთან გეოგრაფიული და ეთნიკური სიახლოვე (ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის მოსახლეობა თურქული წარმომავლობისაა) შესაძლებლობას მისცემდა თურქეთს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დაემკვიდრებინა საბაზისო „დემოკრატიული ფასეულობები“. აშშ-ის რესპუბლიკური ადმინისტრაციის ექსპერტთა აზრით, ბაზრების ფორმირება და სტაბილური პოლიტიკური წყობის დამყარება რეგიონში აშშ-ის გავლენას გააძლიერებდა და შესაძლებელს გახდიდა მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების შეღწევას ცენტრალურ აზიაში. მესამე,

ამერიკელი სტრატეგები სერიოზულად იყვნენ შეშფოთებულნი ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების საშიშროებით, რომელიც უკვე ძალას იკრებდა სუდანში, ეგვიპტეში, ალჟირსა და განსაკუთრებით ირანში. „ცხადია, რომ ირანი რეგიონის მნიშვნელოვანი მოთამაშეა, ამავე დროს ნათელი ხდება, რომ იქ ჩვენთვის სასურველია არა ირანული, არამედ თურქული გავლენა“, - წერდა გაზეთი „ბოსტონ გლობი“ (Curtius, 1992:16.). ვაშინგტონში იმედოვნებდნენ, რომ მუსლიმანურ თურქეთში ჩამოყალიბებული დემოკრატიული სისტემა შეიძლება იქცეს ირანის რადიკალური გავლენის იდეოლოგიურ საპირწონედ ცენტრალური აზიის ქვეყნებში, რომლებშიც მუსლიმური მოსახლეობა ჭარბობდა. „დღეს ჩვენ თუ არ გავაკეთებთ იმას, რაც უნდა გავაკეთოთ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებისათვის, შემდგომში უკვე გაცილებით დიდი საფასურის გადახდა მოგვიწევს“, - წერდა გაზეთი „უოლს ტრიბ ჯორნალი“ (Seib, 1992:1.). და ბოლოს, მეოთხე: თურქეთთან კავშირი პასუხობდა აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებს. აღნიშნული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი კონგრესში ტრადიციულად რესპუბლიკური პარტიის ფრაქციით იყო წარმოდგენილი. კომპლექსის ლობისტები იმედოვნებდნენ, რომ 1990-იან წლებში ანკარა კვლავ იქნებოდა ამერიკული იარაღის ერთ-ერთი სტაბილური მყიდველი.

თავისი სტრატეგების რეკომენდაციებიდან გამომდინარე, პრეზიდენტი ჯ. ბუში ცდილობდა დაერწმუნებინა კონგრესი იმაში, რომ აუცილებელი იყო თურქეთს შენარჩუნებოდა ფინანსური დახმარება, რადგანაც, ერთი მხრივ, ეს იყო სტრატეგიული პარტნიორობის მხარდაჭერა, და, მეორე მხრივ, ერთგვარი მადლიერება სპარსეთის ყურეში ომის დროს კოალიციასთან თანამშრომლობისათვის (Athanassopoulou, 2012:149).

თუმცა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც 1992 წლის ბოლომდე კონგრესში უმრავლესობას ფლობდნენ (ისინი კონგრესის ორივე პალატას აკონტროლებდნენ), რესპუბლიკელების მიერ შეთავაზებული თურქ-

ული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. დემოკრატები თვლიდნენ, რომ საბჭოთა საფრთხის გაქრობის შემდეგ პრეზიდენტს უნდა შეემცირებინა თურქეთისთვის სამხედრო დახმარება და უპირატესობა მიენიჭებინა თურქეთთან სავაჭრო პარტნიორობისათვის, რათა გამოეყენებინათ მისი საბაზრო პოტენციალი და დემოკრატიული გარდაქმნების მხარდაჭერა. ექსპერტები სერიოზულ ეჭვს გამოთქამდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნები „ვიღაცის მოდელებს პასიურად მიიღებდნენ“ და აღნიშნავდნენ, რომ ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკებისათვის თურქეთის მაგალითის თავსმოხვევა არის „ძალიან რთული პრობლემის გულუბრყვილო გადაწყვეტა“ (Crossette, 1992:16).

უნდა ითქვას, რომ დისკუსიები თურქეთის შესახებ მიმდინარეობდა თავად აშშ-ის ეკონომიკური კრიზისის ფონზე. ამიტომაც დემოკრატიული ბანაკის კრიტიკოსები ძალიან მკაცრად მიუთითებდნენ პრეზიდენტ ჯ. ბუშს, რომ ის ზედმეტად დიდ დროსა და ფულს ხარჯავდა საგარეო პოლიტიკაზე და თითქმის არ ზრუნავდა საშინაო პრობლემებზე.

„მომავალ პრეზიდენტს საკმაოდ გაუჭირდება აუხსნას თავის მოქალაქეებს, თუ რატომ უნდა დაეხმაროს აშშ უცხოეთის მთავრობებს სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში“, - ამტკიცებდა ზომიერი ცენტრისტი, რესპუბლიკელი სენატორი ინდიანის შტატიდან რ. ლუგარი (Seib, 1992:1).

გარდა ამისა, კონგრესში ორივე პარტიის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ საგარეო დახმარების პროგრამა ფუნდამენტურ რეფორმებს საჭიროებდა. 1992 წლის ბოლოს, დემოკრატმა ლ. ჰამილტონმა განაცხადა, რომ „ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ორგანოებმა საგარეო პოლიტიკის საკითხში პრაქტიკულად კონსენსუსს მიაღწიეს“ (Seib, 1992:1).

მაღე აშშ-ის კონგრესმა მთელ რიგ ქვეყნებში დემოკრატიული რეფორმების დასახმარებლად განკუთვნილი სახსრები სერიოზულად შეამცირა, თუმცა საგარეო დახმარების შემცირება და დემოკრატების ზეწოლა თურქეთზე პრაქტიკულად არ აისახა. ადმინისტრაცია კვლავ განაგრძობდა რეგიონში ანკარის მდგომარეობის განმტკიცებას: მისთვის გაწეული ფინანსური დახმარება 515 მლნ. დოლარიდან (1991 წ.) 1992 წელს 804,1 მლნ. დოლარამდე გაიზარდა. გარდა ამისა, აშშ-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო თურქეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციაში, მათ მიაწოდა: ტანკები M-60 და „ლეოპარდი“, ჯავშნიანი ავტომობილები, საარტილერიო დანადგარები, F-4 გამანადგურებლები, შვეულმფრენები „კობრა“ და დედამიწა-ჰაერის კლასის რაკეტები „როლანდი“ (Prager, 2003:6).

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის მმართველმა წრეებმა დადებითად აღიქვეს რესპუბლიკელების სტრატეგიული მიდგომა. პროდასავლური ორიენტაციის მქონე პრეზიდენტის - თ. ოზალის ინტერესები ევრაზიის მიმართულებით პრაქტიკულად მთლიანად დაემთხვა ვაშინგტონის ინტერესებს: 1990-იან წლებში დაწყებული სერიოზული ფინანსური კრიზისის პირობებში ანკარისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ცენტრალური აზიის რეგიონში შეღწევა და დამკვიდრება ადგილობრივი ბაზრებისა და ნედლეულის რესურსების გამოყენების მიზნით. თურქეთის მთავრობის შემფოთება ცენტრალურ აზიაში რუსეთის დომინირების დაბრუნებასთან ან ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელებასთან დაკავშირებით ასევე ხელს უწყობდა თურქეთის წინსვლას აშშ-ის სტრატეგიული გეგმების შესაბამისად.

1992 წლის დასაწყისში ჯ. ბუშის ადმინისტრაციამ, გადაწყვიტა კორექტივები შეეტანა თურქეთის მიმართ თავის პოლიტიკაში. ამერიკელი სტრატეგების შემფოთება გამოწვეული იყო პრეზიდენტ თ. ოზალის დედასამშობლოს პარტიის

საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებითა და ს. დემირელის მემარჯვენე კონსერვატიული ქემმარტი გზის პარტიის მიერ უმრავლესობის მოპოვებით. თუმცა ვაშინგტონის შიში მალევე გაქარწყლდა, რადგან თანამდებობის დაკავებისთანავე პრემიერ-მინისტრმა ს. დემირელმა მიანიშნა, რომ მხარს დაუჭერდა ერთობლივ თურქულ-ამერიკულ საგარეო-პოლიტიკურ სტრატეგიას. „თურქეთი მზად არის თავის თავზე აიღოს თურქულენოვანი რესპუბლიკების მეურვეობა“, - განაცხადა ს. დემირელმა დსთ-ს ცენტრალური აზიის რესპუბლიკების მეთაურებთან შეხვედრის შემდეგ დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე (Иванова, 2013:94).

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ცენტრალური აზიის რესპუბლიკები საბჭოთა კავშირის დაშლამდეც იყვნენ დაინტერესებულნი თურქეთთან ურთიერთობების განვითარებით: პრაქტიკულად ხუთივე ლიდერი აგზავნიდა ანკარაში თავისი პირველი საგარეო-პოლიტიკური ვიზიტის მოთხოვნას. თურქეთმა ყველა მათგანს მისცა თანხმობა, რის შემდეგაც აღნიშნული ვიზიტები შედგა.

1992 წლის 15 თებერვალს, ს. დემირელი ოფიციალური ვიზიტით ეწვია ვაშინგტონს, სადაც მან დაადასტურა თურქეთის დაინტერესება აშშ-თან ურთიერთობების განვითარებით, მაგრამ ამასთანავე განაცხადა, რომ თავს არ თვლიდა „ამერიკულ პუდელად“, ამით მიანიშნა, რომ სწორედ ასეთ როლს თამაშობდა პრეზიდენტი თ. ოზალი (Weymouth, 1992:19). თურქეთის პრემიერ-მინისტრის ამგვარმა პოზიციამ ერთგვარი დამაბულობა შეიტანა ორი ქვეყნის ურთიერთობაში, თუმცა სერიოზული გავლენა საერთო მდგომარეობაზე მას არ მოუხდენია.

XX საუკუნის 90-იან წლებში, აშშ-ისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თურქეთის ურთიერთობები თავის უშუალო მეზობელთან - ერაყთან. ანკარის მიერ ერაყული ნავთობსადენის გადაკეტვა და გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციები ბაღდადის მიმართ სპარსეთის ყურის ომის შემდეგ 1994 წ.

თურქეთისათვის იქცა მიუღებელი მოგების (20 მლრდ. დოლარი) მიზეზად. ბუშის ადმინისტრაციაში შიშობდნენ, რომ თურქეთის ახალი მთავრობა, გაეროს აკრძალვის მიუხედავად, აღადგენდა ურთიერთობას ერაყთან. ამიტომაც მოკავშირის მიერ მიღებული დანაკარგის კომპენსაციის მიზნით ბუშის მთავრობამ თავის თავზე აიღო ვაშინგტონში „თურქეთის დაცვის ფონდის“ შექმნის ინიციატივა. ფონდში მონაწილეობდნენ აგრეთვე საუდის არაბეთი, კუვეიტი და გაერთიანებული არაბული ემირატები. მონაწილე ქვეყნებმა ფონდში 3,5 მლრდ. დოლარი შეიტანეს 5 წლით და ამით გამოხატეს თავიანთი მადლიერება ანკარის მხარდაჭერის მიმართ ერაყთან ომში (Athanassopoulou, 2012:151.). კერძოდ, ამ ფონდით განხორციელდა თურქეთში ამერიკული გამანადგურებლების F-16 ერთობლივი წარმოების დაფინანსება.

გარდა ამისა, ადმინისტრაციამ შეძლო კონგრესში გაეტანა ამერიკული საექსპორტო-საიმპორტო ბანკის (Export-Import Bank-EIB) 1,3 მლრდ. დოლარის კრედიტი, რომელიც გამიზნული იყო თურქეთსა და კორპორაცია „სიკორსკი ეირკრაფტს“ შორის შვეულმფრენების „შავი ძერას“ ერთობლივი წარმოებისათვის დადებული გარიგების 85%-ის დასაფინანსებლად (Athanassopoulou, 2012:151). ეს იყო პირველი შემთხვევა ბანკის 50-წლიან ისტორიაში, როდესაც EIB-მა სამხედრო გარიგება დააფინანსა.

ამ მეგობრული ნაბიჯების ფონზე ამერიკულ - თურქული ურთიერთობების სიმტკიცის მოულოდნელ გამოცდად იქცა „ქურთების საკითხი“. 1991 წლის მარტში ს. ჰუსეინის ჯარები თავს დაესხნენ ჩრდილოეთ ერაყის ქურთებს და ათასობით ლტოლვილი აიძულეს თავი შეეფარებინა თურქეთისათვის. თურქმა დიპლომატებმა გაეროში განაცხადეს, რომ ქვეყანას არ შეუძლია იზრუნოს ყველა ლტოლვილზე და საერთაშორისო თანამეგობრობამ თავად უნდა გადაწყვიტოს ერაყში ქურთების პრობლემა. ამით მათ გაკვირით მიაწინეს იმაზე, რომ სწორედ აშშ-სა და ნატოს სხვა ქვეყნების ინიციატივით დარჩა სადამ ჰუსეინი ხელი-სუფლებაში სპარსეთის ყურის ომის შემდეგ (Goshko, 1992:31). პრობლემის



გადასაწყვეტად ამერიკის ადმინისტრაცია დათანხმდა თურქეთის წინადადებას ინჯირლიკის თურქულ სამხედრო ბაზაზე ჯარის განლაგებასთან დაკავშირებით, რათა მოეხდინათ ჩრდილოეთ ერაყის არასაფრენი ზონის პატრულირება. „ეს არის აშშ-ის მორალური ვალდებულება, არ დაუშვას გენოციდი და მასობრივი მკვლევლობები“, - ასე ხსნიდნენ თავიანთ ქმედებებს აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლები (Goshko, 1992:32).

ინტერესთა თანხვედრის მიუხედავად, არასაფრენი ზონის შექმნამ თურქებს ეჭვები გაუჩინა იმის თაობაზე, რომ ამერიკელები ფარულად გეგმავდნენ დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნას და მხარს უჭერდნენ სეპარატისტული ქურთისტანის მუშათა პარტიის ქმედებებს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. თურქეთის მთავრობაში გავრცელდა აზრი, რომ „თუ შემდგომში ამგვარი ეჭვები გაძლიერდებოდა, აშშ-ის მიერ ინჯირლიკის გამოყენებაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა“ (Cowell, 1992:2).

თურქეთში ამერიკის სამხედრო ნაწილის ყოფნის შესუსტების თავიდან აცილების მიზნით ჯ. ბუმმა ს. დემირელს დაუდასტურა, რომ აშშ მხარს არ უჭერდა დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნას. უფრო მეტიც, ამერიკელებმა ქურთისტანის მუშათა პარტია „ტერორისტულ ორგანიზაციად“ ცნეს და მხარი დაუჭირეს ანკარის უფლებას, თავი დაიცვას ტერორიზმისაგან. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის მიერ ვაშინგტონში ორგანიზებულ შეხვედრაზე ერაყელმა ქურთებმა განაცხადეს, რომ მხარს არ უჭერენ თურქეთში ქურთთა სეპარატისტულ მოძრაობას (Cowell, 1992:2).

ქურთისტანის მუშათა პარტიის „ტერორისტულ ორგანიზაციად“ აღიარებას მოჰყვა კრიტიკის ტალღა პრეზიდენტ ჯ. ბუშის მისამართით იმ ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნით გამოდიოდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქურთისტანის მუშათა პარტიის „ტერორისტულ ორგანიზაციად“ აღიარება თურქეთს ქურთული მოსახლეობის უკანონოდ გაჟლეტის საშუალებას აძლევდა. „ჩვენ სადამ ჰუსეინს „ქურთების ყასაბს“

ვუწოდებთ, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ჩვენს დიდ მოკავშირეს - თურქეთს, სინამდვილეში სრულიად სხვაგვარი ვითარება იქმნება, - აღნიშნავდნენ აშშ-ის ადმინისტრაციის კრიტიკოსები - ამერიკული ტექნიკის (ტანკების, საბრძოლო ჯავშნიანი ავტომობილების, ულტრაბგერითი თვითმფრინავების, სასროლი იარაღის, რაკეტებისა და ტყვია-წამლის) გამოყენებამ თურქეთისა და ერაყის ქურთული რაიონები თურქეთის ჯარების სასროლეთად აქცია“ (Kalemkerian,1992:47). ქურთული უმცირესობის დაცვასა და თურქულ სეპარატიზმთან საბრძოლველად იარაღის გაყიდვას შორის მანევრირების აუცილებლობამ გარკვეულწილად გაართულა ურთიერთობები ამერიკული ისტებლიშმენტის სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ამერიკული ადმინისტრაცია არჩევანის წინაშე დადგა: ან მხარი დაუჭიროს ადამიანის უფლებების დაცვის პრიორიტეტულობას, ცნოს ქურთების უფლება სუვერენული სახელმწიფოს შექმნაზე, დაარღვიოს თურქეთის ტერიტორიული მთლიანობა და ამით სტრატეგიული პარტნიორი დაკარგოს, ან „ქურთული საკითხის“ გადაწყვეტა ანკარას მიანდოს და თვალი დახუჭოს თურქი სამხედროების სისასტიკეზე. პრეზიდენტმა ბუშმა მეორე გზა აირჩია.

1999 წლის 15 თებერვალს ანკარაში ერაყის ვიცე-პრემიერ ტარიკ აზიზის ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ აშშ, ერაყის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების დაბომბვით, რეგიონში დამაბულობას ზრდიდა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უარყოფითად შეაფასა ერაყის ხელისუფლების წარმომადგენლის ეს ვიზიტი და აღნიშნა, რომ თურქეთის მთავრობის ასეთი პოლიტიკური ნაბიჯი ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტების მოგვარებას შეაფერხებდა.

თურქეთთან მიმართებით ამერიკული პოლიტიკის საკმაოდ მძიმე გამოცდად იქცა მთიანი ყარაბახის კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ვაშინგტონს აშფოთებდა თურქული საზოგადოებრივი აზრისა და პრეზიდენტ თ. ოზალის მკვეთრი გამოსვლები აზერბაიჯანის მხარდასაჭერად, რასაც შეეძლო

რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაცია გამოეწვია ორი ქვეყნის ტერიტორიულ კონფლიქტში თურქეთის სამხედრო ჩარევის შემთხვევაში.

აზერბაიჯანში თურქული ჯარების გაგზავნის შესაძლებლობა საკმაოდ რეალური იყო. პრემიერი დემირელი პირდაპირ აცხადებდა ინტერვიუში, რომ ძლიერი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა და „რაც მომენტში ჩვენ ვერ შევძლებთ შევეწინააღმდეგოთ საზოგადოებრივ აზრს“ (Harden, 1992:17). მეორე მხრივ, ანკარას ესმოდა, რომ სომხეთთან ომი აუცილებლად გამოიწვევდა საგარეო დახმარებისა და თურქეთისათვის იარაღის მიყიდვის მოცულობის შემცირებას ამერიკაში სომხური ლობის ზეწოლის გამო. ამით ასევე დასამარდებოდა ევროკავშირში შესვლის იდეაც.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის სომხური ლობი მუდმივად ართულებდა სიტუაციას და კორექტივები შეჰქონდა ბუმის ადმინისტრაციის კავკასიურ სტრატეგიაში. კერძოდ, 1992 წელს ამერიკელმა კანონმდებლებმა ზეწოლის შედეგად მიიღეს „თავისუფლების მხარდაჭერის აქტის“ 907-ე შესწორება, რითაც აშშ-ს ეკრძალებოდა აზერბაიჯანის ფინანსური დახმარება. უფრო მეტიც, პრემიერი ს. დემირელი იძულებული გახდა სომხეთისათვის განკუთვნილი ამერიკული დახმარება თურქეთის გავლით გაეტარებინა, რამაც სერიოზულად დააზარალა აშშ-ის იმიჯი თურქეთის თვალში (Harden, 1992:17).

მიუხედავად კონფლიქტის ესკალაციის საშიშროებისა, ვაშინგტონი პოზიტიურად იყო განწყობილი ანკარისა და ბაქოს თანამშრომლობისადმი სამხედრო სფეროში, რადგანაც ეს ერთგვარად შეაჩერებდა ირანს. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ყველა პოლიტიკური მანევრის შედეგად პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა შეძლო თავიდან აეცილებინა კონფლიქტში თურქეთის სამხედრო ჩარევა.

თავის მხრივ, თურქეთი არასოდეს არ გაამწვავებდა ურთიერთობას არც აშშ-თან და არც ნატოსთან, რადგან, ძირითადად, სწორედ ამ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციაზე იყო დამოკიდებული მისი თავდაცვისუნარიანობის სიმტკიცე, აგრეთვე, წარმატება ევროკავშირთან მოლაპარაკებებში.

ევროპა ანკარას ბრალს სდებდა ადამიანთა უფლებების დარღვევაში, ვაშინგტონი კი შედარებით თავს იკავებდა ანკარის მძაფრი კრიტიკისაგან, რადგან არავითარი სურვილი არ გააჩნდა გაეფუჭებინა ურთიერთობა საკმაოდ დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ქვეყანასთან, რომელიც თითქმის ყოველთვის ამართლებდა მის იმედებს და იყო მისი ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ამ რეგიონში.

XX საუკუნის 90-იან წლებში, თურქეთმა მონაწილეობა მიიღო ყველა იმ აქციაში, რომელიც მოაწყვეს ახლო აღმოსავლეთში დასავლეთის სახელმწიფოებმა. ის მონაწილეობდა 1990-1991 წლების კოალიციაში, რომელიც შექმნილი იყო ქუვეითიდან ერაყის საოკუპაციო ჯარის განსადევნად.

1990-იან წლებში თურქეთმა რამდენჯერმე შეიყვანა თავისი სამხედრო ნაწილები ჩრდილოეთ ერაყში მეამბოხე „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ ბაზების გასანადგურებლად. 1998 წელს თურქეთის მხრიდან დიდმა ზეწოლამ აიძულა სირიის ხელმძღვანელობა, არ მიეცა პოლიტიკური თავშესაფარი თურქეთის მეამბოხე ქურთების მეთაურ ა. ოჯალანისთვის და გაემევებინა ის ქვეყნიდან.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ თურქეთის მდგომარეობის შესახებ საინტერესო განმარტებას აკეთებს თურქი მეცნიერი ნასულ უსლუ. ავტორი თავის ნაშრომში „1947 წლიდან დღემდე. თურქეთ-ამერიკის ურთიერთობათა ზოგადი პორტრეტი“, აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთის ბლოკის დაშლის შემდეგ შექმნილი გაურკვეველი ატმოსფერო თურქეთის უსაფრთხოებისათვის შემაშფოთებელი იყო. კრიზისი სპარსეთის ყურის რეგიონში, იუგოსლავიაში - ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტი, კავკასიაში - სომხეთ - აზერბაიჯანის დაპირისპირება და ჩეჩნეთის ომი, ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთის და ზოგადად სამხრეთ კავკასიის რეგიონში არეულობა თურქეთის რესპუბლიკას აიძულებდა დაეწყო უსაფრთხოების ზომების მიღება“. ავტორის აზრით, ასეთ გაურკვეველ და მრავალმხრივად არეულ სიტუაციაში თურქეთს ამერიკის „დახმარებით“, „მსოფლიო ჟანდარმის“ როლის თამაში შეეძლო (**Nasul Uslu, 2000:203**).

საინტერესოა ზბიგნევ ბჟეზინსკის დასკვნაც, მისი აზრით, „ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთმა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური როლი მოიწიო. იმ დროისათვის თურქეთის მახლობლად და შემოგარენში არსებული რეგიონული საფრთხეები, ენერგორესურსებით მდიდარ ადგილებთან სიახლოვე და გეოპოლიტიკური პოზიცია თურქეთ-ამერიკის ურთიერთობის ცენტრში მოექცა (Bjezinski, 2005:246).

XX საუკუნის 90-იან წლებში, „ცივი ომის“ დამთავრებამ და პოლიტიკური სარბიელიდან თურქეთის უმთავრესი საფრთხის - საბჭოთა კავშირის „წასვლამ“, ანკარას მისცა რეგიონში დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა, რომელმაც უფრო აქტიური სახე მიიღო XXI საუკუნის დასაწყისში.

თურქულ-ამერიკული ურთიერთობების ამჟამინდელი მდგომარეობა რადიკალურად განსხვავდება „ცივი ომის“ ეპოქის დროინდელისგან. მაშინ, როდესაც საბჭოთა საფრთხის გამო ორმა ქვეყანამ მალე შეძლო საერთო ენის გამონახვა, ვაშინგტონის „ქოლგის“ ქვეშ ყოფნა თურქეთის ხელისუფლებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. თანამედროვე ეტაპზე კი, თურქეთისათვის აშშ-თან ასეთი გამაერთიანებელი საფრთხე აღარ არსებობს და ქვეყნის სათავეშიც სხვა ტიპის პოლიტიკური ლიდერი დგას. თურქეთის დღევანდელი პოლიტიკური კურსი, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, უფრო მეტად ქვეყნის ინტერესებზეა ორიენტირებული.

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ XX საუკუნის 90-იან წლებში თურქეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებში გამოიკვეთა ახლებური მიდგომა, რომელმაც განსაზღვრა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში თურქეთის ადგილი და როლი. პრიორიტეტების ფუნდამენტური ცვლილების მიუხედავად, რაც დაკავშირებული იყო „ცივი ომის“ მდგომარეობიდან „ერთპოლუსიან სამყაროზე“ გადასვლის პროცესთან, აშშ-ის ადმინისტრაცია შეეცადა შეენარჩუნებინა თურქეთის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა. ანკარა მოიაზრებოდა როგორც მოკავშირე ახლო აღმოსავლეთსა და კასპისპირეთში ამერიკული

გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევისას. ამასთან, თურქეთისათვის შეთავაზებული წინადადება, შეესრულებინა „ხიდის“ როლი დასავლეთს, კავკასიასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის, ასევე ყოფილიყო რუსეთისა და ირანის გავლენის საპირწონე რეგიონში, განმტკიცებულ იქნა შესაბამის რეგიონში შესაბამისი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური პროექტების მხარდაჭერით.

თურქეთისა და აშშ-ის ლიდერებს რიგ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული პოზიციები და შეხედულებები აქვთ. ისინი განსხვავებულად აღიქვამენ თავიანთი ქვეყნების ადგილსა და როლს საერთაშორისო ურთიერთობებში.

წლების განმავლობაში ამერიკულ-თურქულ ურთიერთობებში რიგი პრობლემა დაგროვდა, მათი გადაჭრა დროში გაიწელა. კრიზისის წარმოშობის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კი გვიჩვენა, რომ თურქულ - ამერიკულ ურთიერთობებში დამაბულობა გრძელვადიანია და არ უნდა ველოდოთ მის სწრაფ მოგვარებას.

ამრიგად, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ თურქეთი ავტომატურად გადაიქცა ამერიკის შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანეს დასაყრდენ ძალად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. აქედან გამომდინარე, XX საუკუნის 90-იან წლებში თურქეთის საგარეო პოლიტიკა, ძირითადად, აშშ-თან მოკავშირეობაზე იყო ორიენტირებული.

### თავი III. თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები 2002-2020 წლებში

#### 3.1. თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობების პოლიტიკური იდეოლოგიები თანამედროვე ეტაპზე

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში, თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტაბილური ურთიერთობაა. აშშ-ის მიერ შეთავაზებულ და უზრუნველყოფილ გარანტიებს თურქეთისთვის, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაში, გადაძწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

თუ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში საერთაშორისო მასშტაბით მულტიპოლარული სისტემა (მულტიპოლარულია სისტემა, როდესაც ძლიერი სახელმწიფოების რიცხვი ორზე მეტია) (Ateş, 2014:56) არსებობდა (Aydın Bakıncak, 2016:100), ცივი ომის პერიოდში ბიპოლარული სისტემა (ბიპოლარულია სისტემა, როდესაც ძალა ორი უძლიერესი სახელმწიფოს ხელშია, მაგალითად, „ცივი ომის“ პერიოდში) (Aydın, 2016:47) გაბატონდა (Maersheimer, 1990:11). 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლით და აშშ-ის სუპერ სახელმწიფოდ გადაქცევით, ერთპოლარული მსოფლიო წესრიგი ჩამოყალიბდა (Uzer, 2013:69-99), თუმცა ერთპოლარული სისტემის დიდი ხნით არსებობა შეუძლებელი იყო, რადგანაც ნებისმიერი სხვა სახელმწიფო საკუთარი არსებობის შესანარჩუნებლად ძალთა ბალანსისა და კონკურენტუნარიანობის სადარაჯოზე დგას (Waltz, 1993:75-76).

„ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ შექმნილ ახალი საერთაშორისო წესრიგის ჩარჩოებში თურქეთმა, აშშ-თან ერთად, ურთიერთობის ახალი კურსი აირჩია. მით უმეტეს, რომ უკვე აღარ არსებობდა მისთვის ისეთი საშიში ძალა, როგორც საბჭოთა კავშირი იყო. გლობალიზაციის პროცესში კი კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად აშშ-თან და ევროკავშირთან დაბალანსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორობის უზრუნველყოფა აუცილებელი პირობა გახდა.

აქედან გამომდინარე, თურქეთი დასავლეთთან დაახლოებისათვის, გლობალური ღირებულებების პარალელურად, საშინაო და საგარეო სისტემის გარდაქმნის აუცილებლობის წინაშე დადგა (Ercan, Ayata, 2007:20).

თუ XX საუკუნის 90-იან წლებში თურქეთ-აშშ-ს შორის ურთიერთობა საერთო სტრატეგიული პარტნიორობის ჩარჩოებში მიმდინარეობდა, 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ის საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და დემოკრატიული იდეების დამკვიდრებაში გადაიზარდა (Küçükşahin, Akkan, 2007:41). ნიშანდობლივია, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ეს ურთიერთობა ასიმეტრიულ ხასიათს ატარებდა. სხვა დატვირთვისთან ერთად პოლიტიკური და სტრატეგიული საფრთხის შინაარსის მატარებელი ტერმინი „ასიმეტრიული“, ურთიერთობათა ორმხრივ კონცეფციას გულისხმობს. პოლიტიკური ასიმეტრიის შესანიშნავ მაგალითს კი თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობა წარმოადგენს, თუ რამდენად ასიმეტრიულია თურქეთი ამერიკისთვის და პირიქით (Küçükşahin, Akkan, 2007:43).

საინტერესოა ამ სფეროში მომუშავე თურქი მეცნიერების მიდგომა ცივი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე თურქეთის როლსა და თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობის საკითხისადმი. პროფესორი ჰასან ქონი განმარტავს, რომ 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნავთობის უზარმაზარ მარაგთან სიახლოვემ თურქეთი ახალ, რეგიონულ ძალად აქცია, რაც ბუნებრივია, სუპერ სახელმწიფოს, ამერიკას, მოსვენებას არ აძლევდა (Köni, 2003:18). პროფესორი ნასუჰ უსლუ თვლის, რომ „აღმოსავლეთის ბლოკის დაშლის შემდეგ შექმნილია გაურკვეველი ვითარება. ზოგადად არეულობამ კავკასიასა და ბალკანეთში, აიძულა თურქეთის რესპუბლიკა დაეწყო თავისი უსაფრთხოების განმტკიცებისათვის ზომების მიღება, და აქ თურქეთს, ამერიკის „დახმარებით“ განსაკუთრებული როლი უნდა ეთამაშა“ (Uslu, 2000:203). პროფესორი ილჰან უზგელი თვლის, რომ „თურქეთი ამერიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე რეგიონული ძალაა, ხოლო ამერიკა თურქეთი-



სთვის უსაფრთხოების გარანტორ ზესახელმწიფოს წარმოადგენს“ (Uzgel, 2002:251). ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მოლოდინი აშკარა და ნათელი იყო (Bal, 2004:152). ზბიგნევ ბჟეზჟინსკი თავის წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა“ წერს, რომ „ცივი ომის დასრულების შემდეგ, თურქეთმა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური როლი მოიწიგო და გეოპოლიტიკურმა პოზიციამ ის ამერიკის საგარეო პოლიტიკის ცენტრში მოაქცია“ (Brzezinski, 2005:246).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთ-აშშ-ს შორის აქტიური ურთიერთობის გაგრძელება შემდეგი სამი მიზეზით იყო განპირობებული: პირველი - აღმოსავლეთ ბლოკის დაშლის შემდეგ შექმნილი გაურკვეველი გარემო ყველაზე მეტად აშინებდა თურქეთს, თუმცა შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის სტაბილურობა ამ შიშის აღმოფხვრის გარანტიას იძლეოდა; მეორე - თურქეთი ცივი ომის პერიოდში აშკარად გამოხატულ პროდასავლურ პოლიტიკას ატარებდა, უფრო მეტიც, საკუთარ ეროვნულ ინტერესებსაც დასავლური ბლოკის ლიდერის, აშშ-ის, პოლიტიკური და სამხედრო პრიორიტეტების შესაბამისად განსაზღვრავდა. მესამე მიზეზი კი, ცივი ომის დამთავრების შემდეგ, ახალ საერთაშორისო სისტემაში თურქეთის ეკონომიკის გარდაქმნის აუცილებლობა გახდა, რაც ეკონომიკურად ძლიერ ამერიკაზე პირდაპირ დამოკიდებული იყო (Çağrı, 2004:141-147).

მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებში გაურკვეველობა და დაძაბულობა აშკარად იყო გამოხატული, მათ შორის კავშირი ყოველთვის ინარჩუნებდა სტაბილურობას. ამის მთავარი მიზეზი კი, ხშირ შემთხვევაში, საერთო ორმხრივი ინტერესები იყო. ორივე ქვეყანას მსოფლიო საკვანძო საკითხებში, მათ შორის რეგიონულში, ასევე გლობალური ძალების დაბალანსების საქმეში, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ანუ ამ ორ ქვეყანას შორის საგარეო ურთიერთობის მთავარი მახასიათებელი მხოლოდ მათ შორის კონკრეტულ ურთიერთობას კი არ განსაზღვრავს, არამედ, ხშირად მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე მოვლენებსაც. აქედან გამომდინარე, ორივე

ქვეყანის მიერ საერთო საგარეო პოლიტიკის შემუშავება, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესაბამისად, სათანადო პოლიტიკის წარმოებით, პირდაპირ აისახება მათი ურთიერთობების სვლასა და მიმართულებაზე (**Obama Dönemi, 2009:5**). ზოგადად ძლიერი თურქულ-ამერიკული პარტნიორობა, რომელიც საერთო რეგიონულ თუ გლობალურ ხედვასა და პოლიტიკას ეფუძნება, საკმაოდ დიდ ძალისხმევასა და სიფრთხილეს მოითხოვს, რადგანაც ამა თუ იმ პროცესში, ამ ორი სახელმწიფოს გარდა, სხვა სახელმწიფოების და სხვა ძალების ჩართვის გარეშე, ანუ მათი გვერდის ავლით, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა წარმატებული და პროდუქტიული ვერ იქნება (**Obama Dönemi, 2009:6**).

თურქეთსა და აშშ-ს მსოფლიოს მრავალ რეგიონში საერთო თუ საკუთარი ინტერესები და მიზნები ამოძრავებს. რეგიონებში, სადაც პირველ რიგში, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა ორივე ქვეყნისთვის პრიორიტეტულია, მაგალითად, ნავთობის მოპოვებისა და მისი ტრანსპორტირების თვალსაზრისით. სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე კავკასიის რეგიონში მშვიდობიანი გზით საკვანძო კონფლიქტების მოგვარება, ეკონომიკის განვითარება და მისი მდგრადობის შენარჩუნება, რეგიონის ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა და რუსეთის, როგორც აგრესორის, შეკავების მისია ამავე რეგიონში საერთო ინტერესების მქონე თურქეთმა და ამერიკამ იკისრეს. რა თქმა უნდა, ასეთ საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა გარდაუვალია, თუმცა ორივე ქვეყნის მიერ შემუშავებული საერთო მიზნების სისრულეში მოყვანის გზაზე ურთიერთდათმობის მეთოდი მომავალში სხვა შეთანხმებების მიღწევის გაადვილების შანს იძლევა. მიუხედავად პერიოდული უთანხმოებებისა, ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორცაა: ერაყის, კავკასიის, ავღანეთის, ახლო აღმოსავლეთისა და სხვა კონფლიქტების მოგვარება ორივე ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ეს ამოცანა განსაზღვრავს თურქეთ-ამერიკის შეერთებულ

შტატებს შორის მომავალი ურთიერთობების ფორმირების გზაზე საერთო პარტნიორობის პერსპექტივებს.

„ცივი ომის“ დამთავრებამ და პოლიტიკური რუკიდან თურქეთის უმთავრესი საფრთხის - საბჭოთა კავშირის გაქრობამ, ანკარას მისცა რეგიონში დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა, თუმცა ისეთ ძლიერ პარტნიორზე, როგორც აშშ იყო, მას არასოდეს უთქვამს უარი.

მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ურთიერთობები ამ ორ ქვეყანას შორის არ იყო თავისუფალი გარკვეული სირთულეებისგან, და ეს განპირობებული იყო არამარტო მათი ობიექტური ინტერესების არათანხვედრით, არამედ მათი პოლიტიკური ხელმძღვანელების განსხვავებული შეხედულებითაც რეგიონსა თუ მსოფლიოში მიმდინარე პროცესზე.

ძირეული ცვლილებები თურქეთ-აშშ-ს შორის ურთიერთობაში 2002 წლიდან დაიწყო, როდესაც თურქეთის ხელისუფლებაში ისლამური მიმართულების „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტია მოვიდა, რომელსაც სათავეში ედგა ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი. ამ ახალი პოლიტიკური ძალის საგარეო სტრატეგია, რომლის ავტორი ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი აჰმედ დავუდოღლუ იყო, თურქეთს მოიაზრებდა საკუთარი გეოსტრატეგიული ინტერესების მქონე ყველასგან დამოუკიდებელ დიდ ძალად (Bbaskin Oran, 2013:256).

თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანი, რთული და იმავდროულად ნაკლებად პროგნოზირებადია, ვიდრე წინათ. დღეისთვის ორი ქვეყნის ურთიერთობაში მეტი გაურკვევლობაა, რომელიც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

1. თურქეთ - აშშ-ის პოლიტიკური შეხედულებები ისეთი კონფლიქტების მოგვარების გზებისა და მეთოდების შესახებ, როგორებიცაა: კვიპროსის, თურქეთ-საბერძნეთის და თურქეთ - სომხეთს შორის არსებული წინააღმდეგობები;

2. თურქეთმა აჩვენა, რომ მზადაა მხარი არ დაუჭიროს აშშ-ს სირიის საკითხთან დაკავშირებით, ერაყში ომსა და ქურთების საკითხში;

3. თურქეთი გარკვეულ საკითხებში ცდილობს გაატაროს ვაშინგტონისაგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა;

4. XXI საუკუნის 10-იანი წლებიდან თურქეთის გარკვეული დაახლოება რუსეთთან.

მიუხედავად ამისა, აშშ-ისა და თურქეთის ინტერესები მთელ რიგ საკითხებში ემთხვევა ერთმანეთს. საერთოდ კი, თურქეთ-აშშ-ის თანამშრომლობა დაფუძნებულია შემდეგზე:

1. ის უნდა გახდეს რეგიონში რუსეთისა და ირანის გეოპოლიტიკური ამბიციების შემაკავებელი ძალა, ამას ერთხმად აღიარებს თურქეთის ელიტა;

2. ანკარა დაინტერესებულია, მონაწილეობა მიიღოს ევროპის თავდაცვის სისტემის შექმნაში. მიუხედავად ბოლო პერიოდში ევროპასთან გაუარესებული ურთიერთობისა, ის მაინც მისწრაფვის ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისაკენ, რაშიც მას დიდად ეხმარება აშშ;

3. თურქეთის სამხედრო არსენალის 80%-ს შეადგენს აშშ-ის მიერ წარმოებული იარაღი, რაც მიუთითებს აღნიშნული ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობაზე ამ სფეროში;

4. თურქეთი აშშ-თან ურთიერთობით ცდილობს, გაზარდოს თავისი გავლენა შავი ზღვა-კასპიის ზღვის რეგიონში, რომელიც მდიდარია ენერგომატარებლების საბადოებით.

თურქულ-ამერიკული ურთიერთობების შეფასებისას კარგი იქნება, თუ გამოვიყენებთ ტერმინს - „სტრატეგიული პარტნიორობა“. მაგალითად, 2002 წლიდან თურქეთი ცდილობდა გაეტარებინა „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემის“ პოლიტიკა და ამ კონტექსტში მეგობრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობისაკენ მიმართული ნაბიჯები გადადგა ირანის და სირიის მიმართ,

რომლებთანაც აშშ-ს არც თუ მეგობრული ურთიერთობა აქვს. დღეს კი სირიის საკითხში თურქეთის პოზიცია გასცდა ამერიკასთან მეგობრობის ჩარჩოებს.

აღნიშნული ნაბიჯები არ გამორიცხავს სტრატეგიულ პარტნიორობას, მაგრამ 2003 წელს თურქეთმა ამერიკულ შეიარაღებულ ძალებს ერაყის ომის საწარმოებლად თურქეთის სამხედრო ბაზების გამოყენების უფლება არ მისცა, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება „სტრატეგიული პარტნიორობის“ ძირითად პრინციპს.

ამ ფაქტის შემდეგ ამერიკელები კარგა ხნის განმავლობაში აღარ ახსენებდნენ „სტრატეგიულ პარტნიორობას“, ხოლო ურთიერთობების დათბობის შემდეგ, ამერიკელმა პოლიტიკოსებმა ისევ დაიწყეს ამ ტერმინის გამოყენება. 2007 წლის 5 ნოემბერს, თურქეთის პრემიერ-მინისტრ რ. თ. ერდოღანის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს, ამერიკის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ უოლკერ ბუშმა ისევ ახსენა ეს ტერმინი.

საინტერესოა, სად გადიოდა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში გამყოფი ხაზი? უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ყველაზე მგრძობიარე საკითხები.

ამერიკის წინააღმდეგ განხორციელებულმა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა თურქ ერზე ძლიერი გავლენა მოახდინა. ტერაქტიდან მცირე ხნის შემდეგ ამერიკის საელჩოში გამართულ შეხვედრას პრემიერ-მინისტრი ბიულენთ ეჯევითი დაესწრო და ამერიკელ ხალხს მიუსამძიმრა, მაგრამ, ერთი თვის შემდეგ, 2001 წლის 7 ოქტომბერს, აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ძალებმა ომი დაიწყეს ავღანეთში - ალ-ქაიდას და თალიბანის წინააღმდეგ, ხოლო 2003 წლის 20 მარტს, მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის საბაზით, თავს დაესხნენ ერაყს.

2002 წლის 15 თებერვალს თურქეთმა ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში თავისი სამხედროები მიავლინა, მაგრამ უარი განაცხადა ფინანსური გარანტიების გარეშე

აელო თავის თავზე ნატოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა ამ ქვეყანაში (მაკარაძე, 2018 (ა):225).

სერიოზული უთანხმოება ანკარასა და ვაშინგტონს შორის წარმოიქმნა ერაყთან დაკავშირებით. თურქეთი განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა ამ სახელმწიფოს მიმართ შეტევით ოპერაციას და გამოთქვამდა შიშს, რომ ეს ფაქტი გამოიწვევდა მოსახლეობის უკმაყოფილებას თვით თურქეთში.

ანკარის ოფიციალური პირები მიიჩნევდნენ, რომ რთული იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უარის თქმა თურქეთის სამხედრო-საჰაერო ბაზების გამოყენებაზე სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად ერაყში. მათი შეხედულებით, მხოლოდ ისევ ამერიკასთან მჭიდრო თანამშრომლობა თუ მისცემდა ანკარას შესაძლებლობას, წინ აღდგომოდა ომის შემდგომ ერაყში ქურთული სახელმწიფოს ან რაიმე ავტონომიური ერთეულის ჩამოყალიბებას.

2009 წლის აპრილში აშშ-ის პრეზიდენტმა ბ. ობამამ თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტი უცხოეთში, სწორედ, თურქეთში მოაწყო. თურქეთის რესპუბლიკა არ იყო შემთხვევით არჩეული: ურთიერთობები თურქეთსა და აშშ-ს შორის წინა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დროს დაძაბული იყო. ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო შეენარჩუნებინა თურქეთის ზომიერი ისლამური რეჟიმი ამერიკის საგარეო პოლიტიკის ორბიტაზე.

თურქეთის ამჟამინდელი რეჟიმი შეიძლება განხილულ იქნას როგორც ექსპერიმენტი, მიმართული იმაზე, რომ ტრადიციული ელიტები ევოლუციური გზით იქნენ შეცვლილი ისეთებით, რომლებიც მოცემულ ეტაპზე უფრო აწყობთ მოსახლეობას და, ამასთან, ინარჩუნებენ ლოიალურობას აშშ-ისადმი. პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა თურქეთის რესპუბლიკაში წარმოადგენს მხოლოდ შირმას, რომლის მიღმა იფარება ქვეყნის განზრახვა, შეინარჩუნოს და განამტკიცოს თავისი პოზიციები, როგორც ამერიკის უახლოესი პარტნიორისა. თურქეთის შემთხვევა იმით არის უნიკალური, რომ ეს ქვეყანა მისწრაფვის

განვითარდეს შტატების იერარქიის ფარგლებში და, ამასთან, გამოავლინოს საკუთარი ზერეგიონული ამბიციები.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის პოზიციები აშშ-ის პრიორიტეტების სისტემაში მკვეთრად შესუსტდა, მაგრამ თვით თურქეთისთვის აშშ ყოველთვის რჩებოდა პრიორიტეტად. თავის საგარეო პოლიტიკაში ანკარა პირველხარისხოვან ადგილს უთმობს ურთიერთობას ვაშინგტონთან. ახდენს მასთან მსოფლიო ასპარეზზე თავისი მოქმედებების კოორდინაციას, ავითარებს ორმხრივ ურთიერთობებს პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში, თუმცა არის გამონაკლისებიც.

ბოლო პერიოდში ასევე შეიმჩნევა თურქეთისადმი ყურადღების გაზრდა ამერიკის ხელისუფლების მხრიდან. ეს გამოიხატება არამარტო იმაში, რომ გაიზარდა კონტაქტები სახელმწიფოთა პირველ პირებს შორის, არამედ იმაშიც, რომ გაიზარდა მოთხოვნები თურქეთთან დაკავშირებულ ანალიტიკურ მასალებზე ამერიკის მთავრობის მხრიდან. ეს დაკავშირებულია შიშთან, რომ ქვეყანა შეიძლება გამოვიდეს ამერიკული გავლენის სფეროდან „თავისუფალი ცურვისთვის“ (მაკარაძე, 2019: 53).

2012 წელს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. დავუთოღლუმ გაახმოვანა თეზისი, რომ თურქეთმა აუცილებლად უნდა დაძლიოს „უკმარისობის კომპლექსი“ და დაამტკიცოს, რომ „არ ლებულობს ინსტრუქციებს სხვა სახელმწიფოებისგან და არ არის სხვისი სქემების ნაწილი“ (მაკარაძე, 2019: 63).

თურქეთ - ამერიკის ურთიერთობების განხილვისას, აღნიშვნის ღირსია პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უმცროსის (2001-2009), პრეზიდენტ ბ. ობამას (2009-2017) და დონალდ ჯონ ტრამპის (2017-2021) მმართველობის პერიოდი.

XXI საუკუნის ათიან წლებში აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ხასიათდებოდა აქტიური ბრძოლით ტერორიზმთან და რთულ საგარეო პოლიტიკასთან ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

შეუთანხმებლობას პოლიტიკურ საკითხებში არ შეეძლო არ მოეხდინა გავლენა ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობებზე. მას შემდეგ, რაც 2003 წელს თურქეთის პარლამენტმა უარი განაცხადა ამერიკელთა მოთხოვნაზე, განელაგებინა თავის ტერიტორიაზე ამერიკის ჯარები ერაყში მათი შეყვანისთვის, თურქეთის საფონდო ინდექსი დაეცა 12,5 პუნქტზე მეტით, დაიწყო უცხოური კაპიტალის „გაქცევა“. თურქეთს, რომლის ეკონომიკა გაჭიანურებულ კრიზისს განიცდიდა, დაემუქრა იმის საფრთხე, რომ არ მიიღებდა ამერიკული დახმარების მრავალმილიარდიან პაკეტს.

აშშ ეხმარებოდა თურქეთს იმაში, რომ ცენტრალური აზიიდან და კავკასიიდან თურქეთის გავლით შექმნილიყო ევრაზიული ენერგეტიკული სატრანსპორტო დერეფანი ევროპისა და სხვა ბაზრებისკენ. ამერიკელები აქტიურად მონაწილეობდნენ ნავთობსადენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გაყვანაში, რამაც ვაშინგტონს საშუალება მისცა, პოლიტიკური ზეწოლა მოეხდინა პროექტის რეგიონულ მონაწილეებზე და „დაერტყა“ რუსეთის პოზიციებზე რეგიონში.

აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ გამოავლინა თავისი გახსნილობა ანკარასთან ურთიერთობებისთვის, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ თურქეთი არის ყველაზე კარგი შუამავალი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და მომავალში შეიძლება გახდეს თავისებური პოლიტიკური „მოდელი“ რეგიონის ქვეყნებისთვის.

თურქეთ-ამერიკის ურთიერთობებს უნდა ჰქონდეს მყარი სტრატეგიული კავშირი, დაყრდნობილი ფართო დიალოგსა და საერთაშორისო არენაზე კოორდინირებულ მოქმედებებზე. რა თქმა უნდა, მასში არის რიგი პოზიცია, რომელთა მიმართ მხარეებს განსხვავებული თვალსაზრისი გააჩნიათ. ესენია: თურქეთ-ისრაელის ურთიერთობები; თურქეთის მიერ სომეხთა გენოციდის



არალიარება; ირანის ბირთვული პროგრამა და ადამიანის უფლებათა პრობლემა თურქეთში.

აშშ-ის ხელისუფლება, ყოველთვის აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ თურქეთი, აშშ-ის უმნიშვნელოვანესი მოკავშირეა და ევროპული ოჯახის ნაწილი, რომლებიც ერთად უნდა იდგნენ მსოფლიოში დღეს არსებული გამოწვევების წინაშე“ (გრიგალაშვილი, 2009:89), მაგრამ ზოგჯერ დგებოდა პერიოდი, როდესაც ურთიერთობა თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის განსაკუთრებით რთულდება. ამ მხრივ აღსანიშნავია გაურკვევლობის პერიოდი, რომელიც დაიწყო ორ ქვეყანას შორის თურქეთში 2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ და თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ყველაზე რთულ ფაზაში შევიდა. ანკარა უშედეგოდ ითხოვდა აშშ-ში მცხოვრები ფეთქულა გიულენის (თურქეთის ხელისუფლების აზრით, იგი არის მთავარი ბრალდებული 2016 წლის 15 ივლისის თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების მცდელობაში) ექსტრადიციას და აშშ-ის მიერ სირიელი ქურთების დანაყოფებისთვის (YPG) იარაღის მიწოდების შეწყვეტას, რომელსაც ანკარა განიხილავს ტერორისტული „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ (PKK) გაგრძელებად.

2016 წლის 15 ივლისის თურქეთში მომხდარ მოვლენებს გამოეხმაურა თეთრი სახლი, რომლის გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი შეთანხმდნენ, რომ თურქეთში ყველა პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას, რათა თავიდან აიცილონ ძალადობა და სისხლის ღვრა.

გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებით, თურქეთის ხელისუფლებამ შესაბამისი ზომები მიიღო. სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობის ბრალდებით სხვებთან ერთად დააკავეს გენერალი ბექირ ერჯან ვანიც, რომელიც თურქეთში ნატოს ავიაბაზა „ინჯირლიკს“ მეთაურობდა. ამასთან, მოახერხეს

თავად ავიაბაზის ბლოკირება. აღნიშნულ ავიაბაზას კი აშშ და მისი მოკავშირეები სირიასა და ერაყში საავიაციო დარტყმების განსახორციელებლად იყენებდნენ (მაკარაძე, 2019:273).

„ინჯირლიკის“ ბაზის ბლოკირებამ ვაშინგტონის დიდი უკმაყოფილება და წინააღმდეგობა გამოიწვია. ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა მაშინდელი შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილისა და აზერბაიჯანში აშშ-ის ყოფილი ელჩის მეთიუ ბრაიზას მიერ „ამერიკის ხმისთვის“ მიცემული ინტერვიუ, რომელშიც მან განაცხადა, რომ „შეერთებული შტატები სრულ თანადგომას უცხადებს თურქეთის დემოკრატიულად არჩეულ სამოქალაქო მთავრობას“, - ასეთი იყო თეთრი სახლის პირველი რეაქცია თურქეთში მიმდინარე მოვლენებზე.

მოვლენები ისე ჩქარა იცვლებოდა, რომ მოკლე ხანში, ნატოს სამიტზე განიხილავდნენ, თუ როგორ დაეცვათ თურქეთი მეხუთე მუხლით - „ისლამური სახელმწიფოსგან“, დღეს კი „ინჯირლიკის“ ავიაბაზით ნატოს წევრი თურქეთი, სამხედრო ოპერაციებს უზღუდავს ნატოს ქვეყნებს შეერთებული შტატების ჩათვლით.

მიუხედავად ამისა, დღევანდელ დღეს თურქეთსა და აშშ-ს შორის განხეთქილების ერთ-ერთი საგანი ცნობილი თეოლოგის ფეთჰულაჰ გიულენის თურქეთში ექსტრადიციაზე ამერიკული უარია. თურქეთის ხელისუფლებისთვის გიულენის არსებობა და მისი საქმიანობა მხოლოდ დისკომფორტს არ წარმოშობს – ფეთჰულაჰ გიულენი და ფეტო (FETO) ერდოღანის ძალაუფლების მთავარი გამომწვევი სუბიექტები არიან.

აშშ თურქული მხარისთვის ფეთჰულაჰ გიულენის გადაცემას არ აპირებდა. ჟურნალი „The Wall Street“-ი წერდა, რომ ოფიციალურმა ანკარამ ვერ წარადგინა საკმარისი მტკიცებულებები სამხედრო გადატრიალების მცდელობის ორგანიზებასთან გიულენის კავშირის შესახებ და, შესაბამისად, ვერ დაარწმუნა ამერიკული მხარე გიულენის ექსტრადირების საჭიროებაში.

აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა, განაცხადა, რომ თურქეთის ლიდერს კანონის უზენაესობისა და დასავლური სამართლის სტანდარტების დაცვა მოუწევდა. New York Times-თან ინტერვიუში, თურქეთში მიმდინარე მოვლენებზე საუბრისას, მან აღნიშნა, რომ აფასებს ერდოღანის ქმედებებს: „მე დიდად ვაფასებ ერდოღანის ქმედებებს, მან შეძლო და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა შეაჩერა. ზოგი ამბობს, რომ ეს დადგმული იყო, თუმცა, მე ასე არ ვფიქრობ“ (მაკარაძე, 2019:274).

ამერიკის შეერთებული შტატების იმდროინდელმა სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა, თურქეთთან მიმართებით, განაცხადა, რომ „თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანთან ერთად უნდა განეახლებინა მუშაობა. თურქეთი ჩვენი უძველესი ნატოს წევრი-ქვეყანაა. რეგიონში აშშ-ის ნაკლებმა აქტიურობამ თურქეთი აიძულა, რუსეთისკენ მიბრუნებულიყო. რუსეთი თურქეთის მუდმივი პარტნიორი არ არის და მას უნდა დავუმტკიცოთ, რომ თურქეთის ერთადერთი მოკავშირე ამერიკაა“ (ტილერსონი, 2017.01.12).

ის ფაქტი, რომ თურქული საზოგადოება მკვეთრად პოლარიზებულია, დაადასტურა ქვეყანაში 2017 წლის 16 აპრილს საკონსტიტუციო ცვლილებებზე გამართულმა რეფერენდუმმაც. მმართველ პოლიტიკურ ძალას ამომრჩეველთა 51%-მა დაუჭირა მხარი, ხოლო 49%-მა მის წინააღმდეგ მისცა ხმა. ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო ის, რომ გიულენსა და მის გაერთიანებას საზოგადოების და მისი მოწინააღმდეგე ნაწილის მობილიზაცია და მასში პროტესტის გენერირება არ მოეხდინა. შესაბამისად, ხელისუფლება ამ სცენარის აღსაკვეთად აქტიური რეაქციული თუ რეპრესიული უსაფრთხოების პოლიტიკას ატარებდა.

საბოლოო ჯამში, რეჯეფ თაიფ ერდოღანის მთავრობა აღმოჩნდა შემდეგ ვითარებაში, ერთი მხრივ, ამ ეტაპზე რუსეთთან ურთიერთობების დათბობამ მნიშვნელოვანი დივიდენდები მოუტანა, მეორე მხრივ კი, დასავლეთთან დაპირისპირებამ პიკს მიაღწია.

რეჟეფ თაიფ ერდოღანის საგარეო პოლიტიკამ ეჭვქვეშ დააყენა თურქეთისა და აშშ-ის პარტნიორობა. ხოლო მას შემდეგ, რაც მან კვლავ დაათბა ურთიერთობა რუსეთთან, თურქეთის პოლიტიკა მასთან მიმართებით უმთავრესად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა თანამშრომლობას დაამყარებს ამერიკის შეერთებული შტატები ანკარასთან.

2017 წლის 16 მაისს, თეთრ სახლში თურქეთის პრეზიდენტის რეჟეფ თაიფ ერდოღანის და აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის შეხვედრა შედგა, სადაც აშშ-ის პრეზიდენტმა მიანიშნა: „ჩვენ ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა თურქეთთან და ვაპირებთ, რომ მომავალშიც ასე განვაგრძოთ“ (მაკარაძე, 2017, №6:95).

საბოლოო ჯამში, ერდოღანის მთავრობა აღმოჩნდა ისეთ ვითარებაში, როდესაც, ერთი მხრივ, რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვამ მნიშვნელოვანი დივიდენდები ვერცერთი მიმართულებით ვერ მოუტანა, მეორე მხრივ, დასავლეთთან დაპირისპირება პიკს აღწევდა.

კიდევ ერთი პრობლემა გაუჩნდა ანკარას სირიის მოვლენებთან დაკავშირებით. აქ თურქეთი აღმოჩნდა დიდი სახელმწიფოების ერთი მხრივ, აშშ-ისა და, მეორე მხრივ, რუსეთის თამაშის უნებლიე მონაწილე. ბოლო პერიოდში აშშ-ის მიერ სირიაში განხორციელებულმა დაბომბვებმა თურქეთის პოზიცია აშშ-ისკენ გადახარა. თურქეთი აღნიშნულ საკითხში, შეიძლება ითქვას, მერყევ პოზიციას აფიქსირებს, მაგრამ სირიის ომში თურქეთს, ქურთების პრობლემებიდან გამომდინარე, გააჩნია თავისი ინტერესებიც, რომლებიც ანკარის ახალი კურსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

თურქული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, დღესაც მაღალია ანტიდასავლური განწყობები, რაც ბუნებრივად აისახება პოლიტიკოსთა პოზიციებზე. ანტიდასავლური განწყობების მაღალ მაჩვენებელს ადასტურებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაც. მაგალითისთვის მოვიტანთ კვლევების შედეგებს.

2009 წელს, თურქეთის რამდენიმე უნივერსიტეტიდან სტუდენტთა ჯგუფმა საერთაშორისო ურთიერთობათა კავშირის - TUIÇ (Türkiye Uluslararası İlişkiler Çalışmaları) ხელშეწყობით, ჩაატარა კვლევები, რომლის შედეგებმა აჩვენა თურქი ხალხის უმრავლესობის უარყოფითი დამოკიდებულება აშშ-ის მიმართ.

**კითხვა №1 - როგორია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა პერსპექტივები, როგორი ურთიერთობაა ამერიკასა და თურქეთს შორის მეგობრობის თვალსაზრისით?**

შედეგი ასეთია: მოსახლეობის 27% თვლის მეგობრულად; 52% - არამეგობრულად; 17% - ნეიტრალურად და 4% - არ პასუხობს.

**კითხვა №2 - რატომ ექცევა ამერიკა - თურქეთს მეგობრულად?** გამოკითხულთა 39%-მა აღნიშნა, რომ ამერიკა თურქეთთან მიმართებით მხოლოდ საკუთარი ინტერესებით მოქმედებს; 30% ფიქრობს, რომ ამერიკას თურქეთის გაძლიერება ხელს არ აძლევს; 19% მიიჩნევს, რომ თურქეთი მუსლიმური ქვეყანაა, 12% კი თვლის, რომ ამერიკის მიზანია, თურქეთის განადგურება და ხელში ჩაგდება.

**კითხვა №3 - როგორია ამერიკა-თურქეთის ურთიერთობათა სამომავლო პერსპექტივა?** გამოკითხულთა 50% მას დადებითად აფასებს; 24% - ურყოფითად; 19%-მა თავი შეიკავა, ხოლო 7%-მა უარი განაცხადა პასუხზე (TUIÇ AKADEMİ, 2009).

CAP-ის (Center for American Progress) მიერ 2017 წლის ნოემბერში ჩატარებული კვლევის მიხედვით, თურქეთის მოსახლეობის 83% უარყოფითადაა განწყობილი აშშ-ის მიმართ (ბატიაშვილი, 2018:6).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თურქეთისათვის ანტიამერიკული განწყობები გრძელვადიანი მოვლენაა და მოკლე დროში შეუძლებელი იქნება მისი შეცვლა.

თურქეთ - ამერიკის შეერთებული შტატების დამაბულ პოლიტიკურ ურთიერთობას დაემატა 2017 წელს ამერიკელი ევანგელისტი მღვდელმსახურის,

ენდრიუ ბრანსონის, დაკავების საკითხიც, რომელსაც ბრალი ედებოდა გიულენის ორგანიზაციასთან კავშირში (მღვდელმსახური ენდრიუ ბრანსონი, თურქეთის პრეზიდენტმა 2018 წლის ოქტომბერში შეიწყალა).

თურქეთ-აშშ-ის დაძაბულობამ განსაკუთრებულ პიკს მიაღწია იმ ცნობილი ფაქტის, კერძოდ, ხელშეკრულების შემდეგ, რომელიც თურქეთმა გააფორმა რუსული საზენიტო სარაკეტო კომპლექსის S-400-ის შეძენაზე. ამერიკულმა მხარემ კი დაჟინებით მოითხოვა ანკარისგან უარი ეთქვა ამ ხელშეკრულებაზე, იმის გამო, რომ ის პოლიტიკურად და ტექნიკურად შეუთავსებელი იყო დასავლურ შეიარაღებასთან და შეუძლებელი იქნებოდა მისი ჩართვა ნატოს საერთო თავდაცვით სისტემაში.

აღნიშნულ საკითხს ამერიკის ხელისუფლების მხრიდან მოჰყვა თურქეთისადმი სანქციების შემოღება. ვაშინგტონმა გააორმაგა ტარიფები თურქეთიდან შეტანილ ფოლადსა და ალუმინზე. თურქულ ფოლადზე გადასახადი გახდა 50%, ხოლო ალუმინზე - 20%. საერთო ჯამში ამ ნაბიჯს გავლენა ჰქონდა დაახლოებით 1,7 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების თურქულ ნაწარმზე, რომელიც შედის აშშ-ის ბაზარზე **(ბატიაშვილი, 2018:6)**.

აშშ-ის კონგრესმა შეაჩერა უახლესი მოდელის 100 სამხედრო თვითმფრინავის (F-35-ის) თურქეთისთვის მიყიდვა. აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტმა კი მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც ზღუდავდა თურქეთის მიერ მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისგან სესხის აღების შესაძლებლობას.

ჯარიმები დაწესდა თურქეთის სახელმწიფო ბანკის „Halkbank“-ის წინააღმდეგაც, რომელმაც, აშშ-ის სანქციების გვერდის ავლით, გამართა ვაჭრობა ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან. მსგავსი ჯარიმები და სანქციები შეიძლება დაუწესდეს სხვა თურქულ, კერძო თუ სახელმწიფო, ორგანიზაციებსაც,

რომლებიც, ირანის წინააღმდეგ დაწესებული ახალი სანქციების მიუხედავად, მასთან ვაჭრობის გაგრძელებას აპირებდნენ.

ზემოხსენებული სანქციების საპასუხოდ თურქეთმაც დაუწესა სანქციები ამერიკელ მაღალჩინოსნებს. ასევე გაზარდა ტარიფები აშშ-დან შემოტანილ საქონელზე და დაიწყო ამერიკული პროდუქციის (მათ შორის აიფონების) ბოიკოტი, თუმცა ამ ნაბიჯს, ბუნებრივია, ამერიკული ეკონომიკისთვის რამე მნიშვნელოვანი ზიანი არ მოუტანია.

აშშ-ის მიერ თურქეთის წინააღმდეგ დღემდე შემოღებულ სანქციებს რეალურზე მეტად ფსიქოლოგიური და სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა ანკარისთვის რამდენიმე მიმართულებით სერიოზული პრობლემების წარმოსაქმნელად.

თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში ორივე მხრიდან იმატა უნდობლობამ და გაურკვევლობამ. სანქციების შემოღებამ აჩვენა, თუ რამდენად სერიოზულია აშშ-ის პოზიცია, რომელიც არ აპირებს უკან დახევას. მათ შორის დამაბულობამ ეკონომიკური პრობლემები კიდევ უფრო გააღრმავა 2017 წლის ბოლოს და 2018 წლის დასაწყისში. 2017 წლის აგვისტოს თვეში წლიური ინფლაციის დონემ 17,9%-ს მიაღწია, რაც ბოლო 15 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. შედეგად, აგვისტოსა და სექტემბერში თურქეთში ფასებმა თითქმის ყველა პროდუქტსა და სერვისზე მოიმატა. მოსალოდნელი იყო, რომ ინფლაცია მომავალშიც არაერთ პრობლემას შეუქმნიდა თურქეთის ეკონომიკას.

თურქეთის ეკონომიკაში სირთულეები არაერთხელ ყოფილა. თუმცა, ის, თუ რა სიჩქარით უფასურდება ბოლო პერიოდში თურქული ლირა, უპრეცედენტოა თავისი მასშტაბებით.

2021 წლის სექტემბერის შემდეგ თურქული ლირა დაახლოებით 30%-ით გაუფასურდა და 18 ნოემბრის მდგომარეობით 1 აშშ დოლარის ფასი 13,40 ლირას გადასცდა (ბატიაშვილი, 2021:81).

თურქული ლირის დევალვაციის გამო იმატა თურქეთის საგარეო ვალმა ლირებში, რომელთაგან 453 მლრდ. აშშ დოლარი სახელმწიფო, ხოლო 245 მლრდ. - კერძო სექტორზე მოდის.

თურქული ლირა დოლართან მიმართებით 6.6%-ით გაუფასურდა, თურქულ საფონდო ბირჟებზე აქტივობა შემცირდა, თურქული ავიაკომპანია Turkish Airlines-ის წილი 2016 წელთან შედარებით 11%-ით გაიფდა.

იმატა ინვესტიციების გადინებამ თურქეთიდან, რასაც მოჰყვა სამუშაო ადგილების შემცირება. ინვესტორებმა თურქეთში დაიწყეს არსებული ქონების გაყიდვა ლირებში, რითაც შეიძინეს ამერიკული დოლარი და დაიწყეს უცხოეთში მისი გატანა. ამით გაიზარდა მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, რამაც ქვეყანაში ვალუტის კურსის ზრდა გამოიწვია.

თუ სანქციების შემოღებამდე 1 აშშ დოლარი 4,79 ლირა ღირდა, 2018 წლის 13 აგვისტოს 1 აშშ დოლარის ფასი 6,95 ლირა გახდა, ანუ თურქული ლირა დაახლოებით 45%-ით გაუფასურდა (მაკარაძე, 2018(ბ):432).

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, 2017 წლის 8 ოქტომბერს, შეაჩერა მუშაობა სტამბულში მოქმედი საკონსულოსი, რომელიც მიგრაციულ ვიზებს გასცემდა. საპასუხოდ, იგივე გადაწყვეტილება მიიღო თურქულმა მხარემ (არა მიგრაციული ვიზები მოიცავს ტურისტულ, სამედიცინო, ბიზნეს, დროებით სამუშაოსა და სასწავლო ვიზიტებს).

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გადაწყვეტილების ოფიციალურ მიზეზად თურქეთის მიერ აშშ-ის დიპლომატიური მისიისა და პერსონალის უსაფრთხოების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება დაასახელა. აშშ-ის მიერ ვიზების გაცემის შეჩერება თურქული სპეცსამსახურების მიერ 2017 წლის 9 ოქტომბერს, ამერიკის საკონსულოს თურქი თანამშრომლის დაკავებას მოჰყვა. დაკავებულს ბრალად ჯამუშობა ედებოდა, რაც აშშ-ში მცხოვრებ ფეთქულაჰ გიულენის ჯგუფებთან კავშირში გამოიხატებოდა.



ამერიკის საკონსულოს მიერ ვიზების გაცემის შეჩერებამ თურქეთის ეკონომიკაზე მყისიერი ეფექტი მოახდინა.

თურქეთში აშშ-ის მოქალაქეთა ვიზიტების რაოდენობა ბოლო წლებში მცირდებოდა. თუკი მათი რიცხვი 2015 წელს 88 000-ს სცდებოდა, 2016 წელს იგი მხოლოდ 37 000-ს აღწევდა. აღნიშნული რადიკალური კლება იმ დროს თურქეთის ტერიტორიაზე განხორციელებულმა არაერთმა ტერორისტულმა თავდასხმამ განაპირობა, მაგრამ მას შემდეგ თურქეთში ამერიკელ ვიზიტორთა შემცირებას სხვა მიზეზი განსაზღვრავდა, რასაც ორ ქვეყანას შორის დაძაბული დიპლომატიური ურთიერთობა შეიძლება დაერქვას.

რეჯეფ თაიფ ერდოღანის მთავრობასა და ბარაკ ობამას ადმინისტრაციას შორის არსებული კონფრონტაციის ხარისხი ობამას პრეზიდენტობის ბოლომდე იზრდებოდა, მაგრამ შექმნილი სიტუაციის განელება ვერც დონალდ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლამ მოახერხა. 2018 წლის თებერვლის ბოლოს თურქეთის სამხრეთით მდებარე ქალაქ ადანაში აშშ-ის საკონსულოს თანამშრომელი ჰამზა ულუჯაი, რომელიც 36 წლის განმავლობაში საკონსულოს მთარგმნელი იყო, ტერორისტულ ორგანიზაცია ქურთისტანის მუშათა პარტიასთან (PKK) თანამშრომლობის ბრალდებით დააკავეს. მართალია, მოგვიანებით ულუჯაი გაათავისუფლეს, მაგრამ თვითონ ფაქტი თურქეთის ანტიამერიკულ ქმედებათა ტენდენციის გაგრძელება და ახალი ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი პოლიტიკური სიგნალი იყო (Nezir Ö, 2018:275).

2017 წლის ივლისში თურქეთის სახელმწიფო მაუწყებელმა Anadolu-მ სირიის ტერიტორიაზე ქურთების კონტროლირებად რეგიონში განთავსებული 10 ამერიკული სამხედრო ბაზის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ დააფიქსირა. ინფორმაციაში შედიოდა იქ მყოფ ამერიკელ ჯარისკაცთა რაოდენობა და მათი კონკრეტული ადგილმდებარეობა. ეს ინფორმაცია კონფიდენციალური და სადაზვერვო ხასიათის იყო და საჯარო გაცხადებას არ ექვემდებარებოდა, რადგან ამერიკელი სამხედროები, როგორც ისლამური სახელმწიფოს, ასევე ასადის

რეჟიმის ძალების იერიშების სამიზნე არ გამხდარიყვნენ. პენტაგონმა მაშინდელ ფაქტთან დაკავშირებით თურქეთის მთავრობის მიმართ წუხილი გამოთქვა, რომ ქვეყნის ხელისუფლება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნის და მისი მოკავშირის უსაფრთხოებას სათანადოდ არ აფასებდა.

თურქეთსა და აშშ-ს შორის გაუარესებული მდგომარეობა თურქეთის მმართველი ელიტის მოქმედების პოლიტიკის შედეგია. გასული წლების განმავლობაში პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია პრეზიდენტის ხელში სამართლებრივად გაამყარა, 2017 წლის 16 აპრილის რეფერენდუმმა, თურქეთის, როგორც შიდა, ასევე გარე საფრთხეების კარდინალურმა ზრდამ, მისი დასავლელ პარტნიორებთან მთელ რიგ საკითხებში საერთო მიზნების არქონამ გამოიწვია თურქეთის ხელისუფლების ერთგვარი ბიძგი სუვერენულობის იდეის გაძლიერებისკენ.

„სტრატეგიული პარტნიორობის“ საკითხი, კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში 2017 წლის ბოლოს, როდესაც ოფიციალური ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი. თავის თურქ კოლეგა, მევლუთ ჩავუშოღლუსთან გამართული შეხვედრის შემდეგ მხარეებმა, „სტრატეგიული პარტნიორობის“ შესახებ ერთობლივი დეკლარაცია გაავრცელეს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ანკარა და ვაშინგტონი ტერორისტულ ორგანიზაცია, PKK/ KCK/ PYD-YPG-ის წინააღმდეგ ერთობლივად იბრძობდნენ. ერთობლივ დეკლარაციაში ასევე ნათქვამია: „თურქეთი და აშშ ტერორისტულ ორგანიზაცია DEAŞ-ის, PKK-ს, ალ-ქაიდას და მათი განშტოებების წინააღმდეგ ბრძოლას ერთობლივად აწარმოებენ“ (თურქეთ-ამერიკა, 2018:3).

ამ ორი სახელმწიფოს მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ დასავლეთისა და თურქეთის პოლიტიკურ ლიდერებს ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული შეხედულება აქვთ. ისინი განსხვავებულად აღიქვამენ როგორც სხვა ქვეყნებთან არსებულ კავშირებს, ისე თავიანთი ქვეყნების ადგილს საერთაშორისო ურთი-

ერთობებში. შესაბამისად, წლების განმავლობაში თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებში მრავალი პრობლემა დაგროვდა.

2019 წლის 3-4 დეკემბერს ლონდონში გამართულ ნატოს სამიტზე კიდევ ერთხელ წარმოჩნდა, თუ რამდენად დაშორებულია ერთმანეთისგან თურქეთისა და აშშ-ის საგარეო-პოლიტიკური და უსაფრთხოების პრიორიტეტები.

სამიტის დაწყებამდე თურქეთი მკაფიოდ მოითხოვდა ნატოს წევრი ქვეყნებისგან YPG-ის (სირიელი ქურთების „ხალხის დაცვის დანაყოფები“) ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში შეყვანას. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიმუქრა ნატოს მიერ მომზადებული პოლონეთისა და ბალტიის ქვეყნების თავდაცვითი გეგმისთვის ვეტოს დადებით. მართალია, საბოლოო ჯამში ანკარას მოუწია დათმობაზე წასვლა და ვეტო არ გამოიყენა, მაგრამ ამით მხარეთა შორის არსებული მკაფიოდ განსხვავებული ხედვები არ შეცვლილა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები: ანკარა არ დათმობს საკუთარ სურვილს, აწარმოოს მაქსიმალურად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. შესაბამისად, დიდი ალბათობით, გაგრძელდება ზიგზაგით სიარული ამ მიმართულებით.

მოვლენათა განვითარების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ეს პრობლემები და სირთულეები თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებში დიდხანს დარჩება.

ურთიერთობებში არსებული უამრავი სირთულის მიუხედავად, უახლოეს ხანში ნაკლებად მოსალოდნელია თურქეთის სრულად დისტანცირება დასავლეთისგან.

დღეს ქვეყნის მმართველი ძალა ცდილობს საკუთარი, დამოუკიდებელი შიდა და საგარეო პოლიტიკა გაატაროს, რომელიც გაითვალისწინებს თურქეთის ინტერესებს და არ გაიზიარებს მისი საერთაშორისო პარტნიორების ღირებულებებს, მიზნებსა და სულისკვეთებას. თურქეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყანაა, რაც მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს, მაგრამ ბოლო პერიოდში თურქეთმა ხმამაღლა

დაიწყო ნატოს ორგანიზაციის კრიტიკა. ამ მოცემულობაში, რამდენ ხანს გასტანს თურქეთის ამგვარი პოლიტიკა, რთულად პროგნოზირებადია.

თუ თურქეთს სურს იქცეს „პირველი რანგის მსოფლიო ეკონომიკის“ და ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნად, მას მოუხდება აშშ-თან კავშირების გამყარება, რაც მისგან ნაწილობრივ მოითხოვს თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შეცვლას და მუსლიმურ სამყაროსგან რამდენადმე დისტანცირებას.

ბოლოს უნდა ითქვას ისიც, რომ თურქეთისა და დასავლეთის ურთიერთობებს ყოველთვის ახასიათებდა ცვალებადობა. თურქეთს დასავლეთთან წარსულშიც ჰქონია განსხვავებული პოზიციები, თუმცა შემდეგ კარგი ურთიერთობები ჩამოაყალიბეს. შესაძლოა, მომავალში უთანხმოება დასავლეთსა და თურქეთს შორის დასრულდეს და მათ შორის გაუგებრობას წერტილი დაესვას.

### **3.2. თურქეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების გაუარესების მიზეზები 2002-2020 წლებში**

XXI საუკუნის დასაწყისში თურქეთის პოლიტიკურმა ელიტამ პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის და „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის სახით პრეტენზია განაცხადა თურქეთის რეგიონულ ჰეგემონობაზე და გამოხატა სურვილი, რომ მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე გამხდარიყო არა დასავლეთის ინტერესების გამტარებელი სახელმწიფო, არამედ დამოუკიდებელი მოთამაშე.

თურქეთის რესპუბლიკის ეს მისწრაფება გამოვლინდა ჯერ კიდევ 2003 წელს, როდესაც მან ნატოელ მოკავშირეებს უარი განუცხადა, მონაწილეობა მიეღო ერაყის ომში სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ. თურქეთის ამ გადაწყვეტილების ოფიციალურ მიზეზად დასახელდა რელიგიური ფაქტორი (მუსლიმი არ იბრძვის მუსლიმის წინააღმდეგ), თუმცა ამ ქმედების ერთ-ერთი რეალური მოტივი იყო

ის, რომ თურქეთი აპირებდა გაეტარებინა დაბალანსებული საგარეო პოლიტიკა და არ სურდა დარჩენლიყო უბრალო მარიონეტი ამერიკის შეერთებული შტატების ხელში.

2002 წელს ხელისუფლებაში „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის მოსვლის შემდეგ ეს ფაქტი იყო თურქეთსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებში გაჩენილი პირველი „შავი ლაქა“. მმართველი პარტიის მიერ ხელისუფლების კონსოლიდაციის ხარისხის ზრდასთან ერთად პირდაპირ პროპორციულად გაიზარდა დასავლეთის მიმართ რ. თ. ერდოღანისა და მისი გარემოცვის ავტორიტარული მიდრეკილებების გამოვლენის ფაქტების რაოდენობა. ამ პროცესის პარალელურად გამკაცრდა რიტორიკა, რამაც განსაკუთრებით მწვავე სახე მიიღო 2016 წლის 15 ივლისის მოვლენების შემდეგ.

რ. თ. ერდოღანის უკიდურესად გაზრდილ ამბიციებსა და არაპროგნოზირებადობაზე მეტყველებს მის მიერ გაკეთებული განცხადება, სადაც ის არ ერიდება თურქეთის ჰეგემონისტური მისწრაფებების აფიშირებას. კერძოდ, მან განაცხადა, რომ ემხრობოდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებების გადახედვას (New Time News, 2017), რომლებშიც დადგენილია თურქეთის დღევანდელი საზღვრები.

პრეზიდენტი რ. თ. ერდოღანი პრეტენზიას აცხადებს აგრეთვე მოსულის, კირკუკისა და ჩრდილოეთ ერაყის იმ ტერიტორიებზე, რომლებიც დღეს ერაყის ქურთისტანის შემადგენლობაშია, ასევე საბერძნეთის კუთვნილ დოდეკანესის კუნძულებსა და თურქეთ-სირიის საზღვრის კონკრეტულ მონაკვეთზე. ერდოღანის ეს განცხადება ადასტურებს თურქეთის არა მხოლოდ დაუოკებელ და თანამედროვე საერთაშორისო სისტემის პირობებში არაადეკვატურ სწრაფვას ერთპიროვნული რეგიონული ჰეგემონობისკენ, არამედ საერთაშორისო სამართლის პრინციპების უგულვებელყოფით ნეოკომანური იდეოლოგიის პრაქტიკაში განხორციელებისთვის მზადყოფნას, რაც შეიძლება მისთვის ხელსაყრელ დროს, მისივე არაპროგნოზირებადობიდან გამომდინარე, შესაძლოა, ქმედებად

იქცეს. რ. თ. ერდოღანის მსგავსი რიტორიკა, ბუნებრივად იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების შემფოთებას და ემუქრება მის ინტერესებს რეგიონში.

გარდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დაძაბვის ზემოხსენებული ფუნდამენტური მიზეზისა, კერძოდ, თურქეთის პოლიტიკური ელიტის სწრაფვისა რეგიონული ჰეგემონობისკენ და ამით აშშ-ის ინტერესების დამუქრებისა, არსებობს ასევე მათი ურთიერთობების გაუარესების რამდენიმე დამატებითი ფაქტორიც, კერძოდ, სირიის ომში მათი ინტერესების დაპირისპირება, აღნიშნულ კონფლიქტში აშშ-ის მთავარი ინტერესი მდგომარეობს ისლამური სახელმწიფოს საბოლოო დამარცხებაში, რის გამოც ის მხარს უჭერს ქურთულ შეიარაღებულ ფორმირებებს, რომლებიც ეფექტიანად იბრძვიან ტერორისტების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთისთვის ისლამური სახელმწიფო ასევე უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს, მისთვის მთავარი პრიორიტეტი მაინც ქურთ სეპარატისტებთან ბრძოლა და თავის საზღვართან ქურთული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ან ავტონომიის ჩამოყალიბების ნებისმიერ ფასად არდაშვებაა. იგი ებრძვის აშშ-ის მიერ მხარდაჭერილ ქურთულ დაჯგუფებებს (ძირითადად YPG - სახალხო თავდაცვის ძალებს, რადგან მათ ქურთისტანის მუშათა პარტიასთან ასოცირებულ ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევენ). ქურთულ სამხედრო შენაერთებთან ბრძოლის პარალელურად იგი ფინანსურად და ლოჯისტიკურად ეხმარება ჯიჰადისტურ დაჯგუფებებს პრინციპით - „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“. ეს ფაქტორი, თავისთავად, კიდევ უფრო ძაბავს ორი ქვეყნის ურთიერთობას.

სირიის კრიზისში ორი ქვეყნის ინტერესების დაპირისპირების ერთ-ერთი სიმპტომი იყო 2018 წლის დასაწყისში ჩრდილოეთ სირიის ქალაქ აფრინში თურქეთის მიერ YPG-ის წინააღმდეგ ჩატარებული სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია: თურქეთის მიერ ოპერაციის დაწყების რეალურ მიზეზად მიიჩნევა აშშ-ის მხარდაჭერით თურქეთის მოსაზღვრე რეგიონებში 30000-იანი ქურთული შენაერთის შექმნის დაანონსება, რომელიც გააკონტროლებდა

საზღვარს და მიმდებარე რაიონებს. ამ შენაერთის შექმნის მთავარი დანიშნულება იყო თურქეთის მიმართულებით ISIS-ს თუ სხვა დაჯგუფების ტერორისტებისთვის, სირიიდან გასასვლელის ჩაკეტვა. პრეზიდენტმა რ. თ. ერდოღანმა ოპერაციის დაწყებამდე აღნიშნულ შენაერთს აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი „ტერორისტების არმია“ უწოდა და სრულ დაკომპლექტებამდე მისი განადგურების პირობა დადო. ოფიციალური ანკარის პოზიციით, ამ შენაერთის თურქეთის საზღვართან განლაგება გამოიწვევდა თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედ ქურთ სეპარატისტთა მოძრაობის გაძლიერებას და შესაბამისად, საშიშროებას შეექმნიდა თურქეთის უსაფრთხოებას. ოპერაციის მსვლელობისას თურქეთის ავიაციამ სხვა ობიექტებთან ერთად დაბომბა აეროდრომი, რომლითაც აშშ ქურთებს იარაღით ამარაგებდა. სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა პრეზიდენტ ერდოღანის განცხადებამ, რომ თურქეთის არმია მხოლოდ აფრინის აღებას არ დასჯერდებოდა და ტერორისტების დევნას იმ ტერიტორიებამდეც გააგრძელებდა, სადაც უშუალოდ აშშ-ის შეიარაღებული ძალები იყო დისლოცირებული.

ამგვარად, აფრინის ოპერაციამ კიდევ უფრო დამაბა ორი ქვეყნის ურთიერთობა. აღსანიშნავია, რომ ერდოღანმა ეს ოპერაცია შიდაპოლიტიკური პრობლემების გადასაფარად და ახალი ანტიამერიკული პროპაგანდის კიდევ ერთი ტალღის ასაგორებლად გამოიყენა.

ორი ქვეყნის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2013 წელს მომხდარი სკანდალი, თურქეთის ირანთან ოქროთი უკანონო ვაჭრობასთან დაკავშირებით. გაირკვა, რომ თურქული ბანკები და ერდოღანის უახლოესი გარემოცვა ირანთან უკანონო ბიზნესსაქმიანობას აწარმოებდა აშშ-ის მიერ ირანისთვის დაწესებული სანქციების რეჟიმის გვერდის ავლით. ამ მორიგმა პოლიტიკურმა სკანდალმა ასევე შეუწყო ხელი ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუარესებას. სწორედ ეს შემთხვევა გახდა მანამდე კულუარულად მიმდინარე მათი დაპირისპირების გასაჯაროების მიზეზი.

ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას ასევე დიდი ზიანი მიაყენა 2016 წლის ივლისში სამხედრო გადატრიალების მცდელობამ. ზოგიერთი მოსაზრებით, იგი აშშ-ის მიერ იყო ინსპირირებული მისთვის არასასურველი ლიდერის - რ. თ. ერდოღანის დამხობის მიზნით. ერდოღანის მიერ ანტიამერიკული რიტორიკის ახალი ძალით დაწყების საბაზი გახდა ასევე აშშ-ში ემიგრირებული მისი ყოფილი თანამებრძოლის და მისი ნომერ პირველი პოლიტიკური მეტოქის ფ. გიულენის ექსტრადირებაზე აშშ-ის უარი.

თურქეთს და აშშ-ს შორის ურთიერთობების დაძაბვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ასევე გადატრიალების მცდელობის შემდეგ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების საგრძნობლად გაუმჯობესება. სავარაუდოდ, ამას ხელი შეუწყო რ.თ. ერდოღანისთვის გადატრიალების მცდელობის აღკვეთისას რუსული დაზვერვის მიერ მიწოდებულმა დროულმა ინფორმაციამ. შემდგომი ორი წლის განმავლობაში მოხდა მათი კიდევ უფრო დაახლოება: თურქეთმა დადო რუსეთთან გარიგება რუსული S-400 ტიპის საზენიტო სარაკეტო სისტემის შესყიდვაზე, რასაც მოჰყვა ნატოს სარდლობის მხრიდან განცხადება, რომ გარიგების სისრულეში მოყვანისთანავე თურქეთს შეეზღუდება ალიანსის წევრი-ქვეყნების საჰაერო თავდაცვით სისტემებთან წვდომა და, შესაძლოა, აშშ-მა აღარ მიჰყიდოს თურქეთს შეთანხმებული F-35 ტიპის რეაქტიული თვითმფრინავები. გარდა ამისა, მოსკოვი აპირებს თურქეთში 20 მლრდ. დოლარის ღირებულების პროექტის განხორციელებას - პირველი ატომური ელექტროსადგურის აშენებას, რაც, სავარაუდოდ, მოწმობს იმას, რომ რუსეთსა და თურქეთს საკმაოდ გრძელვადიანი პარტნიორობის გეგმები აქვთ. ამასთან, 2017 წლის 18 თებერვალს, ასტანაში გამართულ სირიის სამშვიდობო სამიტზე გამოიკვეთა რუსეთის, თურქეთისა და ირანის დაახლოების პერსპექტივები, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია აშშ-ისთვის იმის გათვალისწინებით, რომ თუ მან ვერ მოახერხა ამ სახელმწიფოების პარტნიორობის თავიდან აცილება, ეს გახდება რეგიონში მისი ინტერესებისთვის უდიდესი გამოწვევა.



დღეისათვის აშშ - თურქეთის ურთიერთობების მთავარი „დაძაბულობის ხაზი“ სწორედ თურქეთის ირანთან და განსაკუთრებით რუსეთთან შესაძლო პარტნიორობაზე გადის (Saidel, Finkelstein, 2018:105). ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა ინჯირლიკის ბაზის შესაძლო დახურვის საკითხიც, რაზეც ორი ქვეყნის ურთიერთობაში ყოველი მორიგი კრიზისისას მიანიშნებს ან პირდაპირ იმუქრება ანკარა. აღსანიშნავია, რომ თურქეთის არაადეკვატური ქცევის გამო, ინჯირლიკის ბაზა უკვე დატოვა გერმანიის სამხედრო ნაწილებმა - ისინი გადავიდნენ იორდანიაში არსებულ ნატოს სხვა სამხედრო ბაზაზე. რაც შეეხება აშშ-ს, თავდაცვის დეპარტამენტში ჯერ კიდევ 2017 წლის ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული ინჯირლიკიდან ბაზის იორდანიაში შესაძლო გადატანისთვის საჭირო ფინანსური ხარჯები. სავარაუდოა, რომ არასაჯარო დონეზე ასევე გათვლილი იქნება ამ ქმედების სტრატეგიული და პოლიტიკური ღირებულება, თუმცა ფაქტია, რომ ბაზის დახურვის შესახებ, ანკარის მუდმივი სპეკულაციების მიუხედავად, აშშ ჯერჯერობით არ ჩქარობს ამ უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბაზიდან საკუთარი საჯარისო ნაწილების გაყვანას.

თურქეთ-ამერიკის შეერთებული შტატების დაპირისპირების კულმინაცია გახლდათ პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარება.

აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარებამ გვიჩვენა, რომ თურქეთის დასავლეთისგან დისტანცირებას თავისი „ფასი“ აქვს და ვაშინგტონმა ანკარასთან ურთიერთობაში შეძლო „პოლიტიკური რუბიკონის“ გადალახვა.

რეჟეფ თაიფ ერდოღანის საკმაოდ ხისტმა ნაბიჯებმა შეერთებული შტატების პოლიტიკურ ელიტაში განგამის შეტყობინება გააძლიერა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სულ უფრო ძლიერდება იმის აუცილებლობა, რომ ამერიკაში ალტერნატიულ რეალობაზე დაეწყოთ ფიქრი. ბუნებრივია, თურქეთს მტრად შეერთებულ შტატებში არავინ აღიქვამს, თუმცა ცხადია, რომ მისდამი

ნდობის მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა. დასავლურ მედიაში სულ უფრო გახშირდა მოწოდებები თურქეთის დასავლური ალიანსიდან გარიცხვის შესახებ, რაც ისევ უკავშირდებოდა მის თანამშრომლობას რუსეთის ფედერაციასთან თავდაცვის სფეროში (Carpenter, 2019:62). თუმცა, გასაგებია, რომ ამგვარი მოწოდებები უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და რეალურად საჭიროა უფრო მკაცრი, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დონალდ ტრამპის დამოკიდებულება თურქეთისა და, კერძოდ, ერდოღანის მიმართ შედარებით ლოიალური გახლდათ. ამიტომ იგი საკუთარი საპრეზიდენტო ვადის ბოლომდე იკავებდა თავს თურქეთისათვის სანქციების დაწესებაზე რუსეთთან თანამშრომლობის გამო. თუმცა, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალი ადმინისტრაციის პირობებში ამგვარი ლოიალური დამოკიდებულება უფრო მკაცრი ნაბიჯებით შეიცვლება და პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აღარ დაბლოკავს სანქციების პროცედურებს. თავის მხრივ, ამ საკითხთან დაკავშირებით რეჟიმს თავი ერდოღანსაც საკუთარი მოსაზრება აქვს. იგი ამბობს, რომ თავდაცვითი დანადგარების შექმნის გადაწყვეტილებას უცვლელს დატოვებს იმის მიუხედავად, თუ რა საპასუხო ზომები შეიძლება მოჰყვეს ამას (Erdogan, 2019:27). თუმცა, საპასუხო ზომებმაც არ დააყოვნა და, 2019 წელს, შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად შეწყვიტა გამანადგურებლების, F-35-ების, პროგრამა თურქეთთან, რომლის მიხედვითაც ანკარას შეერთებული შტატებისაგან 100 ერთეული გამანადგურებელი უნდა შეეძინა (Stewart, 2019:49). ეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის სერიოზული დარტყმა აღმოჩნდა, ვინაიდან აღნიშნული გამანადგურებლები დიდი სამხედრო პოტენციალით გამოირჩევა.

აუცილებლად აღსანიშნავია წლების განმავლობაში მომხდარ მოვლენათა ჯაჭვიც. საუბარია არაბულ სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესზე, რომელიც თავისუფლად შეიძლება მიეწეროს დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას. ამ მოვლენებს ორი მხარე აქვს. ერთი

მხარე მისი შინაარსია. არაბულმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც ათწლეულებია ისრაელთან დამაბული ურთიერთობა აქვთ, დაიწყეს სამომავლო პერსპექტივებზე ფიქრი. თუმცა, მიგვაჩნია, რომ უფრო მნიშვნელოვანია საკითხის მეორე მხარე, რომლის მიღმაც უსაფრთხოების ახლებული ხედვა იმალება. თურქეთის მზარდმა როლმა შეერთებულ შტატებს ახალი საფიქრალი გაუჩინა. ერდოღანმა საკუთარი ქმედებებით თურქეთის სანდოობის მაჩვენებელი ახლო პერსპექტივაში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. მან გადაწყვიტა საკუთარი პოლიტიკური თუ სამხედრო ძლიერების გამომზეურება, რასაც შეეძლო მომავალში ახლო აღმოსავლეთში არსებული ძალთა ბალანსი დაერღვია. შეერთებული შტატები მიხვდა, რომ ახლო აღმოსავლეთში საუდის არაბეთსა და ირანთან ერთად, თავისუფლად შეიძლებოდა გამოჩენილიყო ახალი ძალა თურქეთის სახით, რომელიც საკუთარი გავლენის გაზრდას მოისურვებდა. სწორედ ამიტომ გვესახება, რომ ებრაულ-არაბული კოალიციების შექმნის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ახალი პოტენციური საფრთხის წინააღმდეგ ზომების მიღებაა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ხერხით დონალდ ტრამპმა ორი კურდღელი ერთდროულად დაიჭირა. მან დაიწყო ნორმალიზების პროცესი, რაც უკვე თავისთავად უდიდესი წინსვლა და მიღწევაა და პარალელურად საფუძველი ჩაუყარა ახალ კოალიციას, რომელიც სამომავლოდ შესაძლოა ძალთა ბალანსის ახალ გარანტად მოგვევლინოს (Ephron, 2020:12).

2021 წლის 14 ივნისს, ნატოს სამიტის ფარგლებში, აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენისა და თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის შეხვედრა გაიმართა, რომელზეც განსაკუთრებით დიდ იმედებს თურქული მხარე ამყარებდა, მოელოდა რა ორ ქვეყანას შორის დაგროვილი ყველა პრობლემის თუ არა, მათი ნაწილის მოგვარებას მაინც.

პრეზიდენტებს შორის გამართული შეხვედრა-მოლაპარაკებები, შემდეგ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, საათ-ნახევარი გრძელდებოდა (ამ

პერიოდში გაიმართა როგორც ერთი - ერთზე, ისე დელეგაციების შეხვედრები) და მოიცვა არაერთი საკითხი.

ასეთი ხანგრძლივი შეხვედრების მიუხედავად, როგორც ჩანს, მხარეებმა მაინც ვერ მიაღწიეს წინსვლას. ორმხრივ ურთიერთობებში მანამდე არსებული არცერთი პრობლემა არ გადაწყვეტილა.

ცხადია, მთავარი საკითხი რუსული წარმოების S-400-ების საჰაერო საზენიტო სისტემების თემა იყო, რისი შედეგის გამოც თურქეთის წინააღმდეგ ამერიკული სანქციებია დაწესებული. ბაიდენმა ვერ დაიყოლია ერდოღანი, უარი ეთქვა რუსულ შეიარაღებაზე.

ამრიგად, მოუგვარებელი დარჩა მთავარი პრობლემა, რაც ნიშნავს, რომ არ მოიხსნება არსებული ამერიკული სანქციები (და კვლავაც დაბლოკილი იქნება F-35 გამანადგურებლების თურქეთისთვის მიწოდების საკითხიც).

საერთო ჯამში, თურქეთი შეეცადა, ბრიუსელის შეხვედრა მაქსიმალურად პოზიტიური დინამიკით წარმოეჩინა, რადგან მის ეკონომიკას, ინვესტორების მოზიდვის მიზნით, სასიცოცხლოდ სჭირდება აშშ-ის კეთილგანწყობა და დადებითი სიგნალები.

ამასთან, როგორც ჩანს, ანკარის ეს მცდელობები საკმარისი არ აღმოჩნდა მიზნის მისაღწევად. უფრო მეტიც, შეხვედრის მეორე დღეს თურქული ლირა კიდევ უფრო გაუფასურდა, დაახლოებით 1%-ით და 1 აშშ დოლარის ფასი 8,55 ლირა გახდა.

## თავი IV. თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საკითხები „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდებიდან XXI საუკუნის 20-იან წლამდე

### 4.1. თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკა „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში

XXI საუკუნის დასაწყისში, 2002 წელს, თურქეთის რესპუბლიკის სათავეში რეჯეფ თაიფ ერდოღანის და ისლამური მიმართულების „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის (AKP) მოსვლის შემდეგ დაიწყო ახალი პოლიტიკური ხანა, რასაც ეტაპობრივად მოჰყვა ცვლილებები ქვეყნის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში.

თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ იდეოლოგიად მიიჩნევენ, „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის ერთ-ერთ დამფუძნებელს და რ. თ. ერდოღანის თანამებრძოლს, ქვეყნის ყოფილ საგარეო საქმეთა და პრემიერ-მინისტრს, პროფესორ აჰმედ დავუთოღლუს, რომელმაც თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „სტრატეგიული სიღმე“, ასახა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები.

აჰმედ დავუთოღლუ, თავის დოქტრინაში ავითარებს მოსაზრებას, რომ თურქეთს გააჩნია „სტრატეგიული სიღრმე“, რომელიც მას საშუალებას აძლევს გაატაროს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა და პრეტენზია განაცხადოს იმაზე, რომ იყოს რეგიონის ლიდერი სახელმწიფო.

როგორც ვიცით, თურქეთის რესპუბლიკა მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე. დოქტრინის თანახმად, სწორედ გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული კავშირების გამო, მას უჩნდება სურვილი, ჰქონდეს გავლენა ყველა ამ რეგიონზე (ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთის, კავკასიის, ცენტრალური აზიის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, სპარსეთის ყურის და შავი ზღვის), რაც მიიჩნევა ნეოოტომანური იდეოლოგიის მთავარ თეორიულ საფუძვლად.

ის ნეოოტომანიზმად იწოდება და თურქული პოლიტიკური ვექტორის დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადანაცვლებას გულისმობს. XXI საუკუნის დასაწყისიდან ნეოოტომანიზმი, როგორც იდეოლოგია, თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ანგარიშგასაწევი ძალა გახდა.

ნეოოტომანიზტური იდეოლოგიის თანახმად, უნდა მოხდეს ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში თურქეთის გავლენის ხელახალი ზრდა და აღდგეს მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული დომინირება. თურქი პოლიტიკის მკვლევრის თარიქ ოლუზლუს განმარტებით, თურქეთს, როგორც ოტომანთა იმპერიის სამართალმემკვიდრეს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია იმპერიის ყოფილი ტერიტორიების წინაშე (Wigen, 2009: 6).

ნეოოტომანიზმის იდეოლოგიით, თურქეთის რესპუბლიკამ თავი უნდა დააღწიოს ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ დაქვემდებარებულ მდგომარეობას, რაც მას საშუალებას მისცემს ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთისა და ჩინეთის მსგავსი სახელმწიფოების კატეგორიაში ჩადგეს (Onar, 2009: 13).

სწორედ ნეოოტომანიზმი წარმოადგენს რესპუბლიკური თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკის ძირითად იდეოლოგიურ მიმართულებას. რ. თ. ერდოღანმა და მისმა პარტიამ ქვეყნის საპარლამენტოდან საპრეზიდენტო მოდელზე გადასვლისას ერთ-ერთ არგუმენტად გამოიყენეს ის, რომ ქვეყანას სჭირდებოდა თითქმის ისეთივე ძლიერი და ცენტრალიზებული მმართველობა, როგორც დამახასიათებელი იყო ოსმალეთის იმპერიის პერიოდისთვის. ამასთან, პირადად პრეზიდენტის და მისი გარემოცვის მიერ მუდმივად ესმევა ხასი იმას, რომ თურქები არიან „ოტომანთა მემკვიდრეები“ და რომ ქვეყანამ უნდა დაიბრუნოს ძველი დიდება და განამტკიცოს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენა ოტომანთა იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე.

ამგვარად, ნეოოტომანიზმი წარმოადგენს „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის ოფიციალური იდეოლოგიის ნაწილს და პოლიტიკური ელიტის მიერ

წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქვეყნის ახალი იდენტობის საფუძველს (Sozen, 2010:25). მიუხედავად იმისა, რომ „სტრატეგიულ სიღრმეში“ არსადაა პირდაპირი მითითება თურქეთის რეგიონულ ჰეგემონობაზე, ანალიტიკოსთა უმრავლესობა, განსაკუთრებით დასავლეთში, მიიჩნევს, რომ დოქტრინაში ხსენებული გავლენის სფეროების გაფართოება რეალურად სხვა არაფერია, თუ არა რეგიონში თურქეთის ერთპიროვნული ჰეგემონობის აღდგენა, თუმცა ამჯერად თანამედროვე ეპოქაზე მორგებული საშუალებებით, კერძოდ, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ექსპანსიის და „რბილი ძალის“ სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სტრატეგიულ სიღრმეში“, რომელიც 2000 წელს გამოიცა, არსად ვხვდებით მინიშნებებს პანისლამისტურ იდეოლოგიაზე. თუმცა დავუთოდლუს უფრო ადრინდელ, დაახლოებით 1990-იან წლებში დაწერილ სტატიებს თუ გადავხედავთ, იქ აშკარად იკვეთება ავტორის ცალსახად პანისლამისტური იდეები. ამ იდეოლოგიის თანახმად, მხოლოდ ისლამია ის გამაერთიანებელი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ახლო აღმოსავლეთის მუსლიმ ხალხთა შორის მყარ, გრძელვადიან და სტაბილურ კავშირს. ამასთან, ზემოაღნიშნულ სტატიებში ა. დავუთოდლუ ერთიანი ახლო აღმოსავლეთის კონცეფციაში არ მოიაზრებს ირანს, ამ უკანასკნელის შიიტური აღმსარებლობის გამო.

ა. დავუთოდლუ ასევე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თურქეთმა უარი უნდა თქვას ისლამურ სამყაროსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დამაკავშირებელი „ხიდის“ ფუნქციის შესრულებაზე, რადგან ეს გადააქცევს მას დიდი ქვეყნების სტრატეგიული ინტერესების გატარების ინსტრუმენტად. ამის სანაცვლოდ თურქეთმა უნდა განავითაროს საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე მორგებული პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მის „სიღრმესთან“, სათავეს რომ მისივე ოტომანური ფესვებში იღებს.

ამასთან, ა. დავუთოდლუ მიიჩნევს, რომ თურქეთისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის დაბალანსების საუკეთესო გზა იქნება ისეთ რეგიონულ

სახელმწიფოებთან ურთიერთობების დამყარება, როგორცაა რუსეთი, ჩინეთი, ირანი და ინდოეთი (Walker, 2007:137).

ა. დავუთოღლლუ მიიჩნევს, რომ თავისი ეროვნული ინტერესების დასაკმაყოფილებლად თურქეთმა უნდა გამოიყენოს „რბილი ძალის“ პოტენციალი. კერძოდ, მან უნდა აამოქმედოს ყველა ის ისტორიული, ლინგვისტური თუ კულტურული ფაქტორები, რომელიც აკავშირებს მას რეგიონის ქვეყნებთან. საამისოდ უნდა გამოიყენოს დემოკრატიული ინსტიტუციები და განვითარდეს საბაზრო ეკონომიკური ბერკეტები. ამასთან, დოქტრინაში ერთ-ერთ პრიორიტეტადაა გაწერილი თურქეთის მიერ მილიტარისტული სახელმწიფოს იმიჯზე უარის თქმა და სამხედრო ელიტის გავლენის შემცირება საზოგადოებასა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, თუმცა იქვე ხაზგასმულია, რომ ეს და დოქტრინაში გაცხადებული ყველა სხვა მიზანი ერთმნიშვნელოვნად ლიბერალური და დემოკრატიული საშუალებებით უნდა განხორციელდეს.

იმისათვის, რომ თურქეთმა მიაღწიოს თავის საგარეო პოლიტიკურ მიზნებს, ა. დავუთოღლლუს მოსაზრებით, საჭიროა რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების ნორმალიზება. თურქეთმა ყველა თავის მეზობელთან პრობლემების მინიმიზაცია უნდა მოახდინოს. მან ეს მოსაზრება დოქტრინაში გამოხატა პრინციპით „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“.

დოქტრინაში საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით მოცემული პრინციპებიდან ერდოღანმა გაითვალისწინა მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების ნორმალიზაციის და თურქული გავლენის ეტაპობრივი გავრცელების რეკომენდაცია და ა. დავუთოღლლუს მონაწილეობით პრაქტიკულად შეუდგა კიდეც მის განხორციელებას. „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო თურქეთის ურთიერთობების გაუმჯობესება რეგიონის ქვეყნებთან, მათ შორის ტრადიციულად მტრულად განწყობილ სირიასთან, ერაყთან და თურქეთის ისტორიულ მეტოქე ირანთანაც კი. ურთიერთობები ასევე დარეგულირდა ისრაელთან და თურქეთი არაბულ-ებრაულ კონფლიქტში



შუამავლის როლის შესრულებასაც კი ესწრაფვოდა, თუმცა ეს ურთიერთობები 2009 წელს გაუარესდა ერდოღანის მიერ პალესტინური მხარისადმი გამოხატული ღია სიმპათიების გამო. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში თურქეთს რეგიონის ქვეყნებთან საკმაოდ კეთილმეზობლური დამოკიდებულება ჰქონდა არაბული გაზაფხულის დაწყებამდე. სწორედ 2011 წლიდან გაუარესდა მისი ურთიერთობები მეზობლებთან, განსაკუთრებით სირიასთან, მიზეზი იყო წარმოქმნილ კონფლიქტში ასადის საწინააღმდეგო მხარეს ჩართვა. თუმცა სირიის ომში თურქეთის მთავარი პრიორიტეტი მაინც მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის დაცვა, ქურთულ სამხედრო დაჯგუფებებთან ბრძოლა და მის საზღვართან დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნის არდაშვებაა, რის გამოც იგი არ ერიდება არც ჯიჰადისტური ორგანიზაციებისთვის სხვადასხვა სახის დახმარების გაწევას და არც ბრძოლას დასავლური კოალიციის მიერ მხარდაჭერილ ქურთულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან, რომლებსაც იგი ქურთისტანის მუშათა პარტიასთან ასოცირებულ ტერორისტულ ძალებად მიიჩნევს. ამდენად, დავუთოღლუს სამეზობლო პოლიტიკის პრინციპი „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“, ზოგიერთი პოლიტიკური მიმომხილველის შეფასებით, გადაიქცა „არაფერი პრობლემების გარდა“ პოლიტიკად (ნოზაძე, 2014:3).

ზოგიერთი ანალიტიკოსი აკრიტიკებს ა. დავუთოღლუს „სტრატეგიის სიღრმეს“ შემდეგი ფაქტორების გამო: მისი ხედვის მიხედვით, თურქეთმა აღარ უნდა შეასრულოს შუამავლის ფუნქცია დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის და დამოუკიდებელი პოლიტიკა გაატაროს რეგიონში. ამ ხედვის პრაქტიკაში განხორციელებას ჰქონდა ადგილი ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით თურქეთის პოზიციის დაფიქსირებისას: ოფიციალურად თურქეთი ემხრობოდა ბირთვულ განიარაღებას, თუმცა ამავდროულად მიიჩნევდა, რომ უსამართლობა იქნებოდა ირანისათვის მისი ბირთვული პროგრამის გაყინვის მოთხოვნა მაშინ, როცა ისრაელს არავინ აკრიტიკებდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების დარღვევისა და ბირთვული არსენალის განვითარებისთვის.

მსგავსი წინადაუხედავი პოზიცია თურქეთს დიდ საფრთხეს უქადდა ირანის მიერ ბირთვული პროგრამის გაგრძელების შემთხვევაში, რადგან იგი რეგიონის სხვა ქვეყნებთან ერთად იძულებული გახდებოდა ჩართულიყო „გამალეულ ბირთვულ შეიარაღებაში“, რაც ყველანაირად დააბრკოლებდა ქვეყნის განვითარებას და გაურკვეველი მომავლის წინაშე დააყენებდა მთელს რეგიონს.

ამგვარად, თურქეთის ახალი იდენტობა გულისხმობს, ერთი მხრივ, ქვეყნის მიერ როგორც რეგიონული, ისე გლობალური მასშტაბით დიდი სახელმწიფოებისგან მაქსიმალურად დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას. ასევე რეგიონის სახელმწიფოებთან (რომლებიც შედიოდნენ ოტომანთა იმპერიის საზღვრებში) ლინგვისტურ, კულტურულ და სხვა სახის კავშირებზე დაყრდნობით ახლო პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას და ამგვარად რეგიონში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ჰეგემონობისკენ სწრაფვას. მეორე მხრივ, ახალი თურქული იდენტობის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა რეისლამიზაცია, რომელმაც განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიიღო 2008-2010 წლებიდან.

რაც შეეხება ნაშრომის საკვლევი საკითხის მეორე ნაწილს - თურქეთის ურთიერთობების შესამჩნევ გაუარესებას მის მანამდე ნომერ პირველ სტრატეგიულ პარტნიორთან - ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ეს დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკის ცვლილებასთან, რაც თავის მხრივ, გამოწვეულია მმართველი ელიტის მიერ საერთაშორისო სისტემაში თურქეთის ადგილის და როლის ახლებური გააზრებით და ქვეყნის ახალი იდენტობით.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის შემფოთების საგანია აგრეთვე ქვეყნის აშკარა რეისლამიზაცია. პოლიტიკური ისლამი წარმოადგენს ქვეყნის შიდა პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხს, თუმცა გარკვეულ გარემოებებში შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებზე. მოცემულ შემთხვევაში თურქეთში ისლამის როლის ზრდა (ისევე როგორც ავტორიტარული მმართველობა) აშშ-თან ურთიერთობების გაუარესების ერთ-ერთი დამატებითი ფაქტორია მაშინ, როდესაც საუდის არაბეთში ისლამის ტრადი-

ციულად უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური როლი, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის მრავალი ფაქტი მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზე. ეს ფაქტორი აიხსნება კონსტრუქტივიზმის პრინციპით, რომლის თანახმად აქტორთა ქმედებები განისაზღვრება მათ მიერ ობიექტების, მოვლენების თუ სხვა აქტორებისათვის მინიჭებული კონკრეტული სოციალური მნიშვნელობებით, რომლებიც კონსტრუირებულია ისტორიის, იდეების, ნორმებისა და რწმენის ერთობლიობის გათვალისწინებით.

განსახილველ შემთხვევაში, თურქეთი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის წარმოადგენს უკვე არა უახლოეს სტაბილურ მოკავშირეს, არამედ მერყევ, არასტაბილურ პარტნიორს, რაც განაპირობებს იმას, რომ მისთვის თურქეთის აქტიური რეისლამიზაციის პროცესი შეიძლება პოტენციური საფრთხის წყაროს წარმოადგენდეს, მაშინ, როცა საუდის არაბეთის შემთხვევაში მსგავსი ფაქტორი არ იწვევს მათ შეშფოთებას, რადგან ეს უკანასკნელი რეგიონში აშშ-ის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორია.

თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში, განპირობებულია მმართველი ელიტის მიერ თურქეთის საერთაშორისო და რეგიონული როლის მანამდე არსებულისგან განსხვავებული აღქმით და შესაბამისად, თურქეთის ახალი იდენტობით. ამასთან, თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობების გაუარესება ძირითადად გამოწვეულია თურქეთის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შეცვლით, ხოლო სხვა მიზეზები („ქურთულ საკითხთან“ დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა, 2016 წლის გადატრიალების მცდელობის შემდგომი მოვლენები, თურქეთის მმართველი პარტიის მიერ დანერგილი მართვის ავტორიტარული მეთოდები, ქვეყნის აქტიური რეისლამიზაცია და სხვ.) წარმოადგენს მხოლოდ დამატებით, მეორეულ ფაქტორებს. ჰიპოთეზას - ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლა, ძირითადად პოლიტიკური ელიტის მიერ თურქეთის როლის განსხვავებული აღქმითაა გამოწვეული, ხსნის სტრუქტურალიზმის თეორია, რომლის თანახმად სახელმწიფო აქტორის ქმედებებს განსაზღვრავს მისივე აღქმები

და იდეები და არა გარეთ არსებული ობიექტური სოციალური რეალობა. ამ აღქმების და იდეების შეცვლა კი შესაბამისად იწვევს სახელმწიფოს ქმედებების, მათ შორის, საგარეო პოლიტიკის ცვლილებას.

#### 4.2. თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები და სომეხებთან დაკავშირებული საკითხი

„ცივი ომის“ შემდგომ ეტაპზე, თურქეთ - აშშ-ს შორის დამაბულობის ერთ-ერთ მიზეზად ითვლება სომეხთა გენოციდის აღიარების საკითხი (1915 წლის 24 აპრილს კონსტანტინეპოლში დაიწყო სომეხთა ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელთა მასობრივი დაკავება. მათ სიაში მოხვდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ხედვისა და პროფესიის ადამიანები: მწერლები, მსახიობები, მომღერლები, მასწავლებლები, ექიმები, იურისტები, ჟურნალისტები, ბიზნესმენები, პოლიციელები და რელიგიური ლიდერები; მთავარი ფაქტორი, რომლითაც ისინი ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულნი იყო ეროვნება და საზოგადოებრივი მდგომარეობა. გამოჩენილი სომეხი მოღვაწეების დაკავება მცირე შესვენებებით გრძელდებოდა მათის ბოლომდე. სომეხური მხარე თვლის, რომ 1915 - 1918 წლებში, სულ დაიღუპა 1,5 მილიონზე მეტი სომეხი. დანარჩენები გაიქცა ან გადაასახლეს მესოპოტამიაში, ლიბანსა და სირიაში უდაბნოს გავლით, სადაც ბევრი მათგანი შიმშილითა და ავადმყოფობით დაიღუპა. ერთ მილიონზე მეტი ლტოლვილი სომეხი გაიფანტა მთელს მსოფლიოში.

თავის დროზე, აშშ-ის კონგრესის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობდა ოსმალეთის მიერ XX საუკუნის დასაწყისში სომეხების მასობრივი გენოციდის ფაქტს, თუმცა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ზემოქმედების შედეგად ამგვარი რეზოლუცია მოიხსნა კონგრესის მუშაობის დღის წესრიგიდან. მიუხედავად ამისა, ოფიციალურ ანკარას მწვავე რეაქცია ჰქონდა კომიტეტის გადაწყვეტილებაზე და მან დაუყონებლივ გამოიწვია კონსულტაციებისთვის თავისი ელჩი აშშ-დან. აღსანიშნავია, რომ თურქეთმა ანალოგიური ნაბიჯი

2007 წელსაც გადადგა, როდესაც კონგრესის კომიტეტმა ე.წ. „სომხური რეზოლუცია“ (მანჩხაშვილი, 2014:367) მიიღო (გენოციდთან დაკავშირებით დადგენილების მიღების მცდელობას ჰქონდა ადგილი 1974 და 1985 წლებშიც, თუმცა უშედეგოდ). მართალია, ამის შემდეგ ელჩი მალევე დააბრუნეს ვაშინგტონში, მაგრამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაცივდა და თურქეთში აშშ-ის რეიტინგი მკვეთრად დაეცა, რასაც ამ ქვეყნის მოსახლეობის საგარეო პოლიტიკური სიმპათიების გამოსავლენად ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვებიც ადასტურებდა. კერძოდ, 2001 წლის იანვრის ბოლოს თურქულმა გაზეთმა „ჯუმჰურიეთმა“ გამოაქვეყნა ანკარის უნივერსიტეტის სოციოლოგების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვით რესპონდენტთა მხოლოდ 9,9% თვლიდა, რომ უპირატესობა აშშ-თან დაახლოებას უნდა მიენიჭოს (Uzgel, 2001: 38).

აშშ-ის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარების საკითხის პერიოდულად წინ წამოწევა ანკარის „დაშინებას“ ისახავდა და ისახავს მიზნად. ამის პასუხად „დაე, ნურავინ იფიქრებს, რომ თურქეთი შიშით გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლისაც არ სჯერა,“ - განაცხადა თურქეთის იმჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ა. დავუ-თოღლუმ, მიუნხენში, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პირველ მოადგილის, ჯეიმს სტეინბორგთან შეხვედრის შემდეგ. მისივე სიტყვებით, კონგრესის კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილება არ ემსახურებოდა არც თურქეთის, არც სომხეთის, არც აშშ-ის ინტერესებს და სარგებლის ნაცვლად მხოლოდ ზიანის მომტანი იყო (Davutoğlu, 2012:32).

გენოციდის საბოლოოდ აღიარებით ვაშინგტონი, თურქეთის სახით, მნიშვნელოვან პარტნიორს დაკარგავდა. ყველა ელოდა, რომ სომეხთა გენოციდის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მიმართვაში აშშ-ის პრეზიდენტი ბ. ობამა სიტყვა „გენოციდს“ გამოიყენებდა, თუმცა ეს არ მოხდა. ამით მან „განარისხა“ სომეხები, მაგრამ თურქეთთან ერთგვარი „შერიგების“ სურვილი გამოავლინა (ზარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა, 2010).

აშშ-ის თითქმის ყველა პრეზიდენტს ჰქონდა სომხური ლობისტის მიცემული წინასაარჩევნო დაპირება - გენოციდის აღიარების თაობაზე. თუმცა, გაპრეზიდენტების შემდეგ, ისინი ითვალისწინებდნენ ამ საკითხის მიმართ თურქეთის დამოკიდებულებას და თავს იკავებდნენ აღიარებისგან.

ჟ. ბაიდენის წინამორბედები უფრთხოდნენ თურქეთთან ურთიერთობების გაუარესებას და სიტყვა „გენოციდის“ ღიად თქმას ერიდებოდნენ. როგორც წესი, ამერიკის ლიდერები იყენებდნენ სომხურ ტერმინს „Meds Yeghern“, რაც „უდიდეს ბოროტებას“ ნიშნავს.

ჟ. ბაიდენმა კი, რომელსაც ჯერ კიდევ ვიცე-პრეზიდენტობის პერიოდიდან მოყოლებული არცთუ ისე თბილი ურთიერთობა აკავშირებდა პრეზიდენტ რ. თ. ერდოღანთან, მანამდე არსებული ყველა ტაბუ დაარღვია და შემდეგი ნაბიჯი გადადგა. გენოციდის აღიარების საკითხში გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკური ელიტა (როგორც დემოკრატები, ისე რესპუბლიკელები) საკმაოდ შეშფოთებული არიან ბოლო პერიოდში ნათლად გამოკვეთილი თურქეთის ქმედებებით, რომელთა მიზანიცაა ვაშინგტონისგან მაქსიმალურად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება რეგიონში. ამერიკელები სწორედ ამ კონტექსტში განიხილავენ თურქეთის მიერ რუსული წარმოების საჰაერო თავდაცვის სისტემების S-400-ების შეძენის ფაქტს, რასაც, მართალია, შედარებით მსუბუქი, მაგრამ ფსიქოლოგიურად მაინც მნიშვნელოვანი ამერიკული სანქციების ამუშავება მოჰყვა.

გენოციდის აღიარებისთვის შესაფერისი დროის შერჩევას ვაშინგტონმა, სავარაუდოდ, ის ფაქტიც გაითვალისწინა, რომ თურქეთი ამ ეტაპზე სერიოზულ ეკონომიკურ სირთულეებს (კოვიდით გამოწვეული ლოკდაუნებით განპირობებული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემები, ქვეყნიდან დასავლური ინვესტიციების გადინება, თურქული ლირის გაუფასურება, გაზრდილი უმუშევრობა, სავალუტო რეზერვების შემცირება და ა.შ.) განიცდის და მას არ აქვს იმ ფუფუნების

საშუალება, რომ ქმედითი ნაბიჯები გადადგას აშშ-ის წინააღმდეგ, რაც უპირველესად ისევ ანკარასა და მის ეკონომიკას დააზარალებდა.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სომეხთა გენოციდის აღიარება ასევე წარმოადგენს მხარდაჭერას სომხეთის პროდასავლელი პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის მიმართ, რომლის ხელისუფლებიდან ჩამოშორებასაც რუსეთში დიდი ხანია ცდილობენ.

ბუნებრივია, რომ თურქულმა მხარემ მკაცრი პროტესტი გამოთქვა ვაშინგტონის ამ გადაწყვეტილების მიმართ.

ვაშინგტონის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარებას გამოეხმაურა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩავუშოღლუ და აღნიშნა, რომ ანკარა „გმობს ამ განცხადებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პოპულიზმს ეყრდნობა“. ოფიციალურ განცხადებაში მინისტრმა აღნიშნა, რომ აშშ-ში „ისტორიულ ფაქტებს ამახინჯებენ“ და გენოციდის აღიარება არასდროს იქნება მიღებული თურქი ხალხის ცნობიერებაში, ასევე ის ღრმა ჭრილობას მიაყენებს ხალხს, რომლის ურთიერთნდობას და მეგობრობას ძირს უთხრის. სამინისტროში აშშ-ს „ამ სერიოზული შეცდომის“ გამოსწორებისკენ მოუწოდეს.

თუმცა, აქ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ოფიციალურ განცხადებებში მხოლოდ პროტესტი გამოითქვა. ანკარაში (ამ ეტაპზე მაინც) არავინ აპირებს ისეთი ნაბიჯების გადადგმას (მაგალითად, არ განიხილება ინჯირლიკში არსებული ამერიკული სამხედრო ბაზის ფუნქციონირების საკითხი), რომ კიდევ უფრო დაძაბოს თურქულ-ამერიკული ორმხრივი ურთიერთობები.

თურქეთი ტრადიციულად უარყოფს სომეხების გენოციდში ბრალდებას და უკიდურესად მტკივნეულად რეაგირებს დასავლეთის კრიტიკაზე ამ საკითხთან დაკავშირებით. ანკარა დაჟინებით მოითხოვს ტერმინ „გენოციდზე“ უარის თქმას და აცხადებს, რომ 1915 წლის მოვლენებისას დაიღუპნენ არა მარტო სომეხები, არამედ

თავად თურქებიც და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. თურქეთში ასევე მიიჩნევენ, რომ იმ მოვლენების დროს დახოცილთა რაოდენობა გაზვიადებულია.

ანკარაში ფიქრობენ, რომ მიუღებელია ამ თემის პოლიტიზირება. ამიტომ მათი წინადადებაა ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნა თურქი და სომეხი მეცნიერების მონაწილეობით, რომლებიც იმუშავებდნენ ორივე ქვეყნის არქივებში, და საბოლოოდ დაადგენდნენ სიმართლეს.

აშშ-ის პრეზიდენტის მიერ 106 წლის წინანდელი მოვლენების გენოციდად აღიარება ცალსახად პოლიტიკური ნაბიჯია, რომელსაც თავისი მიზნები და ამოცანები აქვს. ეს, თავის მხრივ, არაერთგვარ დამოკიდებულებას იწვევს საერთაშორისო არენაზე და საინტერესოს ხდის თურქეთის პოზიციას ახალ რეალობაში.

აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარებამ გვიჩვენა, რომ თურქეთის დასავლეთისგან დისტანცირებას თავისი „ფასი“ აქვს და ვაშინგტონმა ანკარასთან ურთიერთობაში შეძლო „პოლიტიკური რუბიკონის“ გადალახვა.

ვაშინგტონს შესაძლოა მიზადონ მისმა მოკავშირე, შედარებით მცირე ზომისა და წონის, ქვეყნებმა, რაც დამატებით დისკომფორტს შეუქმნის ანკარას საერთაშორისო არენაზე.

თურქეთისთვის კიდევ უფრო არასასურველი ფაქტი იქნებოდა სომხური დიასპორის შემდგომი ნაბიჯები, დაკავშირებული კომპენსაციის მოთხოვნასთან.

ოფიციალური ანკარა გმობს და მომავალშიც დაგმობს მსგავს აღიარებებს. თუმცა, ამ ეტაპზე მისი მხრიდან უფრო მოკლევადიან ქმედებებს ვხედავთ. თურქეთი ერიდება ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომელმაც შესაძლოა გრძელვადიანად დააზიანოს როგორც ორმხრივი ურთიერთობები, ისე მძიმე მდგომარეობაში მყოფი თურქული ეკონომიკაც.

ვაშინგტონმა ამ აღიარებით მხარი დაუჭირა პროდასავლურ ძალებს (უპირველეს ყოვლისა, ფაშინიანსა და მის პოლიტიკურ პარტიას) სომხეთში დაგეგმილ საპარ-



ლამენტო არჩევნებში, სადაც ძირითადი ბრძოლა სწორედ პრორუსულ და პროდ-ასავლურ ძალებს შორის უნდა გამართულიყო.

#### 4.3. თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები და ისრაელის საკითხი

თურქეთსა და აშშ-ს შორის უთანხმოების კიდეც ერთი მიზეზი ისრაელია. მას შემდეგ, რაც 1952 წელს თურქეთი ნატოში გაწევრიანდა, ანკარასა და თელ-ავივს შორის მჭიდრო ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ისრაელი თურქეთისთვის, სხვასთან ერთად, იარაღის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელიც გახდა.

XXI საუკუნის დამდეგისათვის, თურქეთი ისრაელისათვის, სიახლოვით, მეორე ადგილზე იყო, აშშ-ის შემდეგ. მიუხედავად ტრადიციული მოკავშირეობისა, დღეისათვის ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის საგრძნობლად გაცივდა.

უკანასკნელ პერიოდში თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობები განიცდის სერიოზულ კრიზისს, რომლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ისრაელისა და ირანის მიმართ თურქეთის მიდგომის სხვადასხვა ასპექტები. შეიძლება ითქვას, რომ ორმხრივი ურთიერთობები აშშ-ის ორ მოკავშირეს - თურქეთსა და ისრაელს შორის თავის დროზე გართულდა დაზაში მცხოვრები პალესტინელების მდგომარეობის გამო.

ამ მხარეებს შორის ურთიერთობების გაფუჭების საწყისად მიიჩნევენ 2008 წლის დეკემბერში ისრაელის მიერ დაზას სექტორში განხორციელებულ ანტიტერორისტულ ოპერაციას „ჩამოსხმული ტყვია“ (Operation „Cast Lead“). თურქეთმა აღნიშნული ოპერაცია მკაცრად გააკრიტიკა, ერდოღანმა იგი „კაცობრიობის წინაშე ჩადენილ სერიოზულ დანაშაულად“ აღიარა და ისრაელის პრემიერ-მინისტრთან თანამშრომლობა გაწყვიტა. მომდევნო ინციდენტს ადგილი ჰქონდა 2009 წელს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, დავოსში (შვეიცარია), სადაც ერდოღანმა მკაცრად გააკრიტიკა ისრაელის პრეზიდენტი - შიმონ პერესი, მას მატყუარა და მკვლელი უწოდა, დაზის სექტორში სამხედრო ოპერაციის ზედმეტად მკაცრად ჩატარების გამო, მან ასეთი სიტყვებით დაასრულა საუბარი შიმონ პერესთან: „თქვენ, ებრაელებმა, კარგად იცით, როგორ დახოცოთ ადამიანები“ (Bennhold, 2009:67).

თურქეთი ისრაელს დაემუქრა, რომ, თუ ის გააგრძელებდა საომარ კამპანიას ღაზას სექტორში, ანკარა სერიოზულად იმოქმედებდა. აშშ-ის ჩარევის შედეგად ისრაელმა შეაჩერა საომარი კამპანია და ანკარასა და თელ-ავივს შორის დამაბულობაც იმ ეტაპზე განიმუხტა.

2009 წლის ოქტომბრის დასაწყისში ანკარამ ისრაელს არ მისცა უფლება მონაწილეობა მიეღო თურქეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ნატოს სამხედრო წვრთნებში. იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის, რ. თ. ერდოღანის განმარტებით, ეს ნაბიჯი მას გადაადგმევინა ქვეყანაში არსებულმა საზოგადოებრივმა აზრმა, რომელიც არაკეთილგანწყობილი იყო თელ-ავივისადმი ღაზის სექტორში ისრაელის სამხედროების მოქმედებების გამო, თუმცა ზოგიერთი ექსპერტი ერდოღანის ამ გადაწყვეტილებას სხვა მიზეზით ხსნის და ვარაუდობს, რომ ერდოღანის ეს ნაბიჯი, შესაძლოა, მიანიშნებდა მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებაზე ახლო აღმოსავლეთში (კუპრეიშვილი, 2016:58).

თურქეთ-ისრაელს შორის დამაბულობამ პიკს მიაღწია 2010 წლის 31 მაისს, როცა ისრაელმა იერიში მიიტანა თურქეთის დროშის ქვეშ მცურავ გემ „მავი მარმარაზე“, რომელსაც ჰუმანიტარული ტვირთი უნდა შეეტანა პალესტინაში და ეს თავდაცვის აუცილებლობით ახსნა (ჯენტლესონი, 2015:634). ღაზის სექტორის სიახლოვეს მას თავს დაეხა ისრაელის სადესანტო რაზმი. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ურთიერთობა თურქეთსა და ისრაელს შორის კიდევ უფრო დაიძაბა. შედეგად, თურქეთმა დროებით გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელთან. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ დამაბულობა ორ ქვეყანას შორის ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა (Eligür, 2006:44). 2000 წელს ისრაელში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელმაც ცხადყო, რომ ქვეყნის მოსახლეობის 78% თურქეთს მტრად აღიქვამს (Byford, 2011:3). ანკარა ინციდენტის საერთაშორისო გამოძიებას ითხოვდა, თუმცა ხვდებოდა, რომ აშშ ისრაელის „დასასჯელ“ კონკრეტულ ნაბიჯებს არ გადადგამდა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა თურქეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, ახმედ დავუთოღლუს, განცხადება - „ფსიქოლოგიურად ისრაელის თავდასხმა

თურქეთისთვის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის მსგავსია. ჩვენ არ გავჩუმდებით. თურქეთი არ არის კმაყოფილი ამერიკის ქმედებებით“ (ზარაკ ოზამას საგარეო პოლიტიკა, 2010:4).

ისრაელთან ურთიერთობების დამაბზა აისახა თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობებზეც. 2010 წელს, პრეზიდენტ ოზამამ განაცხადა, რომ თურქეთის სანდო სტრატეგიულ პარტნიორობაში ეჭვის შეტანა უარყოფით გავლენას მოახდენს აშშ-თურქეთის ურთიერთობებზე, განსაკუთრებით სამხედრო სახის დახმარებაზე, რაც გულისხმობდა უთანხმოებას უპილოტო თვითმფრინავების გაყიდვაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2011 წელს აშშ-მა შეაჩერა დაგეგმილი 100 F-135 ტიპის თვითმფრინავების მიყიდვა თურქეთისათვის, რომლებიც PKK სეპარატისტების წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინათ.

აღნიშნული ფაქტის შემდეგ კი თურქეთმა ამერიკას უარი განუცხადა, თავის ტერიტორიაზე განელაგებინა ბალისტიკური თავდაცვითი რაკეტები, რაც ასევე აარიდებდა რუსეთთან ურთიერთობების დამაბზას.

ისრაელ-თურქეთ-ამერიკის ურთიერთობებს ხშირად აღწერენ, როგორც სამკუთხედს. მაგრამ, თუ ურთიერთობების „ოქროს ხანაში“ (90-იანი წლების ბოლოს და ახალი საუკუნის პირველი სამი წლის განმავლობაში) თურქები ისრაელს განიხილავდნენ, როგორც კარებს ვაშინგტონში, „ჩამოსხმული ტყვიის“ ოპერაციისა და შიმონ პერესზე 2009 წლის დავოსში მომხდარი ერდოღანის თავდასხმების შემდეგ ისრაელი სულ უფრო მეტად განიხილავდა ვაშინგტონს, როგორც ინსტრუმენტს თურქეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის.

თურქეთის ყოველი ნეგატიური ნაბიჯი ისრაელის მიმართ პირდაპირ მოქმედებს თურქეთ-ამერიკის ურთიერთობებზე. სულ უფრო მეტია განაწყენებულთა გამოსვლები ამერიკის კონგრესში, პრესასა და ზოგიერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. ებრაულ ლობს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მხარს უჭერდა თურქეთს, შეეძლო შეცვალა თავის მიდგომა. ასეთმა მდგომარეობამ ამერიკის ადმინისტრაცია მძიმე პოზიციაში ჩააყენა.

ამრიგად, ამერიკული ადმინისტრაცია ცდილობს გაგებით ააგოს ურთიერთობები ანკარასთან და შეარბილოს მისი დამოკიდებულება ისრაელთან. ამასთან, შემდეგი არგუმენტები მოჰყავთ: „ისრაელთან ურთიერთობების გაწყვეტა მნიშვნელოვნად გაზრდის დამაბულობას რეგიონში. ასეთი ვითარება კი არ აწყობს არც თურქეთსა და არც ამერიკას. აუცილებელია ურთიერთობათა შერბილება“.

#### **4.4. თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები და ირანის საკითხი**

აშშ-სა და თურქეთს შორის დამაბულობის მესამე წყარო იყო ირანის საკითხი. ვაშინგტონს მიაჩნდა, რომ ირანის შემაკავებელი დიპლომატიური საშუალებები ამოწურულია. ეს კი ხელს არ აძლევდა თურქეთს, რომელიც ცდილობდა ირანთან კარგი ურთიერთობის შეინარჩუნებას და ყველა პრობლემის მშვიდობიანი გზით მოაგვარებას. რ. თ. ერდოღანის განცხადებით, „დიპლომატიას, დიპლომატიას და მხოლოდ დიპლომატიას შეუძლია ირანული პრობლემის მოგვარება“ (ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა, 2010:3).

აშშ-ს უკიდურესად აღიზიანებდა თურქეთის მიერ ირანის ბირთვული პროგრამის თუნდაც ნაწილობრივი მხარდაჭერა. შეიძლება ითქვას, რომ იმ მომენტში ანკარა თეირანის ისლამური დიქტატურის დიპლომატიურ მოკავშირედ იქცა. თურქეთი და ირანი ცდილობდნენ ბირთვული სათბობის გაცვლის იმ გეგმის რეანიმირებას, რომელიც ობამას ადმინისტრაციამ 2009 წელს ახსენა.

ცხადია, თურქეთმა, გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივმა წევრმა, 2010 წლის მარტში ირანისათვის დამატებითი სანქციების შემოღებაზე უარის თქმით, დასავლეთის უკმაყოფილება გამოიწვია.

აღსანიშნავია, თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის 2010 წლის ვიზიტი ირანში, სადაც მან ბრალი დასდო დასავლეთს „ორმაგი სტანდარტებით მოქმედებაში“ და ირანის მიმართ უსამართლო დამოკიდებულებაში, ამასთან განაცხადა, რომ „ხმები ირანის სამხედრო ბირთვული პროგრამის შესახებ დაუსაბუთებელია

და შესაძლოა სიმართლეს არ შეესაბამებოდეს“. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პოზიცია თურქეთის მხრიდან მოულოდნელი იყო დასავლეთისათვის.

თურქეთი ძალიან აქტიურად იყო ჩართული ირანისა და 5+1 ფორმატის მოლაპარაკებებში, რომელიც გაიმართა 2013 წლის 26 თებერვალს, ყაზახეთში და რომელშიც მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი, ბრიტანეთი და გერმანია. პრობლემა მშვიდობიანად მოგვარდა და ირანი სანქციებისგან ნაწილობრივ გათავისუფლდა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირანს სანქციები დაუწესა. ირანული მედიის ინფორმაციით, ვაშინგტონის ე.წ. შავ სიაში მოხვდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ჰონკონგსა და ჩინეთში განთავსებული ცხრა საწარმო და სამი ირანელი კერძო პირი, რომლებსაც აშშ-ის ხელისუფლება ირანულ ნავთობქიმიურ პროდუქტებზე „მნიშვნელოვან გარიგებებში“ ადანაშაულებს.

კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ჩინეთმა და რუსეთმა, აშშ-ს, ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გაუქმებისკენ მოუწოდეს (ბარამიძე, 2020:34).

ანკარის ამჟამინდელი კურსი ირანს საშუალებას აძლევს ეკონომიკური ზეწოლისადმი უფრო გამძლე იყოს და რეგიონში თავისი გავლენის გაძლიერებას შეუწყოს ხელი, რაც მომავალში, სტრატეგიული თვალსაზრისით, შეიძლება ყველაზე არასწორი გათვლა გახდეს თურქეთის მხრიდან. თუმცა, სუნიტური თურქეთის და შიიტური ირანის კონკურენციამ, დღეს, ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება მიიღოს მწვავე და ღია ხასიათი.

#### **4.5. ქურთების საკითხი თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებში**

XX საუკუნის ბოლოს ქურთები მრავალჯერ მოქცნენ თურქეთისა და აშშ-ის ყურადღების ცენტრში.

1984-1999 წლებში თურქეთის რესპუბლიკას მოუხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა „ქურთისტანის მუშათა პარტიის“(PKK) მოძრაობასთან, რომელსაც მუსტაფა ოჯალანი მეთაურობდა, ამ ბრძოლაში 30 ათასამდე ადამიანი დაიღუპა.

XXI საუკუნის 10-იან წლებში არაბულ სამყაროში დაწყებულმა რევოლუციურმა ტალღამ - „არაბულმა გაზაფხულმა“, 2011 წელს სირიაც მოიცვა. საზოგადოების მხრიდან გამოხატულ მშვიდობიან პროტესტს, სირიის ლიდერის - ბაშარ ასადის რეჟიმმა არაპროპორციული ძალის გამოყენებით უპასუხა, რადგან მის მთავარ მიზანს ხელისუფლების შენარჩუნება წარმოადგენდა. სირიელი ხალხის ერთი ნაწილის გამოსვლის მოტივი იყო ის, რომ სუნიტურ უმრავლესობას მართავდა ალავიტური უმცირესობა. ამის წინააღმდეგ პროტესტით გამოსული ადამიანები მოითხოვდნენ ადამიანის უფლებების დაცვას და ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის შემოღებას. ასადმა კი მათ ცეცხლი გაუხსნა და აგრძობინა ყველას, რომ სირიაში რეჟიმის შეცვლა არ მოხდებოდა ისე, როგორც მოხდა სხვა არაბულ ქვეყნებში. მთავრობის მხრიდან მსგავს მოქმედებას მოჰყვა ის, რომ სირიის არმიის ნაწილი გადავიდა ოპოზიციის მხარეს და გამოაცხადა, რომ იწყებდა ბრძოლას ასადის რეჟიმისგან გასათავისუფლებლად, მაგრამ ასადისადმი ოპოზიცია ვერ აღწევდა წარმატებას, რასაც მოჰყვა, უცხოელი რადიკალი მებრძოლების შემოსვლა სირიაში. მათ მხარდაჭერა აღუთქვეს ოპოზიციას და დაიწყეს ბრძოლა ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ. შემდეგ ეს რადიკალური ჯგუფი გაიყო ორ ნაწილად და გაჩნდა ე.წ. ისლამური სახელმწიფო, ხოლო მეორე ნაწილმა გააგრძელა ალ-ქაიდასთან თანამშრომლობა.

რადიკალური ჯგუფების წინააღმდეგ საბრძოლველად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთავარ მოკავშირედ ქურთების მუშათა პარტია დაისახა და მათ მხარდაჭერა აღუთქვა. რუსეთმა მხარი დაუჭირა ასადის მთავრობას, ისევე როგორც ირანმა. თურქეთი კი მხარს უჭერდა სირიის ოპოზიციას. ფაქტობრივად, შეიქმნა ისეთი სიტუაცია, სადაც ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძოდა. ქურთები აქტიურად არიან ჩართულნი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მომხდარ ყველა კონფლიქტში. თურქეთი მთავარ პრობლემას ხედავს ქურთისტანის მუშათა პარტიაში, რომელიც წარმატების შემთხვევაში რეალურ საფრთხეს შეუქმნის თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას. ქურთული დაჯგუფების პრიორიტეტს წარმოადგენს თურქეთის

ტერიტორიაზე თავისი კონტროლის ქვეშ არსებული სახელმწიფო ერთეულის შექმნა, როგორც ერაყის ქურთისტანშია (რომელიც გახდა საფუძველი და წყარო თურქ ქურთებში თვითგამორკვევის ახალი ტალღის გაჩენისა). თურქეთსა და ქურთულ დაჯგუფებებს შორის ურთიერთობის გამწვავება სირიაში არსებულმა კრიზისმა განაპირობა და სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი საფუძველი აშშ-თან გარკვეული დაპირისპირებისა და მათ შორის ბზარის გაჩენისა. თურქეთის თვალთახედვით, სირიაში ქურთების გავლენის ზრდის ტენდენცია, მათდამი აშშ-ის მხარდაჭერა რომ განაპირობებს, ჯაჭვური ეფექტის პრინციპით გამოიწვევს თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთული მოსახლეობის მიერ ავტონომიის მოთხოვნის გაძლიერებასა და, რაც ყველაზე მთავარია, შესაძლო თურქეთის იურისდიქციიდან გამოყოფის პროცესსაც, ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნის მიზნით. სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთლიანი ტერიტორიის მეხუთედ ნაწილს, პრაქტიკულად, სამოქალაქო ომის დაწყებიდანვე ქურთული სირიის დემოკრატიული ძალები (SDF) აკონტროლებენ. მიუხედავად ათეული წლების მანძილზე მათზე განხორციელებული მკაცრი რეპრესიებისა და ტერორისა, სირიელი ქურთები ასადის მთავრობის წინააღმდეგ პრაქტიკულად არ იბრძვიან. მათ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამხრეთით ქურთული ეთნოსით დასახლებული ტერიტორიების თავდაცვა და უსაფრთხოება ისლამური სახელმწიფოსგან, ხოლო ჩრდილოეთით თურქული შემოტევისგან დაცვა.

ქურთების უმრავლესობას სუნიტები წარმოადგენენ, ისინი სხვა ეთნოსისა და კონფესიების წარმომადგენლებთან ერთად ცდილობენ მკვეთრად ეგალიტარული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას. ქურთი მეზობლები ერთ-ერთ საუკეთესო ჯარისკაცებად მიიჩნევიან, ისინი ეფექტურად იბრძვიან ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ. მათ უშუალო მხარდაჭერას უწევს ხმელეთიდან ერაყული, ქურთული საბრძოლო დანაყოფები ე.წ. „ფემმერგას“ მეზობლები და ჰაერიდან - აშშ-ის ავიაცია. თურქეთის ხელისუფლება ქურთების „სახალხო დაცვის შენაერთებს“ (YPG) მის ტერიტორიაზე მოქმედ ტერორისტული ორგანიზაციის

„ქურთისტანის მუშათა პარტიის“ (PKK) (თურქები მას ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევენ) სირიულ ნაწილად მიიჩნევენ და მის წინააღმდეგ არაოფიციალურად საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდა, თუმცა 2018 წელს (24 იანვარი - 24 მარტი) თურქეთმა ქურთების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია - „პალმის რტო“ - განახორციელა. სამოქალაქო ომის დაწყებამდე სირიასა და თურქეთს შორის დამთბარი ურთიერთობის მიუხედავად, რომელიც სირიიდან ქურთების ლიდერის - აბდულა ოჯალანის გაძევებას მოჰყვა, ქვეყანაში საპროტესტო გამოსვლების (2011 წელი) შემდგომ თურქეთმა ასადის გადადგომას დაუჭირა მხარი. უშუალოდ აშშ-სა და თურქეთს შორის დაპირისპირების მთავარი პრობლემა, სირიის კონფლიქტში, გახდა ქურთული სამხედრო დანაყოფების არსებობა, კერძოდ, სირიაში მოქმედი ქურთების მუშათა პარტია. წლების განმავლობაში აშშ და თურქეთი ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მეომარი, დასავლური კოალიციის წევრები იყვნენ და მათ საერთო მიზანი ამოძრავებდათ. უკანასკნელ პერიოდში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. აშშ-მა და თურქეთმა ასადის მთავრობის შეცვლის სურვილზე მეტად, პრიორიტეტულად დაისახეს ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა და მისი ლიკვიდაცია. სწორედ ეს იქცა მათ ურთიერთობებში დაძაბულობის ერთ-ერთ მიზეზად, რომელიც მათ შორის იდეურმა სხვადასხვაობამ და ინტერესთა კონფლიქტმა წარმოშვა. მიუხედავად იმისა, რომ ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში თურქეთი აშშ-ის კოალიციის წევრი იყო, მას არაერთხელ გაუკრიტიკებია ვაშინგტონი SDF-ს მხარდაჭერის გამო. ამასთანავე, ის ხელს უშლიდა ალიანსს, რომ სირიის ჩრდილოეთი საზღვარი დაემორჩილებინა. თურქეთისთვის ქურთები და მათგან გამომდინარე შესაძლო კრიზისები, ძლიერი სახელმწიფოს შენარჩუნების და ტერიტორიული მთლიანობით არსებული სტაბილური მდგომარეობის დესტაბილიზაციისაკენ მიმართული ნაბიჯი იყო, შესაბამისად, მან მიუღებლად ჩათვალა აშშ-ის მხრიდან დახმარება ქურთების მიმართ. თურქეთის მიზანია, რომ ქურთების სახალხო თავდაცვის შეიარაღებული დანაყოფები, საკუთარი



საზღვრიდან, რაც შეიძლება შორს გაიყვანოს და დიდი ბუფერული ზონა შექმნას თურქეთში მცხოვრებ ქურთებსა და სეპარატისტულად განწყობილ სირიელ ქურთ მემბოხეებს შორის, რადგან მიაჩნია, რომ ისინი თურქეთის სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის საშიშროებას წარმოადგენენ. გარდა ამისა, თურქეთის სასაზღვრო რეგიონში 3,5 მილიონი სირიელი ლტოლვილი ცხოვრობს და ანკარა აპირებს, მათი ნაწილი სწორედ ქურთებისგან გათავისუფლებულ ტერიტორიაზე გადაასახლოს. თუმცა აღსანიშნავია ის წვლილი, რაც ქურთულმა სამხედრო დანაყოფებმა გაიღეს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ისლამური სახელმწიფოს დამარცხებაში. ქურთები მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ და პოლიტიკურთან ერთად, საკმაოდ ძლიერი სამხედრო ძალაც ჩამოაყალიბეს ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ სირიელი ქურთების შეიარღვებული ძალები – YPG – „სახალხო თავდაცვის რაზმები“ ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული, მომზადებული და მოტივირებული ძალაა სირიის კონფლიქტში, რომელიც დღემდე ყველაზე აქტიურად იბრძოდა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. ამ გარდამავალ პერიოდში, გასათვალისწინებელია თურქეთის საკმაოდ რთული მდგომარეობაც. ერთი მხრივ, ანკარამ ჩამოაყალიბა ორმხრივი, კარგი ურთიერთობები როგორც რუსეთთან, ასევე ირანთან, თუმცა, რეგიონში მათი პოზიციებისა და გავლენის ზრდა მას ნაკლებად აწყობს. მეორე მხრივ, თურქეთისთვის განსაკუთრებით მგრძნობიარე ქურთების საკითხი ჩრდილს აყენებს ანკარის მჭიდრო პარტნიორობას აშშ-თან, რადგან ვაშინგტონი ერაყშიც და სირიაშიც ქურთებთან მჭიდროდ თანამშრომლობს. მდგომარეობის გამოსასწორებლად, აშშ-მა გადაწყვიტა შუამავლის ფუნქცია ეკისრა და ორივე მხარეს კომპრომისული გადაწყვეტილების მიღებაში დახმარებოდა. საერთო კონსენსუსის ფონზე გადაწყვიტეს სირიის ჩრდილოეთით უსაფრთხო ბუფერული ზონის შექმნა. ქურთებს ეკისრებოდა ვალდებულება, რომ ისინი დაშლიდნენ სამხედრო ბაზებსა და სასაზღვრო ტერიტორიიდან მძიმე არტილერიასა და შეიარაღებას გაიტანდნენ. სტაბილურობის საგარანტიოდ შეიქმნებოდა კოორდინირების ერთობლივი ჯგუფი და ტერიტორიის

პატრულირებას მოახდენდა. თურქეთის პრეზიდენტი, რეჯეფ თაიფ ერდოღანი აშშ-ს მოუწოდებდა დროში არ გაეწელა შეთანხმების პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამის მკაცრ ზომებს მიიღებდა და დაიწყებდა საომარ მოქმედებებს ქურთების წინააღმდეგ (შავრეშიანი, 2020:58). საკმაოდ მყიფე და დამაბული რეალობის პირობებში აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ყველასთვის მოულოდნელად ამერიკელი სამხედროების სირიიდან გაყვანა გადაწყვიტა, რამაც, რა თქმა უნდა, უკმაყოფილება გამოიწვია როგორც აშშ-ის წარმომადგენლობით პალატაში, ასევე პარტნიორ სახელმწიფოთა და პოლიტიკოსების მხრიდან. მათი აზრით, აშშ-ის ეს გადაწყვეტილება, თურქეთთან მიმართებით, დათმობაზე წასვლას გულისხმობდა. საკმაოდ დიდი იმედგაცრუება განიცადა ქურთულმა მხარემ, მათთვის ტრამპის ეს გადაწყვეტილება ზურგში დანის ჩარტყმას ნიშნავდა, რადგან აშშ-ის მთავარი დასაყრდენი აისის-თან ბრძოლაში და მათ დამარცხებაში სწორედ ქურთები იყვნენ და, როდესაც აშშ-ს მედიატორის როლი უნდა ეკისრა მათსა და თურქეთს შორის, სწორედ ამ დროს აღმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში. მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარებისა და საერთაშორისო ექსპერტების მკაცრი კრიტიკის შემდეგ ტრამპმა განცხადება გააკეთა, რომელიც გულისხმობდა მუქარას თურქეთის მიმართ, თუკი ისინი დაარღვევდნენ აშშ-ის ინტერესებს და შეულახავდნენ ავტორიტეტს. თუმცა თურქეთი არ აპირებდა საკუთარი პოლიტიკის შეცვლას და აგრძელებდა ისეთ მოქმედებას, რომელიც აშშ-ის გაღიზიანებას იწვევდა.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში თავის დროზე ოფიციალურ დონეზე ქურთების სახელის ხსენებაც არ შეიძლებოდა: ისინი ჯერ „მთიელ თურქებად“ შემდეგ კი „აღმოსავლეთის თურქებად“ იწოდებოდნენ.

2002 წლის 3 აგვისტოს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ (პარლამენტმა) ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: შეარბილა აკრძალვა ქურთულ ენაზე სწავლებისა და რადიოსა და ტელევიზიაში გადაცემების შესახებ და ამით დე ფაქტო ცნო ქურთული ენისა და შესაბამისად, ქურთი ხალხის არსებობა თურქეთის ტერიტორიაზე.

2009 წელს თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიამ გახსნა 24 საათიანი ტელეარხი ქურთულ ენაზე. 2010 წლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, სადაც ქურთები უმრავლესობაა, დაიწყო ქურთულ-თურქულად შედგენილი ქორწინების მოწმობების გაცემა, დასახლებული პუნქტებისა და გზის მიმართულების ორ ენაზე მითითება. ეს თურქეთის მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ იმდროინდელი ლიბერალური დამოკიდებულების მაჩვენებელი იყო, მაგრამ ანკარა არ დაუშვებს ქურთების ტერიტორიულ ავტონომიას თავის ქვეყანაში (გაჩეჩილაძე, 2018:181).

სირიის არაბულ რესპუბლიკაში, ქურთები ტერიტორიულ ავტონომიაზე ხმა-დალ პრეტენზიას არ აცხადებდნენ. მათი მოთხოვნები დიდხანს არ სცდებოდა ფაქტობრივი სამოქალაქო თანასწორობის დამყარებას და ეთნიკურ საფუძველზე დისკრიმინაციის მოსპობას, ქურთულ ენაზე საუბარიც კი სირიაში აკრძალული იყო.

2011 წელს სირიაში გამოსვლების დროს, ქურთების მოთხოვნები მეტი პოლიტიკური უფლებების შესახებ უკვე დღის წესრიგში დადგა. დამასკომ მიანიჭა მოქალაქეობა დაახლოებით 100 ათას ქურთს, რასაც მანამდე არ აძლევდა მათ.

2012 წლიდან კი ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში ქურთებმა შექმნეს ფაქტობრივი ავტონომია, რომელსაც „როჟავა“ უწოდეს, თუმცა სამოქალაქო ომში ჩართულ დამასკოს ის არ უცვნიან.

XXI საუკუნის დამდეგის გეოპოლიტიკურ გათვლებში ერაყის ქურთებს სხვებზე მეტი ყურადღება ეთმობოდა. ქურთებმა ამ ტერიტორიაზე შექმნეს ფაქტობრივი ავტონომიური ერთეული. 2002 წლის სექტემბერში, ბაღდადის დაუკითხავად, იქ რეგიონული პარლამენტიც კი აღდგა. ქურთთა მეტოქე ფრაქციები შერიგდნენ და ფორმალური ავტონომიის უფლება მოითხოვეს, რამაც შეშფოთება გამოიწვია ანკარაში, სადაც კარგად ესმოდათ, რომ „ავტონომიზაცია“ თითქმის ყოველთვის არის „სუვერენიზაციის“ პირველი ეტაპი. ანკარა შიშობდა და შიშობს, რომ ერაყში ქურთების ოფიციალური ავტონომიის შექმნა გადამდები მაგალითი იქნება თურქე-

თის აღმოსავლეთ რეგიონებში მცხოვრები მილიონობით ქურთისთვის. ანალოგიური შიში აქვს ირანსაც.

XXI საუკუნის დამდეგს, ამერიკის სამხედრო სარდლობამ ერაყში ომისთვის მზადებისას საჭიროდ მიიჩნია ჰყოლოდა შიდა მოკავშირე ქვეყანაში. ამ თვალსაზრისით, ამერიკის ბუნებრივ მოკავშირედ სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩანდა ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრები ქურთული უმცირესობა, რომელიც მუდმივად იჩაგრებოდა ბაღდადის მიერ და რომელსაც ჰქონდა სერიოზული საბაბი, ძალიან უარყოფითად ყოფილიყო განწყობილი მმართველი რეჟიმის მიმართ, შესაბამისად კი – ყველაზე პროამერიკული ყოფილიყო ერაყის ეთნო-კონფესიურ თემებს შორის, მაგრამ ქურთების მოკავშირეობა ამერიკასთან არ აღმოჩნდა ისეთი მარტივი საქმე, როგორც ერთი შეხედვით წარმოსდგებოდა. ასეთი მოკავშირეობის პირობები მხოლოდ ორი მხრის გადასაწყვეტი არ ყოფილა. ძალიან აქტიურად ჩაერთო ამ საკითხში ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ძველი მოკავშირე რეგიონში – თურქეთის რესპუბლიკა, რომლისთვისაც „ქურთების პრობლემა“, როგორც უკვე აღინიშნა, ძალიან მტკივნეული თემაა.

2017 წლის 25 სექტემბერს ერაყის ქურთისტანში შედგა რეფერენდუმი. ბიულეტენებში მხოლოდ ერთი კითხვა იყო შეტანილი: „გსურთ თუ არა, რომ ქურთისტანის რეგიონი და ქურთისტანის ის ადგილები, რომლებიც რეგიონის საზღვრებს გარეთაა, გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო?“ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ქურთისტანის რეგიონისა და მისი მთავრობის მიერ კონტროლირებადი მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობის დაახლოებით 72%-მა. რეფერენდუმში მონაწილეთა 86%-მა მხარი დაუჭირა ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას (სანიკიძე, 2017:1).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რეფერენდუმზე დამოუკიდებლობის მხარდაჭერა არ ნიშნავდა ავტომატურად დამოუკიდებლობის გამოცხადებას - რეფერენდუმის განაწესის მიხედვით. ერაყის ქურთისტანის ხელმძღვანელობას ის უფლებას აძლევდა მომავალში გამოეცხადებინა ქურთული დამოუკიდებელი სახელმწიფოს

შექმნა. ერაყის ქურთისტანის ლიდერებიც ხაზს უსვამენ, რომ არ აპირებდნენ ამ ეტაპზე დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ფაქტია, რომ მომავალში აღნიშნული რეფერენდუმის შედეგებს ისინი განიხილავდნენ, როგორც მოლაპარაკებების დაწყების ახალ ეტაპს, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ქურთული სახელმწიფოს შექმნა.

რეფერენდუმის ჩატარებამ წინ წამოსწია არაერთი პრობლემა, როგორცაა: ქურთისტანის სახელმწიფოს საზღვრები; რეგიონის მეზობელი ქვეყნების დამოკიდებულება ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნისადმი; დასავლეთის პოზიცია ქურთული სახელმწიფოს შექმნის მიმართ; ქურთებისა და მათივე რელიგიური უმცირესობების ურთიერთობის საკითხი და სხვა (სანიკიძე, 2017:2).

ერაყის ქურთების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1946 წელს შეიქმნა ქურთისტანის დემოკრატიული პარტია. პარტიაში თავიდანავე არ იყო ერთიანობა. ერთ მხარეს იყო მოლა მუსტაფა ბარზანი (რეგიონის ამჟამინდელი პრეზიდენტის, მასუდ ბარზანის, მამა), რომელსაც ტომები უჭერდნენ მხარს, ხოლო მეორე მხარეს - იბრაჰიმ აჰმადის და ჯალალ ტალაბანის (ეს უკანასკნელი ერაყის პრეზიდენტი იყო 2005-2014 წლებში) მემარცხენე ფრთა, რომელიც, ძირითადად, ურბანულ ფენებს ეყრდნობოდა. მოგვიანებით ტალაბანის მომხრეები გაერთიანდნენ ქურთისტანის პატრიოტულ კავშირში, რომელიც ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, დღეს ქურთისტანის მთავარ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. ორ პარტიას შორის არსებული წინააღმდეგობა ხანგრძლივი დროის მანძილზე უშლიდა ხელს ქურთებს დამოუკიდებლობის მიღწევაზე მიმართული ერთიანი პოლიტიკის შემუშავებაში. თუმცა, ბოლო ხანებში ეს წინააღმდეგობები გადაილახა, უკანა პლანზე გადავიდა ბარზანისა და ტალაბანს შორის არსებული დაპირისპირებაც. აღსანიშნავია, რომ ჯალალ ტალაბანი სულ მალე რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ (3 ოქტომბერს) გარდაიცვალა, ბარზანიმ და ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ კი სათანადო პატივი მიაგო მის ღვაწლსა და ხსოვნას.

ქურთისტანის დამოუკიდებლობის ხარისხი კიდევ უფრო გაიზარდა ერაყში საერთაშორისო ინტერვენციისა და სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ (2003). ამ პერიოდიდან მოყოლებული, სპარსეთის ყურის ამ რეგიონმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს გარკვეული ნიშნებიც კი შეიძინა. რეგიონის დედაქალაქ ერბილში გაიხსნა სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობები, გაძლიერდა რეგიონის საერთაშორისო კავშირებიც. მალე რეგიონის ხელმძღვანელობამ საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა მიმდებარე ტერიტორიებიც (მათ შორის, ენერგომატარებლებით მდიდარი კირკუკი). ქურთები დასავლეთის უპირობო მოკავშირეებად გადაიქცნენ. ქურთული სამხედრო შენაერთი - ფემშერგა კი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ძალა გამოდგა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში.

რეგიონის ამგვარი ფაქტობრივი დამოუკიდებლობის პირობებში, ბუნებრივია, ერაყის ცენტრალური ხელისუფლება ეძიებდა ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების გზებს. სწორედ, ამ მიზანს ემსახურებოდა ჯალალ ტალაბანის პრეზიდენტად არჩევაც (ერაყის პრეზიდენტად სამჯერ იქნა არჩეული). ქურთისტანში დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება არაერთხელ დაიგეგმა, თუმცა ამის განხორციელებას ხელს უშლიდა როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორები. შინაგანი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ კი, საბოლოოდ, 2017 წლის 25 სექტემბერს მოხერხდა ამ რეფერენდუმის ჩატარება.

როგორც ერაყის ცენტრალური ხელისუფლების, ისე რეგიონის ქვეყნების განწყობა მკვეთრად უარყოფითია რეფერენდუმის ჩატარებისა და ახალი სახელმწიფოს შექმნის მიმართ. ერაყის პრემიერმა, ჰაიდარ აბადიმ, რეფერენდუმს არაკანონიერი და არაკონსტიტუციური უწოდა, რასაც მხარი დაუჭირა ერაყის პარლამენტმაც. ქურთისტანის რეგიონული მთავრობის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულმა შედეგმა მათ მიანიჭათ მანდატი, რომ მოლაპარაკებები დაეწყოთ ბაღდადთან, მაგრამ ერაყის პრემიერ-მინისტრმა ჰაიდარ აბადმა რეფერენდუმის შედეგების ანულირება მოითხოვა.

რეფერენდუმის შემდეგ თვეში, ერაყის სამთავრობო ძალებმა ქურთების მიერ კონტროლირებული სადავო ტერიტორიები დაიკავეს. კირკუკის და მისი ნავთობიდან არსებული შემოსავლის დაკარგვა ყველაზე დიდი დარტყმა იყო ქურთისტანის რეგიონისთვის.

კირკუკის კონტროლი, სადაც ერაყის ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსების 10%-ია თავმოყრილი, განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია აქ მცხოვრები სამი ეთნიკური ჯგუფისთვის - ქურთების, არაბებისა და თურქმენებისთვის, მაგრამ გამორჩეულად ქურთებისთვის, რომლებიც მას საკუთარ იერუსალიმად აღიქვამენ.

ენერგორესურსებზე კონტროლი უმნიშვნელოვანესია ერაყის ქურთისტანისთვის, მაგრამ ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონფლიქტი არ შეიძლება მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორზე დავიყვანოთ.

ერთადერთი ქვეყანა, რომელიც უპირობოდ უჭერს მხარს ქურთისტანის დამოუკიდებლობას და ოფიციალურად აღიარებს რეფერენდუმის შედეგებს - ისრაელია. ბუნებრივია, ისრაელის ინტერესებში შედის მასთან დაპირისპირებული ისლამური სამყაროსათვის ახალი პრობლემის გაჩენა.

ერაყელ ქურთებსა და ისრაელს შორის პირველი კავშირები ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩნდება, როდესაც ისრაელის პირველმა პრემიერ-მინისტრმა, დავიდ ბენ-გურიონმა დაამტკიცა ე.წ. „პერიფერიული ალიანსის“ სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა არაბულ სახელმწიფოებთან შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში ეთნიკურ-რელიგიური ჯგუფების გამოყენებას თავის სასარგებლოდ, ამასთანავე ამ პერიოდიდან ისრაელის „მოსადის“ წევრებმა დაიწყეს ქურთისტანის სამხედრო ნაწილების წვრთნა.

ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ერაყის ქურთისტანისა და თურქეთის დამაკავშირებელ ნავთობსადენს. მასუდ ბარზანი ქურთისტანის რეგიონის პრეზიდენტი 2005 წელს გახდა და თურქეთთან ურთიერთობები კიდევ უფრო დაათბო. ქურთისტანიდან ენერგო-

მატარებლების ექსპორტი უფრო გაიზარდა. გაგრძელდა და გარღმავდა თანამშრომლობა ქურთისტანის მუშათა პარტიის წინააღმდეგ.

თუმცა, დღეს თურქეთის ხელმძღვანელობა უკიდურესად უარყოფითად აფასებს როგორც რეფერენდუმს, ისე დამოუკიდებელი ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივას. მიზეზი მარტივია - მსგავსი პრეცედენტი გარკვეულ სტიმულს შეუქმნის თურქეთის (გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან) ქურთებს და კიდევ უფრო გააღვივებს მათ სეპარატისტულ განწყობებს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თურქეთის ქურთების დამოკიდებულება აღნიშნული რეფერენდუმისადმი. თურქეთის ქურთების ნაწილი მიესალმა ამ რეფერენდუმს, მაგრამ წამყვანი პოლიტიკური ძალის - ქურთისტანის მუშათა პარტიის დამოკიდებულება საერთო ჯამში უარყოფითია (თუმცა, პარტიის რამდენიმე წევრმა რეფერენდუმი დადებითად შეაფასა). ქურთისტანის მუშათა პარტია რეფერენდუმს მასუდ ბარზანის მიერ ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით წამოწყებულ პოლიტიკურ თამაშს უწოდებს და მხარს უჭერს „დემოკრატიულ ავტონომიას“ ერაყის ქურთისტანში.

ყურადღებას იმსახურებს იეზიდების საკითხიც. ისტორიულად იეზიდებსა და მუსლიმ ქურთებს შორის საკმაოდ მძაფრი დაპირისპირება არსებობდა და ამგვარი ვითარება შენარჩუნდა უკანასკნელ ხანებამდე. თუმცა დღეს იეზიდებმა მხარი დაუჭირეს რეფერენდუმსა და დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნას. იეზიდთა უზენაესმა ლიდერმა მირ თაჰსინ ბეგმა ქურთისტანის რეგიონსა და მის გარეთ მცხოვრებ იეზიდებს მოუწოდა, მონაწილეობა მიეღოთ რეფერენდუმში და მხარი დაეჭირათ ქურთისტანის დამოუკიდებლობისათვის. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს იეზიდების აბსოლუტური უმრავლესობაც ემხრობა ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას.

ამგვარად, ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ნებისმიერ შემთხვევაში დასჭირდება მეზობელი სახელმწიფოების მხარდაჭერა. მის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად შეიძლება მოვიაზროთ ისრაელი, რომელიც ჯერ-ჯერობით



დუმს, თუმცა საეჭვო არაა, რომ ოფიციალური იერუსალიმი მხარს დაუჭერს ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. ამის ნათელი გამოხატულება იყო ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნათანიაჰუს განცხადება, რომ ისინი მხარს უჭერენ ქურთისტანის მისწრაფებას დამოუკიდებლობისკენ.

ისრაელთან პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა მხოლოდ კეთილსურვილებზე არ არის დამყარებული, აღნიშნული კავშირი ორმხრივ სარგებელზეა ორიენტირებული. ისრაელი თავის მხრივ ქურთებისგან მიიღებს საკმაოდ ხელსაყრელ ფასად ნავთობის დამატებით მარაგს, თანაც მას უჩნდება საკმაოდ ძლიერი სამხედრო პარტნიორი ირანთან შესაძლო დაპირისპირების შემთხვევაში. ქურთისტანი კი თავის მხრივ ისრაელთან კავშირით ამცირებს თავისი იზოლაციის საფრთხეს და იძენს საკმაოდ ძლიერ სავაჭრო და სამხედრო პარტნიორს.

ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიმართ მწვავე პოზიცია უჭირავს ირანის ისლამურ რესპუბლიკას. ირანი მხარს უჭერს ერაყის ტერიტორიულ მთლიანობას და ცდილობს ერბილსა და ბაღდადს შორის უთანხმოების დროს შუამავლის ფუნქცია შეასრულოს. ირანის ხელისუფლების წინააღმდეგობას, ძირითადად, ორი ფაქტორი განაპირობებს: პირველი - ერაყში ქურთისტანის დამოუკიდებლობას შეიძლება მსგავსი ეფექტი ჰქონდეს ირანში მცხოვრებ ქურთებზე, მეორე კი - გეოპოლიტიკური ბერკეტია, აშშ-ისა და ისრაელის მიერ მხარდაჭერილი ქურთისტანის დამოუკიდებლობა მნიშვნელოვნად შეამცირებს ირანის გავლენას რეგიონში.

ქურთისტანის დამოუკიდებლობის გზაზე მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება იყოს თურქეთი, სადაც ქურთები შეადგენენ ყველაზე დიდ უმცირესობას. 2003 წლიდან თურქეთი აქტიურად ცდილობს შეამციროს ერაყში ქურთების სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ. დღეისთვის თურქეთს მნიშვნელოვანი ეკონომიკური კავშირები აქვს ქურთისტანთან. თურქეთის პრეზიდენტს, რეჯეფ თაიფ ერდოღანს, კარგი ურთიერთობა აქვს ბარზანისთან, რომლის პარტიაც არ უჭერს მხარს „ქურთისტანის მუშათა პარტიას“.

ერაყის ტერიტორიაზე ახალი სუვერენული სახელმწიფოს გაჩენა მნიშვნელოვნად ზრდის შანსებს, რომ ეს შეიძლება გახდეს მათ შორის განხეთქილების მიზეზი.

ქურთისტანს არ აქვს ზღვაზე გასასვლელი, ის ესაზღვრება ირანს, ერაყს, სირიას, თურქეთს და ყველა მათგანი წინააღმდეგია მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა. ყველა მეზობელი სახელმწიფო სკეპტიკურად უყურებს ასეთ მტრულ გარემოში მშვიდი და სტაბილური სახელმწიფოს შექმნას.

#### **4.6. თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები და რუსეთის საკითხი**

XXI საუკუნის დასაწყისი, ორ წამყვან სახელმწიფოში ცვლილებებით ხასიათდება, რუსეთის სათავეში მოვიდა ვლადიმერ პუტინი, ხოლო აშშ-ში ჯორჯ ბუში. ეს ორი ლიდერი წინა ხელისუფლებასთან შედარებით აშკარად ემხრობოდა უფრო მკაცრი ზომების მიღებას ტერორიზმისა და რადიკალური მოძრაობების მიმართ და მათ საერთაშორისო საფრთხედ მიიჩნევდა.

2000-იანი წლების დასაწყისში თურქეთის საშინაო პოლიტიკა არც თუ სტაბილური იყო. 2001 წლის ზაფხულის ბოლოს თურქეთი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პიკს მიუახლოვდა. მთავრობა იძულებული გახდა რიგი ეკონომიკური რეფორმები გაეტარებინა, მაგრამ ამის შედეგად თურქული ლირა კიდევ უფრო დაეცა და გაუფასურდა, პარალელურად მკვეთრად გაიზარდა ქვეყნში კრიმინალი და მმართველი პარტიის რეიტინგი საგრძნობლად დაეცა.

სწორედ ასეთ სიტუაციაში თურქეთში 2002 წლის 3 ნოემბერს არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა ისლამური ორიენტაციის „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“, რომელმაც დემოკრატიულ არჩევნებში ტრიუმფალური გამარჯვების შედეგად ჩაიბარა ხელისუფლება და ქვეყანა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, ახალი მიმართულებით წაიყვანა.

2000-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დასავლეთთან და ევროკავშირთან ურთიერთობები ჩიხში შევიდა, თურქეთისათვის დღის წესრიგში დადგა რუსეთთან

ერთად ევრაზიული კავშირის შექმნისა და თანამშრომლობის განვითარების საკითხი. ამ მიმართებით საგულისხმო დამთხვევად იქნა მიჩნეული ევროკავშირის ლიდერთა მიერ 2004 წელს თურქეთთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების წინ რუსი ლიდერის ვლადიმერ პუტინის ოფიციალური სტატუსით თურქეთში ვიზიტი. მეორე მხრივ, ამ ვარაუდებს ამართლებდა აშშ-ის მიერ ერაყში შეჭრის შემდგომ თურქეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების გაცივება და ასევე 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის დაწყებული „რომანტიკული ურთიერთობების დასასრული“, ამ ვარაუდს საკმაო საფუძველს აძლევდა რუსეთსა და თურქეთს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად მოსკოვისა და ანკარის მიერ საერთაშორისო პრობლემებზე მსგავსი პოზიციების გამოხატვა.

2004-2005 წლები თურქეთსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობები შეიძლება გარდატეხის ეტაპად მივიჩნიოთ. 2004 წლის დეკემბერში ვლადიმერ პუტინი თურქეთს ეწვია. პირველ ეტაპზე დაახლოების პროცესი რუსეთსა და თურქეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებში გამოვლინდა. დაბალი საექსპორტო ღირებულებების წყალობით თურქეთმა შეძლო თავისი სავაჭრო ნიშა მოეპოვებინა პოსტსაბჭოთა სივრცეში, ყველაზე მასშტაბურად კი - რუსეთში.

ორ ქვეყანას შორის განვითარებული სავაჭრო ურთიერთობები, მოკლე დროში სერიოზულ პოლიტიკურ თანამშრომლობაში გადავიდა. 2006 წლის მარტში თვალშისაცემი გახდა თურქეთისა და რუსეთის ინტერესთა თანხვედრა შავი ზღვის აკვატორიასთან დაკავშირებით. თურქეთმა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შავ ზღვაში, ანტიტერორისტული საზღვაო მანევრების - „ოპერაცია აქტიური ღონისძიება“ - ჩატარების უფლება არ მისცა. ანკარამ განაცხადა, რომ შავი ზღვის ქვეყნების საზღვაო ფლოტებს მსგავსი ფორმატის ღონისძიებების ჩატარება საკუთარი ძალებითაც შეეძლო.

თურქეთის აღნიშნულ პოზიციას, როგორც მოსალოდნელი იყო, მხარი აქტიურად დაუჭირა რუსეთმაც. ოდნავ მოგვიანებით, 2006 წლის დეკემბერში, რუსეთი

ოფიციალურად შეუერთდა თურქეთის მიერ ინიცირებულ პროექტს სახელწოდებით „შავი ზღვის ჰარმონია“. აღნიშნული ინიციატივა კი სწორედ ზემოხსენებული „ოპერაცია აქტიური ღონისძების“ ანალოგი იყო, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მისი მონაწილენი იყვნენ არა ზოგადად ნატოს წევრი სახელმწიფოები და მათი პარტნიორები, არამედ მხოლოდ შავი ზღვის აკვატორიის ქვეყნები, სადაც წამყვანი როლი, როგორც მოსალოდნელი იყო, თურქეთსა და ნაწილობრივ რუსეთს ეკუთვნოდა. ზოგადად, 2000-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთ-თურქეთის პოლიტიკურ ნაბიჯებში იკვეთება იმის გარკვეული კონტურები, რომ ისინი თანმიმდევრული შეთანხმებული პოლიტიკის წყალობით ცდილობდნენ ყოველმხრივ გამოეთიშათ და დაებლოკათ მესამე ძლიერი ძალის ჩარევა მათი ინტერესების სფეროში.

რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური დამოკიდებულება კარგად გამოჩნდა 2008 წლის საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომის დროს, სადაც კიდევ ერთხელ გავხდით ორი ქვეყნის პოლიტიკური სიახლოვის მოწმენი. მიუხედავად იმისა, რომ ომის დაწყებისთანავე თურქეთის რესპუბლიკა გვეხმარებოდა როგორც ჰუმანიტარული, ასევე პოლიტიკური განცხადებებით, რეალურად იგი მაინც რუსეთის მხარეს იხრებოდა, მართალია, მის ინტერესში არ შედიოდა არც ეს ომი და, მითუმეტეს, რუსეთის პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცება, თუმცა ის ცდილობდა, რომ მის პოლიტიკას რუსეთის მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება არ მოჰყოლოდა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს თურქეთის ხელისუფლებამ შეერთებული შტატების მიერ გამოგზავნილ ორ სამხედრო-ჰუმანიტარულ გემს სრუტეში შესვლის უფლება არ მისცა და ამისთვის თურქულმა მხარემ 1936 წლის მონტროის მივიწყებული ხელშეკრულება გაიხსენა, რომლის თანახმადაც, ამერიკული გემების მოცულობა არ შეესაბამებოდა კონვენციით დადგენილ სტანდარტებს. მოგვიანებით აშშ იძულებული გახდა საქართველოსათვის შედარებით მცირე ზომის გემები გამოეგზავნა. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს თურქეთის მხრიდან კიდევ ერთ საინტერესო ნაბიჯს ჰქონდა ადგილი, კერძოდ, თურქეთი

როგორც სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური მოთამაშე, ბუნე-ბრევია, დაინტერესებული იყო რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებით, მათი დარეგულირების საკითხების ძიებით. სწორედ, აქედან გამომდინარე, 2008 წლის 11 აგვისტოს გამოვიდა რეგიონული უსაფრთხოების პროექტის „კავკასიის პლატფორმის“ იდეით. ამ ინიციატივის შესახებ თურქეთის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა პირველად, 2008 წლის აგვისტოში, მოსკოვში პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან შეხვედრისას განაცხადა. ერდოღანის ამ ინიციატივის ძირითად ამოცანას რეგიონში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ამასთანავე ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ერდოღანის ეს დოკუმენტი არ იყო პირველი თურქული ინიციატივა, მიმართული რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაზე. მას წინ უსწრებდა 2000 წლის თურქეთის იმდროინდელი პრეზიდენტის სულეიმან დემირელის მიერ გაჟღერებული „კავკასიის სტაბილურობის პაკტი“, რომლის ფორმულის მიხედვით „3+3+2“ მისი მონაწილენი უნდა ყოფილიყვნენ სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი). სამხრეთ კავკასიის მოსაზღვრე სამი სახელმწიფო (რუსეთი, თურქეთი და ირანი) და ასევე ევროკავშირი და აშშ. თუმცა თანამშრომლობის საკმაოდ პერსპექტიული იდეის არსებობის მიუხედავად, კონკრეტული გეგმა ამ პაკტის შესახებ არც ერთი ქვეყნის ლიდერს არ წარუდგენია და საბოლოოდ მისი რეალიზება არ მოხდა.

რაც შეეხება რ. თ. ერდოღანის პლატფორმას, აშკარად ჩანდა, რომ კავკასიაში რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზების თურქული ხედვა რადიკალურად შეიცვალა. თუ ადრე დემირელის ინიციატივა ეუთოს ეგიდით უნდა განხორციელებულიყო და მთავარ მოთამაშედ პირველ რიგში აშშ და ევროკავშირი მოიაზრებოდა, 2008 წლის ერდოღანის პროექტში წამყვან ძალად არ მოიაზრებოდა დასავლეთის არცერთი სახელმწიფო და არც მათი თაოსნობით შექმნილი რომელიმე ორგანიზაცია. ახალი ინიციატივის მიხედვით კავკასიის ბედი

რეგიონის ხუთ სახელმწიფოს უნდა გადაეწყვიტა (რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო). გასაგებია, რომ ბოლო სამი სახელმწიფოს პოზიციას პირველი ორის სიძლიერის ფონზე დიდი მნიშვნელობა ვერ ექნებოდა და ასეთი ფორმატის საქმიანობა, ძირითადად, თურქეთისა და რუსეთის ნებით იქნებოდა ნაკარნახევი და, შესაბამისად, რეგიონის მომავალი იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ რას მოილაპარაკებდა ეს ორი სახელმწიფო. თუმცა არც ეს პროექტი განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-თურქეთს შორის ამ დადებითი ურთიერთობების პარალელურად წინააღმდეგობებიც არსებობდა, რადგან კავკასიის რეგიონში ორივე სახელმწიფო კვლავ ტრადიციულ მეტოქეებად რჩებოდა. რუსეთის ფედერაციაში უარყოფითად აღიქმება მისი გვერდის ავლით განხორციელებული ყველა პროექტი, მათ შორის უკვე შემდგარიც - ერნერგეტიკის სფეროში: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი. რუსეთი ცდილობდა აღნიშნული ტიპის პროექტების თავისთვის გამოყენებას, რაც მისთვის ძლიერი ბერკეტი იქნებოდა როგორც რეგიონში, ასევე ევროპასთან მიმართებითაც.

ამ პერიოდში თურქეთსა და რუსეთს შორის გარკვეული წინააღმდეგობის შემცველი იყო ეკონომიკური ფაქტორიც. დაბალი საექსპორტო ღირებულების წყალობით, თურქული საქონელი წლების მანძილზე კონკურენციას უწევდა რუსულ პროდუქტს ისეთ ბაზარზე, როგორიცაა: უკრაინა და თავად რუსეთი. თუმცა რუსეთის ფედერაცია ფინანსური კრიზისისა და გეოსტრატეგიული მიზნების გამო იძულებული იყო თვალი დაეხუჭა ამ ფაქტორზე, რაც განპირობებული იყო შემდეგით: ფინანსური კრიზისის დროს რუსეთის ფედერაციას ესაჭიროებოდა სტაბილური მიმწოდებელი, ჩინეთის ეკონომიკურ აქტივობას კი - რუსეთის ფედერაციას ისევ თურქეთის აქტივობა ერჩია.

რუსეთ-თურქეთს შორის 2000-იანი წლებიდან დაწყებული კარგი ურთიერთობები 2015 წლიდან იცვლება. ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები ჩიხში მას შემდეგ შევიდა, რაც 2015 წლის 24 ნოემბერს თურქულმა ავიაგამანადგურებელმა

სირიაში ჩამოაგდო რუსული ბომბდამშენი SU 24. მაშინ რუსეთმა თურქეთს მთელი რიგი სანქციები დაუწესა სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით. შედეგად, დიდი ზარალი ნახა როგორც თურქეთმა, ასევე რუსეთმაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკურმა სანქციებმა და რუსი ტურისტების ნაკადის კატასტროფულმა კლებამ, თურქეთის ეკონომიკას უფრო დიდი ზიანი მიაყენა, ვიდრე რუსეთს. სხვადასხვა ინფორმაციით თურქეთის ეკონომიკურმა ზარალმა მხოლოდ ტურისტული ინდუსტრიის სფეროში 9-12 მილიარდ ამერიკულ დოლარს მიაღწია. მნიშვნელოვნად დაზარალდნენ თურქეთის სამშენებლო და სოფლის მეურნეობის სექტორებიც, რის მიზეზადაც თურქული სოფლის მეურნეობის პროდუქტების რუსეთში იმპორტის აკრძალვა და თურქული სამშენებლო კომპანიებისათვის დაწესებული შეზღუდვები იქცა.

2016 წლის 27 ივნისს, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა რუს კოლეგას, ვლადიმერ პუტინს, წერილი გაუგზავნა, სადაც 2015 წლის 24 ნოემბერს თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენ SU-24-ის ჩამოგდების თაობაზე მწუხარება გამოთქვა, ოჯახს მიუსამძიმრა და ბოდიში მოიხადა (Киреев, 2007:120). აღნიშნული ფაქტი რუსეთ-თურქეთს შორის ბოლო შვიდი თვის დამაბული ურთიერთობების ფონზე, ქვეყნებს შორის თანამშრომლობის აღდგენის წინაპირობად იქცა.

როგორც ცნობილია, რუსული მხარე თურქეთისაგან სწორედ ოფიციალურ ბოდიშს ითხოვდა. გარდა ამისა, მოსკოვის მოთხოვნებში ზარალის კომპენსაცია და დამნაშავეების დასჯაც შედიოდა. ამ ეტაპზე ანკარა კომპენსაციისგან თავს იკავებდა. გამანადგურებლის პილოტის დასჯა კი, სავარაუდოდ, სხვა მოტივებითაც, კერძოდ, 16 ივლისს სამხედრო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობის ბრალდებით მოხდა.

ანკარა მოსკოვთან თანამშრომლობას, გარდა ვიწრო ეკონომიკური ინტერესებისა, დასავლეთთან თავისი ურთიერთობების ჭრილშიც აქტიურად იყენებდა. ერდოღანის მთავრობა, რომელსაც დასავლეთი ხშირად აკრიტიკებდა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევებისა და სხვა დემოკრატიული პრინციპების უგულვებელყოფის გამო,

რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობას, განვითარების ალტერნატიულ სცენარად წარმოაჩენდა.

რუსეთის მიერ სირიის პრეზიდენტის, ბაშარ ალ ასადის რეჟიმის მხარდაჭერამ და სირიაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებში ჩართვამ, რეჟიმის პოზიციები მნიშვნელოვნად გააძლიერა. სუნიტმა ამბოხებულებმა, რომელთაც თავის მხრივ, თურქეთი უჭერდა მხარს, უკან დაიხია. გარდა ამისა, გამოიხატა სირიელი ქურთების პოზიციების გაძლიერების ტენდენციაც. თურქეთისთვის კი, რომლის მიზანსაც სირიაში, ერთი მხრივ, სუნიტური მმართველობის დამყარება და ანკარისადმი ლოიალურად განწყობილი ძალების გაძლიერება და, მეორე მხრივ, ქურთული ძალების მაქსიმალური დასუსტება წარმოადგენდა. რუსეთის ქმედებები, სასიცოცხლო ინტერესებისთვის პირდაპირ საფრთხედ წარმოჩნდა (**Davutoğlu, 2014:123**). სწორედ აღნიშნული მოტივით, ანკარამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში უარი თქვა დასავლეთისა და რუსეთის დაბალანსების სტრატეგიაზე და კურსი დასავლეთთან, პირველ რიგში კი აშშ-თან თანამშრომლობაზე აიღო.

ვინაიდან სირიაში რუსეთის სამხედრო მოქმედებებისათვის წინააღმდეგობის დამოუკიდებლად გაწევა, თურქეთს არ შეეძლო, ანკარა ცდილობდა დასავლეთი სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე, ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ სახმელეთო სამხედრო ოპერაციაზე დაეყოლიებინა (**Editör: 2010:98**), რაც, პრაქტიკულად მთელ ცენტრალურ და სამხრეთ სირიაზე კონტროლის დამყარების შესაძლებლობას გააჩენდა, თანაც ისე, რომ მოსკოვი ასადის რეჟიმის გრძელვადიან პერსპექტივაში შენარჩუნებას პრაქტიკულად ვეღარ შეძლებდა. თუმცა, ანკარის სტრატეგიამ არ გაამართლა. აშშ-მა, სირიის საკითხზე მოსკოვთან მოლაპარაკებების წარმოება არჩია, რომლის სტრატეგიული აუცილებლობის წინაშეც ვაშინგტონი იმჟამად არ იდგა. მეტიც, აშშ, სირიის კონფლიქტის გამწვავებიდან მოყოლებული, ცდილობდა იმავე ქურთებზე თავისი გავლენის ზრდას და აქტიურად ეხმარებოდა მათ როგორც სამხედრო, ისე ჰუმანიტარული კუთხით (**Yılmaz, 2010:133**). ვაშინგტონმა, თავად ანკარაც კი აიძულა ქურთების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები შეეჩერებინა.



კერძოდ, 2016 წლის თებერვალში, რუსეთის ავიაციისა და ასადის სამთავრობო ძალების მხარდაჭერით, სირიელმა ქურთებმა ასადის წინააღმდეგ მებრძოლი აჯანყებულების პოზიციებს, არფინიდან აღმოსავლეთით შეუტყეს. საპასუხოდ, თურქეთის ხელისუფლებამ ქურთების პოზიციებს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა. მხარეებმა საბრძოლო მოქმედებები მხოლოდ აშშ-ის უშუალო მოწოდების შემდეგ შეწყვიტეს.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ თურქეთისათვის სამხრეთის საზღვარზე სირიის ქურთისტანის თუნდაც ფედერალური ერთეულის შექმნა, რომლის სათავეშიც „დემოკრატიული გაერთიანების პარტია“ იდგებოდა (თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებული „ქურთების მუშათა პარტიის“ სირიის ფრთა) სასიცოცხლო ინტერესებზე დარტყმა იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში ანკარას გადაეკეტებოდა სახმელეთო წვდომა არაბულ სუნიტურ სამყაროზე და, რაც მთავარია, შეიქმნებოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის რეალური საფრთხე. ვინაიდან, თურქეთში მცხოვრები ქურთების დიდი ნაწილი კომპაქტურად სწორედ სირიელი ქურთების განსახლების მეზობლად ცხოვრობს. თურქეთის ქურთებით დასახლებულ რეგიონებში კი, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, ხოლო ქურთების მუშათა პარტიის ძალებისა და თურქეთის არმიის ნაწილების შეტაკებების მასშტაბი იზრდებოდა.

შეიარაღებულმა დაპირისპირებამ ქურთული ქალაქებიც მოიცვა, რაც ბოლო პერიოდამდე იშვიათი მოვლენა იყო.

არ გამართლდა ერდოღანის მოლოდინი დასავლეთთან ურთიერთობის დალაგების თვალსაზრისითაც. მაგალითისთვის გამოდგება ევროკავშირთან შეთანხმება ლტოლვილების საკითხზე. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, ანკარა პასუხისმგებლობას იღებდა ლტოლვილების ნაკადის თურქეთიდან საბერძნეთში გადადინების შეჩერებაზე, სანაცვლოდ ევროკავშირს თურქეთისთვის 3 მლრდ. აშშ დოლარი უნდა გამოეყო. გარდა ამისა, 2016 წლის ივნისისთვის დაგეგმილი თურქეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის ამოქმედების გადაწყვეტილებაც ([forbes.com/2016/07/05/](http://forbes.com/2016/07/05/)) საბოლოო ჯამში, არ განხორციელდა.

დემოკრატიული ღირებულებების უგულვებელყოფის მხრივ თურქეთის კრიტიკა დასავლეთის მიერ, შედარებითი შერბილების შემდგომ, კვლავ გამკაცრდა და პიკს 16 ივლისის თურქეთში არშემდგარი სამხედრო გადატრიალების კვალად, ერდოღანის მიერ გატარებული სადამსჯელო ღონისძიებების, ასევე სიკვდილით დასჯის ამოქმედების იდეის გაჟღერების შემდეგ მიაღწია ([www.ecfr.eu.23.052016](http://www.ecfr.eu.23.052016)). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლელმა ლიდერებმა სამხედრო გადატრიალების მცდელობის კომენტარებისას, კანონიერად არჩეული ხელისუფლების ძალადობრივად შეცვლის იდეა დაგმეს და მხარი ერდოღანის მთავრობას დაუჭირეს ([mezhdunarodnaya-panorama/2698127.26.02.2016](http://mezhdunarodnaya-panorama/2698127.26.02.2016)).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სწორედ არმია ითვლება თურქეთში სეკულარიზმის და ამ ეტაპზე, დასავლეთის მთავარ მხარდამჭერად. არმიის ნაციონალური პოზიციებიდან გამომდინარე, მისთვის მიუღებელია ერდოღანის მიერ ქვეყნის ისლამიზაციის ტენდენცია. ნატოს წევრი სახელმწიფოს ისლამიზაციის საფრთხეს საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამენ დასავლეთშიც. თავის მხრივ, თურქი სამხედროები აცნობიერებენ, რომ რეგიონში, სადაც ისლამიზაციის ტალღამ ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ და მისი შემდგომი მოვლენების ფონზე, პიკს მიაღწია, სეკულარიზმის და ნაციონალური პოზიციების შენარჩუნება გაუჭირდებათ. ამ ეტაპზე კი, ერთადერთი რეალური ძალა რეგიონში, რომელსაც პროცესის შეკავება შეუძლია, ვაშინგტონია. სწორედ აშშ-ს აქვს რეგიონზე ყველაზე დიდი სამხედრო-სტრატეგიული წვდომა (იმავე რუსეთთან შედარებით). რეგიონის წამყვანი არაბული ქვეყნები აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორები არიან და მათზე ყველაზე დიდი გავლენა სწორედ ვაშინგტონს აქვს. ნატოს წევრი სახელმწიფოს ისლამიზაციის შეჩერება კი, დასავლეთის პირდაპირ ინტერესშია.

საბოლოო ჯამში, ერდოღანის მთავრობა აღმოჩნდა ვითარებაში, როდესაც, ერთი მხრივ, რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვამ მნიშვნელოვანი დივიდენდები ვერც ერთ მიმართულებაზე ვერ მოუტანა, მეორე მხრივ კი, დასავლეთთან დაპირისპირებამაც პიკს მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ რ. თ. ერდოღანის მიერ პუტინისადმი მიწერილი წერილი ქრონოლოგიურად სამხედრო გადატრიალების მცდელობის თარიღს წინ უსწრებდა, მაინც შეიძლება საუბარი ამ ორ მოვლენას შორის კავშირზე. როგორც წესი, სამხედრო გადატრიალების მომზადებას საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება, მით უმეტეს ისეთ სახელმწიფოში, როგორც თურქეთია. ქვეყანაში, რომლის ხელისუფლებასაც ძალაუფლების მონოპოლიაში, თავისუფალი სიტყვის შეზღუდვაში და ტოტალური კონტროლის დამყარების მცდელობაში სდებენ ბრალს, სამხედრო გადატრიალების ორგანიზებას დიდი დრო და რესურსი სჭირდება. თავად ამბოხის ჩახშობის ტემპების სისწრაფით თუ ვიმსჯელებთ, ცხადია, ხელისუფლებას ამ საკითხზე ინფორმაცია ჰქონდა. შესაბამისად, ნათელი იყო შედეგიც - დასავლეთთან გარდაუვალი დაპირისპირება. რ. თ. ერდოღანმა, რომელიც პრაქტიკულად სრულ პოლიტიკურ იზოლაციაში მოქცევის საფრთხის წინაშე იდგა, მოსკოვთან ურთიერთობების განახლების გადაწყვეტილება მიიღო.

თურქეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა, სავარაუდოდ, ეკონომიკურმა ფაქტორებმაც იქონია. 2014 წლისათვის ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა 40 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენდა, 2020 წლისთვის კი, ამ მაჩვენებლის გაორმაგება იყო დაგეგმილი, თუმცა, ამ ეტაპზე, ქვეყნებს შორის ვაჭრობა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი (2015 წ. – 23,4 მლრდ., 2016 წ. - 18-19 მლრდ.).

თურქეთის ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების გზით შეცვლა, თანამედროვე ეტაპზე, მოსკოვის ინტერესებში, სავარაუდოდ, არ შედის, ვინაიდან, რ. თ. ერდოღანის ტიპის პოლიტიკოსი მოსკოვისთვის, სხვებთან შედარებით, გაცილებით მისაღებია. როგორც აღნიშნავენ, რუსეთისა და თურქეთის მთავრობებს სამი მთავარი გამაერთიანებელი ფაქტორი აქვთ: მასობრივი ტურიზმი და ეკონომიკური ურთიერთობები, რაც ასევე, გულისხმობს, ადამიანურ კონტაქტებს, პატრიოტიზმსა და ტრადიციულ ღირებულებებზე აქცენტის გაკეთებას ლიბერალური ღირებულებების საპირისპიროდ და ბოლოს, როგორც ერთი, ისე მეორე ლიდერი დასავლეთის მიერ ავტოკრატი მმართველებად განიხილებიან. ანკარაში ხელისუფლების შეცვლის

შემთხვევაში კი, ძალაუფლება, დიდი ალბათობით, ანტირუსულად განწყობილი ძალების ხელში აღმოჩნდება. მოსკოვს არაერთხელ გაუსვამს ხაზი, რომ თურქეთის არმია ანტირუსულია.

მოსკოვი ცდილობს გამოიყენოს ერდოღანის სტრატეგია თურქეთის ენერგეტიკულ ჰაზად ქცევის შესახებ. „ცისფერი ნაკადის“ პროექტის რეალიზებას არაერთი წინააღმდეგობა შეხვდა. იმის გარდა, რომ ტექნიკურად რთულად შესასრულებელი პროექტი იყო, მისი რეალიზება დიდ ხარჯებთანაც იყო დაკავშირებული. ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ პროექტის ინიცირების შემდეგ დაიწყო აქტიური განხილვები ვაშინგტონსა და ანკარაში, რამდენად მომგებიანი იყო ამ პროექტის რეალიზება თურქეთისა და აშშ-ის ინტერესებისათვის. ანკარა თითქოს ლავირებას ცდილობდა, უნდოდა ენერჯის მიღების რამდენიმე წყარო ჰქონოდა. 1999 წელს ვაშინგტონმა ღიად განაცხადა ანკარის გასაგონად, რომ არ მოსწონდა ეს პროექტი, ვინაიდან მისი რეალიზებით გაიზრდებოდა თურქეთის დამოკიდებულება რუსეთზე და ამ პროექტით ზიანი მიადგებოდა სამხრეთკავკასიურ მილსადენებს, რომელსაც ვაშინგტონი ლობირებდა. თურქეთის რუსეთზე დამოკიდებულების გაზრდა არ აწყობდა აშშ-ს, ვინაიდან იგი ნატო-ს ერთ-ერთი დიდი ძალა და დასაყრდენია. ამ პროექტზე ხელმოწერით განაწყენებული იყვნენ აზერბაიჯანშიც. ბაქო თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მნიშვნელობას „ცისფერი ნაკადი“ შეამცირებდა და თურქეთს, რომელიც ცენტრალურაზიური ენერგორესურსების დასავლეთისაკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანა იყო, მიაბრუნებდა/დამოკიდებულს გახდიდა რუსეთზე, რომლის ერთ-ერთი მცდელობა იყო, თავისი ინტერესების რეალიზაციაში ჩაება თურქული მხარე.

„ცისფერი ნაკადი“ რუსეთს საშუალებას აძლევდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების გაზომომარაგების საკითხებზე კონკურენცია გაეწია ევროკავშირის მიერ ინიცირებული ალტერნატიული გაზსადენებისათვის. ასევე, საინტერესოა კასპის ზღვის ენერგომატარებლების საკითხიც, სადაც - თურქეთისა და დასავლეთის ინტერესები რუსეთის საწინააღმდეგოა.

შეხედულებები რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების განვითარებაზე სხვადასხვა აგვარია. თურქეთის ჩამოშორება დასავლელი პარტნიორებისგან მოსკოვის დიდი ხნის ოცნებაა, მაგრამ ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ნებისმიერი რუსულ-თურქული გაერთიანება აუცილებლად დაიშლება ისტორიული და რეგიონული ინტერესებისა და მათ შორის კონკურენციის გათვალისწინებით. „სამწუხაროდ, ანკარა ფიქრობს, რომ მას შეუძლია გამოიყენოს რუსეთი და ამერიკა ერთმანეთის წინააღმდეგ, თუმცა, ეს არ გამოვა“.- „რუსები, ადრე თუ გვიან, საბოლოოდ გაწმენდენ იდლიბს, რომელიც ათასობით ტერორისტითაა სავსე და ეს იქნება პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი რუსეთისა და თურქეთის დაპირისპირებაში“ **(ბატიაშვილი, 2018: 3)**.

როდესაც ანკარის მიერ რუსული რაკეტების შესყიდვის გამო თურქეთსა და შეერთებულ შტატებს შორის დაძაბულობა იზრდება, ანკარა „ნატოს“ მხარეს იყურება, რადგან მიაჩნია, რომ იარაღის შესყიდვის საკითხზე „ნატოს“ უფრო დახვეწილი პოზიცია გააჩნია. თავის დროზე შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის - მაიკ პენსის მიერ გამოთქმულმა გაფრთხილებამ, რომ თუ ანკარა რუსულ S-400 რაკეტებს შეიძენს, „ნატოში“ თურქეთის მომავალი რისკის ქვეშ იქნება, თურქეთის პრეზიდენტის პრეს-მდივნის, იბრაჰიმ კალინის, გაღიზიანებული პასუხი მიიღო. თურქეთს უჭირს რუსეთსა და ამერიკასთან კავშირის დაბალანსება.

საბოლოო ჯამში კი იქმნება ისეთი ვითარება, რომ რუსეთი თურქეთისთვის იქცა დასავლეთის და ევროკავშირის ალტერნატივად. იმას კი, თუ რას მოუტანს ამ ორი ისტორიული მეტოქის გაერთიანება და „მეგობრული ურთიერთობები“ რეგიონს, და როგორ შეცვლის იგი საერთაშორისო არენაზე არსებულ მდგომარეობას, დრო გვაჩვენებს.

#### 4.7. თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე და საქართველო

XXI საუკუნის დასაწყისში, თურქეთის რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობების გაუარესებამ და ამერიკის მხრიდან დაწყებულმა ე.წ. „ეკონომიკურმა სანქციებმა“, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თურქეთზე, რომლის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა პირდაპირ აისახა მეზობელ საქართველოზეც. ცნობილია, რომ თურქეთი დღეს საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, შესაბამისად, თურქეთში ეკონომიკურ ბიძგებს, საქართველოზე პირდაპირი გავლენა აქვს. ამას თან ემატება მსოფლიოში არსებული „კოვიდ-19“-ის პანდემია, რომელმაც ჩაკეტა ქვეყნებს შორის საზღვრები, ყოველივე ეს კი გარკვეულად აისახა სამეზობლო პოლიტიკაზეც (შავრეშიანი, 2020:66).

როდესაც საქმე უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკის საკითხებს ეხება, თურქეთი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ხედვას ენდობა. მისთვის უზენაესი და ფუნდამენტური ფასეულობა არის სახელმწიფო ინტერესები და მთავრობა ვალდებულია, იყოს იმ უპირატესობის მუდმივ ძიებაში, რომელიც მიმართული იქნება ეროვნული ინტერესების დაცვაზე.

შეიძლება ითქვას, რომ XXI საუკუნის დასაწყისიდან, თურქეთის რესპუბლიკასა და აშშ-ს შორის გაუარესებული მდგომარეობა თურქეთის პრეზიდენტის და მისი მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის საქმიანობის შედეგია. ბოლო 20 წლის მანძილზე ძალაუფლების პრეზიდენტის ხელში მოქცევამ, რომელიც 2017 წლის 16 აპრილის საკონსტიტუციო რეფერენდუმმა სამართლებრივად გაამყარა, თურქეთის როგორც შიდა, ასევე გარე საფრთხეების კარდინალურმა ზრდამ, მის დასავლელ პარტნიორებთან მთელ რიგ ასპექტებში საერთო მიზნების არქონამ, გამოიწვია ის, რომ თურქეთის ხელისუფლებას გაუჩნდა სურვილი გაეძლიერებინა თავისი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

დღეს ქვეყნის მმართველი ძალა ცდილობს გაატაროს დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ თურქეთის ინტერესებს

და არ იზიარებს მისი საერთაშორისო პარტნიორების ღირებულებებს, მიზნებსა და სულისკვეთებას. თურქეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყანაა, რაც მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ამყარებს. ევროკავშირი კი ქვეყნის მთავარი სავაჭრო პარტნიორია, რომელზეც დიდწილად არის დამოკიდებული თურქეთის ეკონომიკური განვითარება. ამ მოცემულობაში არავინ იცის, რამდენად მყარი იქნება თურქეთის პოლიტიკური ვექტორის აღმოსავლეთისაკენ გადახრა, რომელიც რთულად წარმოსადგენია მისი სტაბილურობის გარანტად, რადგან ქურთისტანის საკითხი რჩება ერთ-ერთ ძირითადი პრობლემად.

დასავლეთთან ურთიერთობა თურქეთისთვის მნიშვნელოვანია და ამიტომაც არის ის ნატოს წევრი, მაგრამ ამავე დროს თურქეთი საკუთარ თავს ერთ-ერთ გეოპოლიტიკურ ცენტრად განიხილავს, რომელმაც თავის გარშემო გარკვეული რეალობა უნდა ააწყოს. ის საკუთარ თავს აღარ აღიქვამს სხვისი რეალობის ნაწილად როგორც „ცივი ომის“ დროს იყო, როცა ის დასავლური სივრცის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. მას სურს, საკუთარ რეგიონში დამოუკიდებელი მოთამაშე იყოს, რის გამოც ხვდება ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგობას.

თურქეთს, შესაძლოა, უშუალოდ დასავლეთის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდეს, უბრალოდ, ამ ეტაპზე მოხდა ინტერესთა გადაკვეთა. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ თურქეთი საკუთარ თავს რეგიონულ ლიდერად განიხილავს, იმას ნიშნავს, რომ ანკარა, მიუხედავად შესაძლო დაპირისპირებისა, არ იტყვის უარს საკუთარ რეგიონულ ინტერესებზე დასავლეთთან და სხვა გავლენიან მოთამაშესთან ურთიერთობაში (მაკარაძე, 2017:145).

თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობის ეროზიას საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის, შესაძლოა, საზიანო შედეგები მოჰყვეს. ამ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, თურქეთის რუსეთის ღერძისკენ გადახრა მოჰყვება, რაც გამოიწვევს რუსეთის გავლენის ზრდას თურქეთზე, პროპორციულად გაიზრდება რუსეთის გავლენის ბერკეტები საქართველოზეც. ამიტომ, გვესახება, რომ თურქეთ-

ამერიკისა და თურქეთ-ნატოს ურთიერთობების გაუმჯობესება საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში ისეთი მნიშვნელოვანი არ არის, როგორც თურქეთია. თუმცა შესაძლოა თურქეთთან ურთიერთობების გაართულებამ და დამაბულობამ საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის უფრო საიმედო პარტნიორი გახადოს (მაკარაძე, 2021:315).

მართალია, საქართველოს არ აქვს საზღვარი სირიასთან, ერაყთან და ირანთან, როგორც თურქეთს, მაგრამ საქართველო ამერიკისთვის რუსეთის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ ნაწილში თურქეთი საქართველოსგან განსხვავდება, რადგან თურქეთი რუსეთთან გარკვეულწილად თანამშრომლობს... ამერიკამ, შესაძლოა, განიხილოს საქართველო, როგორც უფრო სანდო პარტნიორი, რადგან ვიცით, რომ საქართველო რუსეთისკენ უახლოეს მომავალში არ „მეტრიალდება“ (შავრეშიანი, 2020:71).

ისმება კითხვა - სარგებლობს თუ არა რუსეთი თურქეთსა და ამერიკას შორის დამაბულო ურთიერთობით? ცხადია, სარგებლობს. ვ. პუტინი დიპლომატიას, როგორც წესი, ნულოვანი ჯამის თამაშის ჭრილში ხედავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ამერიკამ წააგო, ეს რუსეთისთვის მოგება იქნება. „ცივი ომის“ პერიოდში თურქეთი ამერიკის განსაკუთრებული პარტნიორი იყო. დღეს ეს ასე აღარ არის და იმაზეც კი მიდის აქტიური დებატები, უნდა იყოს თუ არა თურქეთი ნატოს წევრი. ეს, რა თქმა უნდა, ვ. პუტინს ძალიან აწყობს.

დასავლეთთან მუდმივი დაპირისპირების ფონზე, თურქეთს და მის პრეზიდენტს რ. თ. ერდოღანს უჩნდება განცდა, რომ საგარეო პოლიტიკაში ის რუსეთის თანასწორია და, რომ მასაც იგივე წონა აქვს საერთაშორისო არენაზე.

ვ. პუტინს მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე გაცილებით მეტი ძალა აქვს, ვიდრე რ. თ. ერდოღანს და რუსეთი გაცილებით უფრო ძლიერი ქვეყანაა, ვიდრე თურქეთი.



ამასთან, ნატოს ორი წევრი ქვეყნის (თურქეთი და აშშ) დაპირისპირება არ შედის კიდევ ერთი სახელმწიფოს, საქართველოს, ინტერესებში. რა მდგომარეობას უქმნის ანკარასა და ვაშინგტონს შორის დაპირისპირება საქართველოს? როგორ უნდა გაართვას თავი ჩვენმა ქვეყანამ შექმნილ ვითარებას?

თანამედროვე ეტაპზე, თურქეთი საკუთარი მოთხოვნებით მეზობელი, შედარებით პატარა ქვეყნების მიმართ, უფრო აგრესიული გახდა. საქართველომ უნდა გააკეთოს ის, რასაც აქამდეც ძალიან დიდი წარმატებით აკეთებდა. ვაშინგტონთან ახლო ურთიერთობის გამოყენებით, თურქეთსა და რუსეთს უნდა აჩვენოს, რომ ამერიკასთან პარტნიორობის გამო, მათ ზოგიერთ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

შესაძლოა, მომავალში პრობლემები შეექმნას როგორც ნატოს აქტიურობას შავ ზღვაზე, ისე საქართველოს ნატოში გაწევრიანების ისედაც გართულებულ და დროში გაწელილ პროცესს. შესაბამისად, ეს დაპირისპირება შეიძლება უარყოფითად აისახოს საქართველოს საგარეო უსაფრთხოებაზე (მაკარაძე, 2019:83).

რამდენად შესაძლებელია, საქართველომ, თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობის დაძაბულობის ფონზე, შავი ზღვის რეგიონში აშშ-ისთვის ბუფერული როლი შეასრულოს, რასაც წლების მანძილზე თურქეთი აკეთებდა და აკეთებს.

მიუხედავად თურქეთ - აშშ-ის დაძაბულობისა, ამერიკის მხრიდან, არ არის მოსალოდნელი რაიმე ზიანი მიადგეს მათ ორმხრივ ურთიერთობას. თურქეთსა და აშშ-ს შორის დაძაბულობის გაგრძელების შემთხვევაში, მოსალოდნელია აშშ-ის მხრიდან ახალი სახის ეკონომიკური და სამხედრო სანქციების შემოღება თურქეთის წინააღმდეგ (მაკარაძე, 2018:133).

თურქეთს, რომელსაც სურს იქცეს „უმაღლესი რანგის მსოფლიო ეკონომიკის“ ქვეყნად და გახდეს ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფო, აუცილებლად მოუხდება აშშ-თან კავშირების გამყარება, რაც მისგან ნაწილობრივ მოითხოვს თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების უფრო მკაფიო გამოკვეთასა და დაზუსტება - წარმართვას.

შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის რეგიონის საერთო უსაფრთხოების განზომილებიდან გამომდინარე, თურქეთი გარკვეულწილად აკონტროლებს შავ და ხმელთაშუა ზღვებს და აბალანსებს რუსეთს სამხრეთ კავკასიაში. როგორც ცნობილია, ბოსფორის გავლით ყოველდღიურად 1,2 მლნ. ბარელი ნავთობის ტრანსპორტირება ხდება. აშშ-ის და ირანის ბოლოდროინდელი ურთიერთობების გათვალისწინებით, თურქეთის მხარდაჭერას ირანთან ურთიერთობაში აშშ-ისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

თურქეთსაც გააჩნია საკუთარი ინტერესები აშშ-თან. მისთვის პრიორიტეტულია სტრატეგიული პარტნიორობა და ნატოს ფარგლებში არსებული პროექტები. ანკარისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აშშ-ის შუამავლის როლი ევროკავშირთან, რათა მოხდეს მისი ინტეგრაცია ამ ორგანიზაციაში.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთვის ამ ეტაპზე ნაკლებად მოსალოდნელია საშიშროება, რომ რუსეთი და თურქეთი, აშშ-ის ინტერესების ხარჯზე გარიგდნენ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი რამ მომავალში არ მოხდება. ასეთი ალბათობა შესაძლოა გაჩნდეს იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი არ იქნება ნატოს წევრი ქვეყანა და იგი ღიად წავა აშშ-ისა და ზოგადად, დასავლეთის ინტერესების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმ ეტაპისთვის შექმნილ საერთაშორისო კონიუნქტურაზე და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის პოზიციაზე.

კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში, თურქეთის წინააღმდეგ დიდი ალბათობით ამოქმედდება გარკვეული სახის სანქციები, რაც კიდევ უფრო დიდ პრობლემებს შეუქმნის ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ თურქეთს.

ეს კი, თავის მხრივ, გართულებებს გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკაში, რადგან თურქეთი ჩვენი ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია და საქართველოს ათიათასობით მოქალაქე მუშაობს ამ ქვეყანაში.

საქართველო აცნობიერებს, რომ გეოპოლიტიკური რეალობები საკმაოდ მყარია და მათი ცვლილება მოკლე დროში არ მოხდება. საქართველოს მართებს სტრატეგიული მოთმინება, სანამ შესაძლებლობის ფანჯარა გაჩნდება, რაც ნიშნავს ერთდროულად გეოპოლიტიკური მოცემულობის ცვლილებას და პოლიტიკური ნების ჰარმონიას. თუ ნატოს წევრ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური დაპირისპირება ბრძოლის ველზე გადაინაცვლებს, ეს არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე, არამედ საქართველოზეც იქონიებს უარყოფით გავლენას. რაც, ამერიკასთან დაშორების შემთხვევაში, თურქეთის რუსეთთან დაახლოების ბუნებრივი შედეგი იქნება.

## დასკვნითი დებულებები

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის 10-იან წლებში თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებში აღმავლობას დაღმავლობა ენაცვლებოდა. აშშ-თან ურთიერთობა არ ვითარდებოდა თურქეთის მოლოდინის შესაბამისად. ამის მიზეზი იყო სომხეთის, სირიის, ისრაელის, ირანის, ქურთების საკითხები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი და მგრძობიარე ანკარისათვის.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან თურქეთისა და აშშ-ის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ახალი ნიშნები გამოიკვეთა. როგორც თურქეთში, ასევე აშშ-ში მიმდინარე პროცესებმა, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მომხდარმა ცვლილებებმა, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას უაღრესად საინტერესო ფორმა მისცა. მართალია, ის წინა პერიოდებში არსებული ურთიერთობების ელემენტებს ეყრდნობოდა, მაგრამ თანამშრომლობის ახალი ფორმა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინანდელისაგან.

აღსანიშნავია, რომ თურქეთი ხშირად უფრო აქტიურ და ეფექტიან პოლიტიკას ატარებდა და ზოგ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა, მაგრამ, როგორც წესი, იგი ვერ იღებდა იმ მხარდაჭერას, რომელსაც ელოდა აშშ-ისგან და, შესაბამისად, მიზნის მიღწევასაც ვერ ახერხებდა.

XX საუკუნის 90-იან წლებში, „ცივი ომის“ დამთავრებამ და პოლიტიკური რუკიდან თურქეთის უმთავრესი საფრთხის - საბჭოთა კავშირის „წასვლამ“, ანკარას მისცა რეგიონში დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა, რომელმაც აქტიური სახე მიიღო XXI საუკუნის დასაწყისში.

თურქეთსა და შეერთებულ შტატებს შორის არსებული თანამშრომლობის სახეცვლილება ცალკეული პიროვნებების სახელთანაც შეიძლება იყოს დაკავშირებული.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ რეჟეფ თაიფ ერდოღანის პირველი გაფრთხილება შეერთებული შტატებისადმი იყო 2003 წელს მომხდარი მცირე ინციდენტი, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: 2003 წელს, როდესაც ამერიკის

შეერთებულმა შტატებმა ერაყში შეჭრის გადაწყვეტილება მიიღო, თურქეთმა და, კერძოდ, პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა, აშშ-ს არ მისცა ინჯირლიკის საჰაერო ბაზის პლაცდარმად გამოყენების უფლება. ეს ნაბიჯი მაშინ საკმაოდ ხისტ პასუხად აღიქმებოდა სტრატეგიული პარტნიორის მიერ, თუმცა დღეს, 18 წლის შემდეგ, როდესაც პრეზიდენტ ერდოღანის ქმედებებს ყოველდღიურად ვადევნებთ თვალს, ამგვარი ქმედების მიზეზი საკმაოდ ცხადი ხდება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის რესპუბლიკასა და აშშ-ს შორის ურთიერთობების ცვლილების ყინული სწორედ ამ დროიდან დაიძრა. ინჯირლიკის საჰაერო ბაზა ამის შემდეგაც არაერთხელ გამხდარა უთანხმოების მიზეზი. 2014 წელს რ. თ. ერდოღანმა უკვე ტერორისტული ორგანიზაცია ISIL (ISIS)-ის წინააღმდეგ იერიშების განხორციელებაზე უთხრა უარი შეერთებულ შტატებს.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ფაქტორიც, რომელმაც, ვფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თურქეთისა და შეერთებული შტატების ურთიერთობებზე. საუბარია 2016 წლის სამხედრო გადატრიალების მცდელობაზე თურქეთში, რამელმაც რეჟეფ თაიფ ერდოღანის მოქმედებებს ფართო ასპარეზი გაუხსნა. შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო გადატრიალების მცდელობის საკმაოდ ხისტად ჩახშობის შემდეგ რ. თ. ერდოღანი შეტევაზეც გადავიდა. კერძოდ, მისი მთავრობის ოფიციალურმა პირებმა ღიად დაადანაშაულეს ამერიკის შეერთებული შტატები ამბოხის სავარაუდო მეთაურის, ფეთჰულაჰ გიულენის, მფარველობაში. თურქული მხარე შეერთებულ შტატებს გიულენის დაკავებასა და მისთვის გადაცემას სთხოვდა, რაზეც უარი მიიღო. ამის გამო კი თურქეთი პროპაგანდისტული მეთოდებით აპირებდა სამხედრო გადატრიალების მცდელობაში ამერიკული ნიშნების არსებობის დადასტურებას.

იმ უნდობლობას, რომელიც დღითიდღე იზრდებოდა თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, მკვლევრების ნაწილი ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკის თავისებურებებით ხსნიდა. ობამას ბილატერალური ხედვა დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა თურქეთის რესპუბლიკაშიც, რადგან მისი დემოკრა-

ტიული და ლიბერალური ღირებულებების გათვალისწინებით, იგი მხარს უჭერდა ქურთების თვითდამკვიდრების პროცესს. აქედან გამომდინარე, დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად მწიფდებოდა იდეა, რომ შექმნილი ვითარება ბარაკ ობამას პასიური პოლიტიკის შედეგი იყო. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ორივე მხარეს მხსნელად იმ პერიოდში დონალდ ტრამპი ესახებოდა. პირველ რიგში კი ეს ყველაფერი ტრამპის შეხედულებებით იყო განპირობებული. იგი გახლდათ რესპუბლიკელი კანდიდატი, კონსერვატორული შეხედულებების მქონე პიროვნება, რომელიც თავიდანვე საკმაოდ მკაფიო და ხისტ განცხადებებს აკეთებდა. შესაბამისად, ამერიკულ პოლიტიკურ ელიტაშიც გაჩნდა იმის იმედი, რომ დონალდ ტრამპი თურქეთის საკითხს და, კერძოდ, რ. თ. ერდოღანთან ურთიერთობას მკაცრად მიუდგებოდა. მკვლევრები აქტიურად წერდნენ, რომ დონალდ ტრამპს უნდა დაეწყო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, გაეკეთებინა ის, რაც ობამამ ვერ შეძლო და უნდა ემოქმედა ძალთა ბალანსის აღდგენის პრინციპით.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, დონალდ ტრამპი ავტორიტარი ლიდერებისადმი საკმაოდ ლოიალური გამოდგა და პოლიტიკური მკვლევრების იმედები მისმა ხელისუფლებაში მოსვლამ არ გაამართლა, ამით ისარგებლა რეჟეფ თაიფ ერდოღანმა და გადაწყვიტა რუსეთისაგან შეემინა საზენიტო-სარაკეტო სისტემები S-400. აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ნატო-ს წევრობის სტანდარტებს, არამედ იგი პოლიტიკურ-დიპლომატიურადაც მიუღებელი აღმოჩნდა. თურქეთი გახლავთ სახელმწიფო, რომელიც ნატო-ს, უმსხვილესი სამხედრო ბლოკის წევრობის პარალელურად, ყიდულობს თავდაცვით იარაღს რუსეთისაგან. რასაკვირველია, ამ ყველაფერმა უკმაყოფილება გამოიწვია შეერთებული შტატების პოლიტიკურ ელიტაშიც და წარმომადგენელთა პალატამ არაერთხელ სცადა თურქეთისათვის სანქციების დაწესების პროცესის დაწყება, თუმცა მისი ყველა მცდელობა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უგულვებელყო.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, არსებობს კიდევ უამრავი ქმედება, რომლებმაც თურქეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობებს ჩრდილი მიაყენა. ამ მიზეზებში

ერთიანდება როგორც პოლიტიკური საკითხები, ისე ეკონომიკური ნაბიჯები, ადამიანის უფლებათა დაცვის თემა, თუმცა, ვფიქრობთ, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი თურქეთის მზარდი როლია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. პრეზიდენტ ტრამპის ბოლო წლების მთავარი სამოქმედო გეგმა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ამერიკული ჯარების გაყვანა და მათთვის დამოუკიდებლად განვითარების საშუალების მიცემა იყო. შესაბამისად, მივიღეთ მოცემულობა, რომლის დროსაც გაჩნდა იმის რეალური შანსი, რომ რეგიონში ათი ათასობით ამერიკელი სამხედროსგან შემდგარი კონტიგენტი მნიშვნელოვნად შემცირებულიყო. რეჯეფ თაიფ ერდოღანმა კი გადაწყვიტა თავადვე დაეწყო ფიქრი ამ ქმედების შედეგად გაჩენილი უფსკრულის ამოვსებაზე. სწორედ ამიტომაც ვღებულობთ მდგომარეობას, როდესაც თურქეთი განსაკუთრებით აქტიურდება ახლო აღმოსავლეთში. იგი პარალელურად ებმება რამდენიმე კონფლიქტში სირიასა და ლიბიაში. მეტიც, სირიაში იგი აღწევს შეთანხმებას რუსეთთან, რის მიხედვით ორი სახელმწიფო ერთობლივ პატრულირებას ახორციელებს იდლიბის პროვინციაში. ამ უკანასკნელმა ფაქტმა კი კიდევ უფრო დაძაბა ვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის.

თუმცა შეერთებული შტატები თურქეთის ამგვარ ქმედებებს უყურადღებოდ არ ტოვებდა და, ტრამპის ლოიალური დამოკიდებულების მიუხედავად, საპასუხო ზომებს იღებდა.

შეიძლება ითქვას, რომ რეჯეფ თაიფ ერდოღანის საკმაოდ ხისტმა ნაბიჯებმა შეერთებული შტატების პოლიტიკურ ელიტაში განგაშის ნიშანი გაგზავნა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ ამერიკაში ალტერნატიულ რეალობაზე დაეწყოთ ფიქრი. რასაკვირველია, თურქეთს მტრად შეერთებულ შტატებში არავინ აღიქვამს, თუმცა ცხადია, რომ მისდამი ნდობის მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა. დასავლურ მედიაში სულ უფრო გახშირდა მოწოდებები თურქეთის დასავლური ალიანსიდან გარიცხვის შესახებ, რაც კვლავ უკავშირდებოდა მის თანამშრომლობას რუსეთის ფედერაციასთან თავდაცვის

სფეროში. თუმცა, ყველამ კარგად ვიცით, რომ ამგვარი მოწოდებები უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და რეალურად საჭირო იყო გაცილებით მკაცრი, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

როგორც უკვე აღინიშნა, დონალდ ტრამპის დამოკიდებულება თურქეთისა და კერძოდ, ერდოღანის მიმართ შედარებით ლოიალური გახლდათ. ამიტომ, იგი საკუთარი საპრეზიდენტო ვადის ბოლომდე იკავებდა თავს თურქეთისათვის სანქციების დაწესებაზე რუსეთთან თანამშრომლობის გამო. თუმცა, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალი ადმინისტრაციის პირობებში ამგვარი ლოიალური დამოკიდებულება უფრო მკაცრი ნაბიჯებით შეიცვლება და პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აღარ დაბლოკავს სანქციების შემოღების პროცედურებს. თავის მხრივ, ამ საკითხთან დაკავშირებით, რეჯეფ თაიფ ერდოღანსაც საკუთარი მოსაზრება აქვს. იგი ამბობს, რომ თავდაცვითი დანადგარების შექმნის გადაწყვეტილებას უცვლელს დატოვებს იმის მიუხედავად, თუ რა საპასუხო ზომები შეიძლება მოჰყვეს ამას. თუმცა, საპასუხო ზომებმაც არ დააყოვნა და 2019 წელს, შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად შეწყვიტა გამანადგურებლების, F-35-ების, პროგრამა თურქეთთან, რომლის მიხედვით თურქეთს შეერთებული შტატებისაგან 100 ერთეული გამანადგურებელი უნდა შეეძინა. ეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის სერიოზული დარტყმა აღმოჩნდა, ვინაიდან აღნიშნული თვითმფრინავები დიდი სამხედრო პოტენციალით გამოირჩევა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ბოლო წლების განმავლობაში მომხდარი მოვლენებიც. საუბარია არაბულ სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციაზე, რომელიც თავისუფლად შეიძლება საკუთარ მიღწევად მიეწეროს დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას. ამ მოვლენებს ორი მხარე აქვს. ერთი მხარე მისი შინაარსია. არაბულმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც ათწლეულებია ისრაელთან დამაბული ურთიერთობა აქვთ, დაიწყეს სამომავლო პერსპექტივებზე ფიქრი. თუმცა, გვესახება, რომ საკითხის მეორე მხარე უფრო მნიშვნელოვანია, იმის მიღმა უსაფრთხოების ახლებული ხედვა იმალება. თურქეთის მხარდმა როლმა



შეერთებულ შტატებს ახალი საფიქრალი გაუჩინა. რ. თ. ერდოღანმა საკუთარი ქმედებებით თურქეთის სანდოობის მაჩვენებელი პერსპექტივაში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. მან გადაწყვიტა საკუთარი პოლიტიკური თუ სამხედრო ძლიერების გამომწვეურება, რასაც შეემლო მომავალში ახლო აღმოსავლეთში არსებული ძალთა ბალანსი დაერღვია. შეერთებულ შტატებში მიხვდნენ, რომ ახლო აღმოსავლეთში საუდის არაბეთსა და ირანთან ერთად, თავისუფლად შეიძლებოდა გამოჩენილიყო ახალი ძალა თურქეთის სახით, რომელიც საკუთარი გავლენის გაზრდას მოისურვებდა. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ ებრაულ-არაბული ურთიერთობების დალაგების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ახალი პოტენციური საფრთხის წინააღმდეგ ზომების მიღებაა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ხერხით დონალდ ტრამპმა ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირა. მან დაიწყო ამ რეგიონში ვითარების ნორმალიზაციის პროცესი, რაც უკვე თავისთავად უდიდესი წინსვლა და მიღწევაა და პარალელურად საფუძველი ჩაუყარა ახალ კოალიციას, რომელიც სამომავლოდ შესაძლოა ძალთა ბალანსის ახალ გარანტად მოგვევლინოს.

როგორ შეიძლება შეფასდეს თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით? რა თქმა უნდა, ეს ურთიერთობა ორივე მხრისთვის სასიცოცხლო ღირებულებისაა. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის გარკვეულ საკითხებზე აზრთა სხვაობა და წინააღმდეგობა არსებობს, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთი დღესაც არის ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ის დასაყრდენი, თუმცა მეტად არასტაბილური, მისი მეზობელი სახელმწიფოების, ნებსით თუ უნებლიეთ, მრავალგვარი სახის კონფლიქტში ჩართულობის გამო.

თურქულ-ამერიკული ურთიერთობების ამჟამინდელი მდგომარეობა რადიკალურად განსხვავდება „ცივი ომის“ ეპოქის დროინდელისგან. მაშინ, როდესაც საბჭოთა საფრთხის არსებობის გამო ორმა ქვეყანამ მალე შეძლო საერთო ენის გამონახვა, ვაშინგტონის „ქოლგის“ ქვეშ ყოფნა თურქეთის ხელისუფლებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. თანამედროვე ეტაპზე კი, თურქეთისათვის აშშ-თან ასეთი გამაერთიანებელი საფრთხე აღარ არსებობს და ქვეყნის სათავეშიც სხვა ტიპის

პოლიტიკური ლიდერი დგას. თურქეთის დღევანდელი პოლიტიკური კურსი, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, უფრო მეტად ქვეყნის ინტერესებზეა ორიენტირებული.

თურქეთისა და აშშ-ის დღევანდელ ლიდერებს, საგარეო პოლიტიკის საკითხთან დაკავშირებით, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული პოზიციები და შეხედულებები აქვთ. ისინი განსხვავებულად აღიქვამენ თავიანთი ქვეყნების ადგილსა და როლს საერთაშორისო ურთიერთობებში.

წლების განმავლობაში ამერიკულ-თურქულ ურთიერთობებში რიგი პრობლემა დაგროვდა, მათი გადაჭრა დროში გაიწელა. კრიზისის წარმოშობის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კი გვიჩვენა, რომ თურქულ - ამერიკულ ურთიერთობებში დამაბულობა გრძელვადიანია და არ უნდა ველოდოთ მის სწრაფ აღმოფხვრას.

მკვეთრად დამაბულობი ურთიერთობის ფონზეც კი დღის წესრიგში არ დამდგარა არც თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ნატოს სამხედრო ბაზების ფუნქციონირების და არც ნატოდან თურქეთის გასვლის საკითხები, რაც დადებითი მოვლენაა და იძლევა იმედს, რომ კიდევ არსებობს მომავალში სიტუაციის შემობრუნების საკმაო შანსები, მაგრამ დაზღვევის მიზნით, აშშ აქტიურად მუშაობს სათადარიგო გეგმაზე იმ შემთხვევისათვის, თუ თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობა ჩიხში შევა, სწორედ მაშინ ამოქმედდება ამერიკის „გეგმა ნომერი 2“, რომლის შესაბამისად რუმინეთში, იორდანიაში და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში განლაგდება აშშ-ის სამხედრო ბაზები.

თურქეთი არაერთხელ დაემუქრა აშშ-ს, რომ ინჯირლიკის ბაზაზე წვდომას ჩამოართმევდა. სამწუხარო ისაა, რომ რასაც რ. თ. ერდოღანი აქამდე აშშ-თან მოლაპარაკების ტაქტიკად იყენებდა, ახლა ეროვნულ სენტიმენტად იქცა. თურქეთს კი მილიონზე მეტი ჯარისკაცი ჰყავს და ნატოში სამხედროთა რიცხოვნებით აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილი უკავია.

თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობათა ისტორიაში, ასეთი დამაბული ვითარება ჯერ არ ყოფილა. რ. თ. ერდოლანის მმართველობის საწყის ეტაპზე, ვაშინგტონში ბევრს არ სჯეროდა, რომ ის თურქეთს დაამორებდა აშშ-ს, მაგრამ დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით გაჩნდა ეჭვი. ისმის მოსაზრებაც, რომ აშშ-ისთვის თურქეთი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ერდოლანს მოთხოვნები უნდა დაუკმაყოფილონ, თუმცა იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ფიქრობენ, რომ თუ ერდოლანი მიიღებს რაც სურს, მაშინ უბრალოდ ახალ მოთხოვნებს წამოაყენებს.

თურქეთი ნაციონალური იდეოლოგიის ქვეყანაა და მის პრეზიდენტს რ. თ. ერდოლანს, არ უჭირს ამ მიმართულებით ერის გაერთიანება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყანაში მთელს მედიაგარემოს აკონტროლებს. მას სურს აჩვენოს აშშ-ს, რომ მისი განსხვავებული პოზიციები და დამოკიდებულება საგარეო საკითხებზე თურქი ერის მიერაა ნაკარნახევი, რითაც თურქეთის მოსახლეობაში ზრდის თავისუფალი, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის სულისკვეთებას.

ანკარის ვაშინგტონთან დისტანცირების პარალელურად იზრდება თურქეთის რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხი.

კითხვაზე, თუ რამდენად სარგებლობს რუსეთი თურქეთსა და ამერიკას შორის დამაბული ურთიერთობით? პასუხი ცხადია - რუსეთი ამით სარგებლობს. პუტინი დიპლომატიას, როგორც წესი, ნულოვანი ჯამის თამაშის ჭრილში ხედავს. 15 წლის წინ თურქეთი ამერიკის განსაკუთრებული პარტნიორი იყო. დღეს ეს ასე აღარ არის და იმაზეც კი მიდის აქტიური დებატები, უნდა იყოს თუ არა თურქეთი ნატოს წევრი, რაც პუტინს, რა თქმა უნდა, ძალიან აწყობს.

დასავლეთთან მუდმივი დაპირისპირების ფონზე, თურქეთს უჩნდება განცდა, რომ საგარეო პოლიტიკაში ის პუტინის თანასწორია, რომ მასაც იგივე წონა აქვს საერთაშორისო არენაზე, როგორც პუტინს, მაგრამ პუტინს მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე გაცილებით მეტი წონა და ძალა აქვს, ვიდრე ერდოლანს და რუსეთი გაცილებით ძლიერი ქვეყანაა, ვიდრე - თურქეთი.

ამასთან, ნატოს ორი წევრი ქვეყნის (თურქეთი და აშშ) დაპირისპირება არ შედის საქართველოს ინტერესებში. თურქეთი და აშშ საქართველოს პარტნიორი ქვეყნებია. შეერთებული შტატები საქართველოს სტრატეგიული, ხოლო თურქეთი კი ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. ჩნდება კითხვები, თუ რა მდგომარეობას უქმნის ანკარასა და ვაშინგტონს შორის დაპირისპირება საქართველოს? და როგორ უნდა გაართვას თავი ჩვენმა ქვეყანამ შექმნილ ვითარებას? პასუხი შემდეგია - საქართველო ორ ცეცხლს შუაა მოქცეული, თურქეთი მეზობელი, შედარებით პატარა ქვეყნების მიმართ, უფრო აგრესიული გახდა საკუთარი მოთხოვნებით. საქართველომ უნდა გააკეთოს ის, რასაც აქამდეც ძალიან დიდი წარმატებით აკეთებდა. ვაშინგტონთან ახლო ურთიერთობის გამოყენებით, თურქეთსა და რუსეთს უნდა აგრძნობინოს, რომ ამერიკასთან პარტნიორობის გამო, მათ ზოგიერთ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

შესაძლოა, მომავალში პრობლემები შეექმნას როგორც ნატოს აქტიურობას შავ ზღვაზე, ისე საქართველოს ნატოში გაწევრიანების ისედაც გართულებულ და დროში გაწელილ პროცესს. შესაბამისად, ეს დაპირისპირება შეიძლება უარყოფითად აისახოს საქართველოს საგარეო უსაფრთხოებაზე.

რამდენად შესაძლებელია, რომ საქართველომ თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობის დაძაბულობის ფონზე, შავი ზღვის რეგიონში აშშ-ისთვის ბუფერული როლი შეასრულოს, რასაც წლების განმავლობაში თურქეთი აკეთებდა და აკეთებს.

რთულია განსაზღვრო ამ ეტაპზე, თუ რამდენადაა ამერიკის კონგრესი მზად იმისთვის, რომ საქართველოსთან სამხედრო კავშირები არსებულზე მეტად გააღრმავოს და რუსეთი გააღიზიანოს, თუმცა აშშ-დან მოსალოდნელია საქართველოს ეკონომიკური და დიპლომატიური ჩართულობის გაზრდა როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკის სფეროში. აქვე უნდა ვთქვათ, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში არცერთ ქვეყანას არ აქვს ისეთი რეპუტაცია, აგრეთვე მხარდაჭერა აშშ-ის მხრიდან, როგორც საქართველოს.

მიუხედავად თურქეთთან აშშ-ის დაძაბულობისა, ვაშინგტონის შეხედულებით, არ არის მოსალოდნელი ამერიკის მხრიდან საქართველოსთან ურთიერთობას რაიმე ზიანი მიადგეს.

თურქეთსა და აშშ-ს შორის დაძაბულობის გაგრძელების შემთხვევაში, მოსალოდნელია აშშ-ის მხრიდან ახალი სახის ეკონომიკური და სამხედრო სანქციების შემოღება თურქეთის წინააღმდეგ.

თურქეთს, რომელსაც სურს იქცეს „უმაღლესი რანგის მსოფლიო ეკონომიკის“ ქვეყნად და გახდეს ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფო, აუცილებლად მოუხდება აშშ-თან კავშირების გამყარება, რაც მისგან ნაწილობრივ მოითხოვს თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების უფრო მკაფიო გამოკვეთასა და დაზუსტება - წარმართვას.

თურქეთი დიდწილად აკონტროლებს შავ და ხმელთაშუა ზღვებს და აბალანსებს რუსეთს კავკასიაში. ბოსფორის გავლით ყოველდღიურად 1.2 მლნ. ბარელი ნავთობის ტრანსპორტირება ხორციელდება. აშშ-ისა და ირანის ბოლოდროინდელი ურთიერთობების გათვალისწინებით, მის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს.

თურქეთს გააჩნია საკუთარი ინტერესები აშშ-თან მიმართებით. მისთვის პრიორიტეტულია სტრატეგიულ პარტნიორობისა და ნატოს ფარგლებში არსებული პროექტები. მხედველობაშია სამხედრო შენაერთების გაძლიერება, აშშ-ის სამხედრო ბაზების არსებობა საკუთარ ტერიტორიაზე, რაც უსაფრთხოების გარანტიებს ქმნის და ა.შ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აშშ-ის, როგორც შუამავლის როლი ევროკავშირთან, რათა მოხდეს თურქეთის ინტეგრაცია ამ ორგანიზაციაში.

თურქეთის რესპუბლიკა ადვილად არ დათმობს საკუთარ სურვილს, აწარმოოს მაქსიმალურად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. შესაბამისად, დიდი ალბათობით, ის გააგრძელებს ნელი სვლით სიარულს ამ მიმართულებით.

ყოველივე ამას, შეიძლება მოჰყვეს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ეკონომიკური სანქციების კიდევ უფრო გაძლიერება.

XXI საუკუნის 10-იან წლებში, მოვლენათა განვითარების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ეს პრობლემები და სირთულეები თურქეთ-დასავლეთის ურთიერთობებში შემდგომაც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გაგრძელდება.

ურთიერთობებში არსებული გაუგებრობების მიუხედავად, უახლოეს პერიოდში ნაკლებად მოსალოდნელია თურქეთის სრულად დისტანცირება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან.

ფაქტია, რომ თურქეთი ვერ გახდება რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე, რადგან ამ ორ ქვეყანას სრულიად განსხვავებული და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის საპირისპირო გრძელვადიანი ინტერესები აქვს. რუსეთ-თურქეთის რეალური დაახლოება შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმის შემდეგ, თუ თურქეთი უარს იტყვის ნატოს წევრობაზე.

თურქეთისა და შეერთებული შტატების ურთიერთობები დიდი გამოწვევის წინაშე დგას. ცხადია, რომ არც ერთ მხარეს არ სურს არსებული ვითარების გამწვავება და ორივე დამაბულობის განმუხტვისაკენ ისწრაფვის. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ სასურველი შედეგის მისაღებად უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო. რთული წარმოსადგენია, რომ მათ შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა დაირღვეს და მეგობრობა მტრობამ ჩაანაცვლოს. თუმცა ფაქტია, რომ დამაბულობა არ ნელდება. ორივე მხარე ფიქრობს ალტერნატივებზე და საკუთარ დღის წესრიგს დამოუკიდებლად აყალიბებს. მხარეთა ეროვნული ინტერესები და საგარეო პოლიტიკის თავისებურებები ერთმანეთისაგან რიგ საკითხებში განსხვავდება, თუმცა საერთაშორისო უსაფრთხოებისაკენ სწრაფვა ყველა სახელმწიფოს მოწოდება უნდა იყოს. თავისთავად საინტერესოა მოვლენათა განვითარება აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პირობებშიც. თურქეთსაც და შეერთებულ შტატებსაც საკუთარი მყარი პოზიცია უკავიათ საერთაშორისო სისტემაში, შესაბამისად, ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთისათვის მუდამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე იქნება, ხოლო ამ ურთიერთდამოკიდებულების თანამშრომლობაში გამოხატვა ყველასთვის უფრო ხელსაყრელი და მომგებიანი.

## გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია:

1. აბაშიძე, 2009 - აბაშიძე ზ., „ცივი ომი - წარსული თუ დღევანდელი“? თბილისი;
2. ბაკურაძე, 2020 - ბაკურაძე ს., თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები ცივი ომის შემდგომ პერიოდში, თბილისი;
3. ბატიაშვილი, 2000 - ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები, თბილისი;
4. ბატიაშვილი, 2018 - ბატიაშვილი ზ., აშშ - თურქეთის დამაბული ურთიერთობები - საქართველოსთვის მოსალოდნელი საფრთხეები და გამოწვევები. უსაფრთხოების მიმოხილვა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. თბილისი;
5. ბატიაშვილი, 2019 - ბატიაშვილი ზ., ახლო აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაცია საკუთარ თავში შეიცავს საფრთხეს, პატარა რიგითი ინციდენტი დიდ კონფრონტაციაში შეიძლება გადაიზარდოს. [www.interpressnews.ge](http://www.interpressnews.ge). 24.01.2019.
6. გაჩეჩილაძე, 2018 - გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი, გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. ტომი I, თბილისი;
7. გაჩეჩილაძე, 2019 - გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი - გეოპოლიტიკა, ტომი II, თბილისი;
8. გრიგალაშვილი, 2009 - გრიგალაშვილი ს., თურქეთი თანამედროვე რეგიონალურ პოლიტიკაში, თბილისი;
9. კუპრეიშვილი, 2016 - კუპრეიშვილი თ., დასავლეთის სახელმწიფოთა ახლო აღმოსავლური პოლიტიკა. დისერტაცია, თბილისი;
10. კოგანი, 2014 - კოგანი ი., რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები და რეალური ვითარება შავი ზღვის რეგიონში. თბილისი;
11. რონდელი, 2006 - რონდელი ა., საერთაშორისო ურთიერთობები, მესამე განახლებული გამოცემა, თბილისი;

12. მაისაია, მალრაძე, 2017 - მაისაია ვ., მალრაძე გ., XXI საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა, რეგიონალური და გლობალური ასპექტები. თბილისი;
13. მაისაია, 2003 - მაისაია ვ., შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი. პარიზი;
14. მაკარაძე, 2019 - მაკარაძე ე., თურქეთის ისტორია - 1918-2018 წლები (სალექციო ჩანაწერები), თბილისი;
15. მაკარაძე, 2017 - მაკარაძე ე., მაკარაძე ბ., თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში. კრებული „აღმოსავლეთმცოდნეობა“, ტ. VI, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი;
16. მაკარაძე, 2017(ა) - მაკარაძე ე., მაკარაძე ბ., თურქეთ-ამშ-ის ურთიერთობები 2002-2017 წლებში. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. შრომების კრებული - „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, ტ. X. გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი;
17. მაკარაძე, 2017(ბ) - მაკარაძე ბ., აშშ და თურქეთის ურთიერთობები ჯ. ბუმის ადმინისტრაციის მმართველობის დროს (1989-1993). თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი;
18. მაკარაძე, 2019 - მაკარაძე ბ., „თურქეთ - ამერიკის შეერთებული შტატები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში (2000-2017 წწ.)“. თბილისი;
19. მაკარაძე, 2018(ა) - მაკარაძე ე., მაკარაძე ბ., თურქეთ - ამერიკის ძირითადი ასპექტები თანამედროვე ეტაპზე. კრებული აღმოსავლეთმცოდნეობა, ტ. VII, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი;



20. მაკარაძე, 2018(ბ) - მაკარაძე ე., მაკარაძე ბ., თურქეთ-ამერიკის ძირითადი პრობლემები დღეს (ინგლისურ ენაზე). გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. შრომების კრებული - „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, ტ. XI. გამომცემლობა, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი;
21. მაკარაძე, 2016 - მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის საშინაო პოლიტიკის პრობლემები, აღმოსავლეთმცოდნეობა, № V. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი;
22. მაკარაძე, 2020 - მაკარაძე ბ., „თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ პერიოდში“. კრებული აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტ. 3. თბილისი;
23. მაკარაძე, 2019 - მაკარაძე ბ., „თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების თანამედროვე გამოწვევები“. კრებული აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტ. 2. თბილისი;
24. მაკარაძე, 2021 - მაკარაძე ე., მაკარაძე ბ., „თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე და საქართველო“. კრებული ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია, ნომერი V. გორი;
25. მანჩხაშვილი, 2014 - თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008, წიგნი თურქულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა მ. მანჩხაშვილმა, თბილისი;
26. მაჩიტაძე, 2003 - მაჩიტაძე ელ., ამერიკა-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ამერიკის შესწავლის საკითხები (ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია), თსუ გამომცემლობა, თბილისი;
27. მაჩიტაძე, 2005 (ა) - მაჩიტაძე ელ., 1980-იანი წლების თურქეთი და აშშ (ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია), ამერიკის შესწავლის საკითხები III. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;
28. მაჩიტაძე, 2005 (ბ) - მაჩიტაძე ელ., „ოქროს ხანა“ ამერიკა - თურქეთის ურთიერთობის ისტორიაში (ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია), რონალდ რეიგანი და 1980 - იანი წლების ამერიკა. თსუ გამომცემლობა, თბილისი;

29. მაჩიტაძე, 2018 - მაჩიტაძე ელ., ნარკვევები თურქეთის ისტორიიდან. გამომცემლობა „კლიო“, თბილისი;
30. მენტეშაშვილი, 2002 - მენტეშაშვილი ზ., ახლო და შუა აღმოსავლეთი XX საუკუნის 90-იან წლებში, ახლო და შუა აღმოსავლეთი (ისტორია და თანამედროვეობა), ტ. I. თსუ გამომცემლობა, თბილისი;
31. სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011 - სანიკიძე გ., ალასანია გ., გელოვანი ნ., ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს-ის დასაწყისი), თბილისი;
32. სვანიძე, 2007 - სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299 – 2000), თბილისი;
33. ხოზრევანიძე, 2019 - ხოზრევანიძე ლ., თურქეთის საგარეო პოლიტიკის ასპექტები, თბილისი;
34. შავრეშიანი, (2020) - შავრეშიანი გ., აშშ-თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობები თანამედროვე პერიოდში, თბილისი;
35. ჩიტაძე, 2007 - ჩიტაძე, ნ., „ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“ - თბილისი;
36. ჯენტლესონი, 2015 - ჯენტლესონი ბ, ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩვენის დინამიკა XXI საუკუნეში, თბილისი;
37. Arı, 2013 - Arı T., Uluslararası İlişkiler Teorileri, (Çatışma, Hegemonya, İşbirliği), 8. Baskı, MKM yayıncılık, Bursa;
38. Atallı, 2009 - Atallı, J., A. “A Brief History of the Future: A Brave and Controversial Look at the Twenty-First Century”, International best seller, Brilliant and Provocative-Henry Kissinger, arcadepublishing, New York;
39. Atatürk, 1992 - Atatürk Kültür, Dil ve Tarih Yüksek Kurulu, Türkçe Sözlük, Cilt:1, Milliyet Yayınları, İstanbul;
40. Ateş, 2014 - Ateş, D., Uluslararası Sistem, Uluslararası Sisteme Giriş, İstanbul, Küre Yayınları;

41. Aydın, 2016 - Aydın, A., Bakıncak, E., Uluslararası Güç Dengesi ve Kültürel Kutupluluk Arasındaki İlişki, C.Ü. İktisadi ve İdari Bilimler Dergisi, 17 (1);
42. Acmaoglu, 1984 - Acmaoglu, F. 20. Yüzyıl Siyasi Tarihi 1914-1980, İktisadi Bankası Kültür Yayınları, İstanbul;
43. Athanassopoulou, 2012 - Athanassopoulou, E. (Ed.). United in diversity. European integration and political cultures. LB. Tauris, London;
44. Bal, 2014 - Bal, İ., Türkiye- Ermenistan İlişkileri, İdris Bal (ed), 21. Yüzyılda Türk Dış Politikası, Nobel Yayın Dağıtım, Ankara;
45. Bağcı, 2008 - Bağcı H. Ertem, „Türkiye Dış Politikasında 1950'li yıllar, ODTU yayınları, 3. bölüm, Ankara;
46. Bilge, 1966 - Bilge, S., Milletlerarası Politika, (A.Ü. Siyasal Bilgiler Fakültesi) Ankara;
47. Baskin, 2010 - Baskin Oran, Türk Dış Politikası, cilt II. 1980-2001, İstanbul;
48. Baskin, 2013 - Baskin Oran, Türk Dış Politikası, Kurtuluş Savaşından Bugüne Olgular, Belgeler, Yorumlar (cilt III. 2001-2012), Bölüm Yazarları: (Ali Dayıoğlu, Baskin Oran, Funda Keskin Ata, İlhan Uzgel, Kudret Özesay, Mitat Çelikpala, Mithat Sancar, Mustafa Aydın, Nuri Yeşilyurt, Samim Akgönül, Sanem Baykal, Seyfettin Gürsel, Tuğrul Arat, Ünal Ünsal), İstanbul;
49. Bernard L, 2004 - Bernard Lewis, The Emergence of Modern Turkey, New York;
50. Brzezinski, 2004 - Brzezinski ZB., The Choice: Global Domination or Global Leadership. New York;
51. Gündüz, 2007 - Gündüz, Ş. „Yasayan Dünya Dinleri“, Diyanet İşleri Bakanlığı Yayınları, №680, Ankara;
52. Graham, 2016 - Graham E. Fuller - Yeni Türkiye Cumhuriyeti, İstanbul;
53. Brzezinski, 2005 - Brzezinski ZB. „Büyük Satranç Tahtası“, Amerika'nın Küresel Üstünlüğü ve Bunun Jeostratejik Gereklilikleri. İstanbul;
54. Davutoğlu, 2012 - Davutoğlu A., Principles of Turkish Foreign Policy and Regional Political Structuring, SAM Vision Papers (No. 3, April );

55. Davutođlu, 2014 - Davutođlu A., Stratejik Derinlik, İstanbul, Ticaret Üniversitesi, Uluslararası İlişkiler Bölümü Öğretim Görevlisi liberal düşünce Yıl 19, Sayı 75;
56. Denk, 2000 - Denk, N. 21 Yüzyıla Girerken Türkiye'nin Jeopolitik Durumu ve Jeostratejik Öneminin Yeniden Belirlenmesi, Harp Akademisi Yayını;
57. Ercan, 2007 - Ercan, M., Ayata, A., Soğuk Savaş Sonrasında Ortaya Çıkan Bölgesel Sorunlar Bağlamında Türkiye-ABD İlişkilerinin Kazandığı yeni Boyutlar, Bilge Dergisi, Atatürk Kültür Merkezi, Dil ve Tarih Yüksek Okulu, (15)/2.;
58. Ertem, 2009 - Ertem, D. „Truman Doctrine and Marshall Planin Türkiye – USA Relations“, Balıkesir Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi. cit 2. №21, Haziran;
59. İbrahim Ö., 2017- İbrahim Ö. Kabođlu, 15 Temmuz Anayasasi, İstanbul;
60. Uzgel İlhan, 2001 - Uzgel İ., „ABD ve NATO'yla İlişkiler“, Baskın Oran (der.) Türk Dış Politikası, Kurtuluş Savaşından Bugüne Olgular, Belgeler, Yorumlar, Cilt II: 1980-2001, İletişim, Ankara;
61. Uslu, 2000 - Uslu, N., 1947'den Günümüze Türk-Amerikan İlişkilerin Genel Portresi, Avrasya Dünyası, ABD özel, 6. Cilt, N: 2, ASAM Yayınları, Ankara;
62. Uzer, 2013 - Uzer, U., XXI Yüzyılda Tek Kutupluluk Tartışmaları, Bilge Strateji, 5(8).;
63. Uzgel, 2002 - Uzgel, İ., „ABD ve NATO'yla İlişkiler“, Baskın Oran (Ed), Türk Dış Politikası Kurtuluş Savaşından Bugüne Olgular, Belgeler, Yorumlar, Cilt II:1980-2001, İstanbul: İletişim Yayınları;
64. Sönmezođlu, 2000 - Sönmezođlu F., Uluslararası Politika ve Dış Politika Analizi, İstanbul, Filiz Kitabevi yayınları;
65. Sönmezođlu, 2006 - Sönmezođlu F., II. Dünya Savaşı'ndan Günümüze Türk Dış politikası, İstanbul, Der Yayınları;
66. Çađrı, 2003 - Çađrı E., „,ABD'nin Orta Asya Politikası ve 11 Eylül Sonrası Yeni Açılımları“;
67. Obama, 2009 - Obama Dönemi Türk-Amerika İlişkileri, Seta Siyaset, Ekonomi ve Toplum Araştırmaları Valfi, Seta Analiz, sayı 8, Nisan, yayın hakları mahfuzdur, İstanbul;

68. Olson, 2002 - Olson, R., „Türkiye'nin Suriye, İsrail ve Rusya ile ilişkileri: 1979-2001“ . İstanbul;
69. Özel, Yılmaz ve Akyüz, 2011- Özel, Yılmaz ve Akyüz, Turkish - American Relations for a New Era: A Turkish Perspective, İstanbul;
70. Türkiye Tarihi, 2005 - № 5, Bugünkü Türkiye (1980-2003), İstanbul;
71. Toklu, 2006 - Toklu, V., uluslararası İlişkiler, İmaj Yayınevi, Ankara;
72. Turan, 2016 - Turan, K., 2015 Yılından ABD'nin Ortadoğu Politikası, Stratejik Devirlikte Savrula-Türk Dış Politikası, (ed: Özdağ, Ü., Demirağ Y., ) Kripto yayınevi, Ankara;
73. TUIÇ, 2009 - TUIÇ AKADEMİ – Türkiye Uluslararası İlişkiler Çalışmaları - <https://tuicizmiryazbulusmasi.blogspot.com/2009/07/akademi-hususunda-yaklasmlar.html>;
74. Türkman, 2007 - Türkman, S. „ABD ortadoğu ve Türkiye“. sale yayın dağıtım. Ankara;
75. Sina A, 2018 - Sina Akşin, Kısa Türkiye Tarihi, İstanbul;
76. Şuhnaz, 2011 - Şuhnaz Yılmaz Özbağcı, „Türkiye ve Batı Dün Yası“, XXI. Yüzyılda Türkiye'nin Bölgesel Dış Politika Uygulamaları, İstanbul;
77. Makaradze, 2018 - Makaradze E., Makaradze B., The Relations between the Republic of Turkey and the United States of America at the Present Stage. Journal of International Relations and Foreign Policy. June 2018, Vol. 6, No. 1, ISSN: 2333-5866 (Print), 2333-5874 (Online);
78. Maersheimer, 1990 - Maersheimer, J., Backtothe Future: İnstability in Europe After the ColdWar”, İnternational Security, 15 (1);
79. Nasul, 2000 - Nasul Uslu. „ 1947'den günümüze Türk – Amerikan ilişkilerin genel portresi“, Avrasya dösiyasi, cilt 6. №2, ASAM yayınları, Ankara;
80. Nezir Ö, 2018 - Nezir Özgen, Türkiye Tarihi, İzmir;
81. Kaya, 2017 - Kaya, F., Coğrafi Potansiyelleri Temelinde Türkiye Jeopolitiği ve Dünya Siyasetindeki Yeri, Ağrı İbrahim Çeçen Üniversitesi Siyasal Bilimler Enstitüsü Dergisi, Ulusal Hakemli dergi, Ekim 3/2.;
82. Köni, 2003 - Köni, H., Yeni Hegemonya ve Türkiye, Asam yayınları, Ankara;

83. Korkmaz , 2009 - Korkmaz T., „Ankara Vashington hattı“, Ankara;
84. Küçükşahin, 2007 - Küçükşahin, A., Akkan, T., Değişen Güvenlik Algılamaları Işığında Tehdit ve Asimetrik Tehdit, Güvenlik Stratejileri Dergisi, Yıl:3, Sayı: 5, Haziran;
85. Kuloğlu, 2003 - Kuloğlu, A., Soğuk Savaş Sonrası Bozulan Dengeler Irak Krizi ve Bölgesel İstikrar Arayışları, Stratejik Analizi, Asam Yayınları, No: 44, Aralık;
86. Kürkçüoğlu, 1980 - Kürkçüoğlu, Ö., Dış Politika Nedir? Türkiye'nin Dünü ve Bugünü, Ankara Üniversitesi SBF Dergisi, cilt 35, N: 1, Ankara;
87. Çağrı, 2004 - Çağrı E. Türkiye-ABD İlişkilerinin Mantıksal Çerçevesi, İdris Bal (ed), 21.Yüzyılda Türk Dış Politikası, Ankara: Nobel Yayın Dağıtım;
88. Halford, 1962 - Halford J. M., Democratic Ideals and Reality, New York, Norton;
89. Paul, 2004 - Paul, T. V., Balance of Power Theory and Practice 21st Century, Stanford University Press, Londra;
90. Lewis, 2002 - Lewis Bernard, The Emergence of Modern Turkey, New York Oxford Oxford University Press;
91. Zurcher. 2017- Zurcher Erik Jan, Turkey: A Modern History, Amsterdam, 2017.
92. Waltz, 1993 - Waltz, K. N., The emerging structure of international politics, International security, 18.;
93. Т. Атаёв, 1973 - Атаёв Т., США, НАТО И ТУРЦИЯ, Москва;
94. Гасратян, Орешкова, Петросян, 1983 - Гасратян М. А., Орешкова С. Ф., Петросян Ю. А. Очерки истории Турции. Москва;
95. Киреев, 2007 - Киреев Н. Г., История Турции XX век, Москва;
96. ТУРЦИЯ XX ВЕК, 2002 - (сборник обзоров), Москва.

### ინტერნეტ მასალა

97. ბარამიძე, 2020- ბარამიძე გ., ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირანს სანქციები დაუწესა. 18.03.2020. <https://1tv.ge/news/ashsh-ma-irans-sanqciebi-dauwesa/>

98. ბატიაშვილი, 2021 - ბატიაშვილი, ზ., რა ემართება თურქულ ლირას? საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.  
[https://www.gfsis.org/ge/publications/view/3080?fbclid=IwAR17Cscr0IOqvQC4NFS\\_NVGT2lpwy\\_NaSPRA\\_g6yHDNhjoJtpKfUNqHAXZZA](https://www.gfsis.org/ge/publications/view/3080?fbclid=IwAR17Cscr0IOqvQC4NFS_NVGT2lpwy_NaSPRA_g6yHDNhjoJtpKfUNqHAXZZA);
99. თურქეთ-ამერიკის კრიზისი: გამოწვევა თუ შანსი საქართველოსთვის. 21 თებერვალი, 2018. <http://www.ghn.ge/news/197659>;
100. თურქეთი შავ ზღვაში რუსეთის დაბალანსებას ცდილობს - სამხედრო დრონები უკრაინას (გამოქვეყნებული-24/01/2019) <https://www.amerikiskhma.com/a/turkey-ukraine-deepen-military-cooperation/4756097.html>;
101. ნოზაძე, 2014 - მანანა ნოზაძე მ., „თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანს დედის მხრიდან ლაზი ბებია ჰყავდა“. 4 სექტემბერი, 2014. [HTTPS://FOR.GE/VIEW/34364/TURQETIS-PREZIDENT-ERDORANS-DEDIS-MXRIDAN-LAZI-BEBIA-HYAVDA.HTML](https://FOR.GE/VIEW/34364/TURQETIS-PREZIDENT-ERDORANS-DEDIS-MXRIDAN-LAZI-BEBIA-HYAVDA.HTML)
102. რუბინი, 2019 - რუბინი მ., ამერიკა-თურქეთის დაპირისპირების გამო საქართველო ორ ცეცხლს შორისაა მოქცეული. [www.amerikiskhma.com/a/interview-with-michael-rubin/4753234.html](http://www.amerikiskhma.com/a/interview-with-michael-rubin/4753234.html). 22 იანვარი, 2019;
103. ოზამა, 2010 - ოზამა ბ., ბარაკ ოზამას საგარეო პოლიტიკა - „ჭკვიანი ძალა“ თუ იდეალიზმი, <http://nasrashvili.blogspot.com/2010/06/blog-post.html>;
104. რექს ტილერსონმა სენატში საგარეო პოლიტიკის კითხვებს უპასუხა, <http://www.trt.net.tr/georgian/msoplio/2017/01/12/rek-s-tilersonma-senatshi-sagareo-politikis-kit-xvebs-upasuxa-649606>;
105. ერდოღანის და ტრამპის შეხვედრა დასრულდა, 17 მაისი, 2017. <https://imedinews.ge/ge/msoplio/13037/erdoganis-da-trampis-shekhvedra-dasrulda>;
106. [http://www.stradigma.com.turkce/kasim2003/vizyon\\_sayi\\_10pdf.](http://www.stradigma.com.turkce/kasim2003/vizyon_sayi_10pdf.);
107. <http://www.jimmycarterlibrary.org/documnets/speeches/su80jec.phtml>.

108. <http://www.Census.gov/ compendia/ statab/2012/tables/ 12s1296. pdf> (Erişim: Kasım 2011);
109. <http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2011/November/tradoc-148 368. pdf> (Erişim: Kasım 2011);
110. <http:// www. ekonomi. gov. tr/upload/ AB3A4280-D8D3-8566-45206F45BBCC409C/ eko06. xls> ve <http:// www. ekonomi. gov.tr/ uplod/ AB416E2E-D8D3-8566-4520 CBA68933A272/eko07. xls> (Erişim: Kasım 2011).
111. [http://thezeitgeistmovement.se/files/Books/Brzezinski The\\_Grand\\_Chessboard.pdf](http://thezeitgeistmovement.se/files/Books/Brzezinski The_Grand_Chessboard.pdf).
112. Kenneth N. Waltz, “Realist Thought and Neorealist Theory,” *Journal of International Affairs*, Vol. 44, Spring 1990.
113. Turkey’s Relations With NATO and EU (გამოქვეყნებულია - 31/08/2018) [https://orientalreview.org/2018/08/31/turkeys-relations-with-nato-and- eu/?fbclid= IwAR 2Fgp2Vr\\_IUPIzfHaMaWk085P0uQecliUYjSt- CKsZY\\_KCXw8KYmM9cubU;](https://orientalreview.org/2018/08/31/turkeys-relations-with-nato-and- eu/?fbclid= IwAR 2Fgp2Vr_IUPIzfHaMaWk085P0uQecliUYjSt- CKsZY_KCXw8KYmM9cubU;)
114. TURKEY RELATIONS WITH NATO AND RUSSIA: A FOREIGN POLICY IMPASSE? (გამოქვეყნებულია -28/09/2018) [http://turkishpolicy.com/ article/918/ turkey s-relations- with-nato-russia-a-foreign-policy- impasse? fbclid=IwAR1 QXpo SO7yoxW26RFnukVfuk3e76PQMYJVYCeqr\\_mAR2N2qpMO1TzbYU;](http://turkishpolicy.com/ article/918/ turkey s-relations- with-nato-russia-a-foreign-policy- impasse? fbclid=IwAR1 QXpo SO7yoxW26RFnukVfuk3e76PQMYJVYCeqr_mAR2N2qpMO1TzbYU;)
115. წარსული-აწმყო-მომავალი ნატო- თურქეთის ურთიერთობები (გამოქვეყნებულია -13/01/2017) - <http://yata.ge/ge/?p=1216-;>
116. ერთად უსაფრთხოებისთვის. ნატოს გაცნობა (გამოქვეყნებულია 20.09. 2018) [https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/pdf\\_publications/20120118\\_nato\\_securityka;](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20120118_nato_securityka;)
117. Türkiye’nin NATO’ya Girişi (გამოქვეყნებულია 15/07/ 2011) [https:// www. tarihbilimi. gen.tr/makale/turkiyenin-natoya-girisi/;](https:// www. tarihbilimi. gen.tr/makale/turkiyenin-natoya-girisi/)
118. Türkiye’nin NATO’ya Katılması (გამოქვეყნებულია-09/11/2018) <https:// www. tarihbilimi. gen.tr/makale/turkiyenin-natoya-girisi/ ;>



119. TÜRKİYE'NİN NATO'YA GİRİŞİ VE ÖDEDİĞİ BEDEL (გამოქვეყნებული-20/04/2014)[https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/pdf\\_publications/20120118\\_nato\\_security\\_ka.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20120118_nato_security_ka.pdf);
120. რა არის ნატო? [https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/pdf\\_publications/20180212\\_171208-What\\_is\\_NATO\\_GEO\\_v1.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20180212_171208-What_is_NATO_GEO_v1.pdf) ;
121. ტრუმენის დოქტრინა - <https://history.state.gov/milestones/1945-1952/truman-doctrine> ;
122. Start of the Cold War - The Truman Doctrine and the Marshall Plan <https://www.khanacademy.org/humanities/us-history/postwarera/postwar-era/a/start-of-the-cold-war-part-2> ;
123. ნატოს შექმნის ძირითადი მიზეზები (გამოქვეყნებულია-2008)-<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0--0---0prompt-10401110-ka-50---20-about00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.15&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.5.fc>;
124. Türkiye'nin NATO'ya giriş süreci (გამოქვეყნებულია - 06/05/2012) <https://www.evrensel.net/haber/28465/turkiyenin-natoya-giris-sureci> ;
125. ABD-Türkiye ilişkileri: 1960'lardan bugüne yaşanan krizler (გამოქვეყნებულია - 2/08/2018) <https://www.bbc.com/turkce/haberler-dunya-41553003>;
126. ნატო VS რუსეთი - შავი ზღვა დაპირისპირების ახალ კერად იქცევა? (გამოქვეყნებულია 18/07/2016) <https://www.kvirispalitra.ge/samkhedro-thema/30687-nato-vs-rusethi-shavi-zghva-dapirispirebis-akhal-kerad-iqceva.html>;
127. შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები და მონტროის კონვენცია (კონვენციის მე - 80 წლისთავისთვის) <https://scara.gov.ge/2011-09-08-07-44-18/824--80-.html>;
128. შავი ზღვის გეოგრაფიული მახასიათებლები (გამოქვეყნებულია 20/03/2015) [https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE\\_UNDP\\_EE\\_Black\\_Sea\\_Box\\_Geo](https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_EE_Black_Sea_Box_Geo);

129. ცივი ომის 6 დამახასიათებელი ეპიზოდი (02/04/2014)<http://kvira.ge/26792https://militarium.org> - ცივი ომის სამხედრო ანალოზი;
130. Турция и НАТО: история любви и ненависти (გამოქვეყნებულია - 03/07/2019)[https://topwar.ru/143800-turciya-i-nato-istoriya-lyubvi-i-nenavisti.html?fbclid=IwAR03K\\_WKFZTJ1vVpMhfi2aITfU-q8XAumPnIQXo-oSDmJHkJeqTVUN9p6os](https://topwar.ru/143800-turciya-i-nato-istoriya-lyubvi-i-nenavisti.html?fbclid=IwAR03K_WKFZTJ1vVpMhfi2aITfU-q8XAumPnIQXo-oSDmJHkJeqTVUN9p6os);
131. რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში (გამოქვეყნებულია - 21.03.2016) - <https://politicalreviewer.wordpress.com/2016/03/21/realism-international-relations/>.
132. Onar, N., Neo Ottomanism, Historical Legacies and Turkish Foreign Policy, GMF, 2009; file:///C:/Users/41814/Downloads/TurkeyOnar\_Neo\_Ottomanism%20(1).pdf
133. Wigen, E., Turkish Neo-Ottomanism: A Turn to the Middle East?, Security Policy Library, 2009; <http://www.atlanterhavsko.miteen.no/files/atlanterhavsko.miteen.no/Documents/Publikasjoner/Sik.pol.bibliotek/2009/SPB%203-2009.pdf>;
134. Crossette, B. U. S. Remains Moscowcentric on once-soviet Asia//The New York Times. May 31, 1992;
135. Seib, G. Campaign '92 The Absent Agenda: Neither Candidate Discusses the Need to Reform Foreign Aid in Response to the Cold War's. 1992;
136. Prager, R. Turkish-American Relations: Historical Context and Current Issues. Washington, DC: Georgetown university. 2003;
137. Weymouth, L. Turkey's New Leader Keeps His Distance // The Washington Post. February 21, 1992;
138. Athanassopoulou, E. American-Turkish Relations since the End of the Cold War. P. 151;
139. Goshko, J., Lardner G. In Iraqi Kurds' Plight, Problems for U.S. // The Washington Post. March 5, 1992;

140. Kalemkerian, P. Turkey Has no Right to Attack Kurds // Washington twp. March 8, 1992;
141. Harden, B. Turkish Premier Voices Worries over Pull of Ethnic Conflict in Caucasus // The Washington Post. March 19, 1992;
142. Altinors, M. A. (2017). Turkish Foreign Policy during WW2. Asian Journal of Social Science Studies.Vol.2,NO4.5-7.<http://journal.julypress.com/index.php/ajsss /article/view/224>;
143. Cagaptay, S. (2017). The New Sultan: Erdogan and the crisis of modern Turkey. London: I.B. Tauris.;
144. Demet, L. (2016). „Creating a Pious Generation: Youth and Education Policies of the AKP in Turkey“. Southeast European and Black Sea Studies 16, no.4. 637–649;
145. Georgy, M. Ozkan, M. (2016). „Conspiracy Theories Flourish after Turkey’s FailedCoup“, Reuters, July 27, 2016.;
146. Grigoriadis, I. (2010). The Davutoglu Doctrine and Turkish Foreign Policy. Hellenic Foundation for European and Foreign Policy. Working Paper NO 8/210. 4-6. [www.eliamep.gr](http://www.eliamep.gr);
147. Kandiyoti, D., and Emanet. Z. (2017). „Education as Battleground: The Capture of Minds in Turkey“. Globalizations 14, no. 6. 869–876;
148. Larabee, S.F. (2010). Troubled Partnership: USA-Turkish Relations in an Era of Global Geopolitical Change. RAND Corporation Monograph Series. 119-121. [www.rand.org](http://www.rand.org);
149. Muller, Jan-Werner. What Is Populism? Philadelphia, PA: University of Pennsylvania Press, 2016;
150. New Time News (2017, December 7).<https://www.youtube.com /watch?v=LIL0YfaXl3Q&t=25s>;

151. Saidel N & Finkelstein C. (2018). Turkey`s Eastern Pivot: A Challenge for Nato and a Threat to US National security. A Report by the Center of Ethics and the Rule of Law, University of Pennsylvania. 01/19/2018. 3-12.;
152. Sozen, A. (2010). A Paradigm Shift in Turkish Foreign Policy: Transition and Challenges. *Turkish Studies*. Vol 11. 103-123. <https://doi.org/10.1080/14683841003747062>;
153. Walker, J. (July-September, 2007). "Learning Strategic Depth: Implications of Turkey`s New Foreign Policy Doctrine". *Insight Turkey*, Vol.19. NO3. 32-47;
154. Warning, M., Kardas, T. (Summer-Fall, 2011). The Impact of Changing Islamic Identity on Turkey`s New Foreign Policy. *Turkish Journal of International Relations*. Vol. 10, NO. 2-3. 158-160. [www.alternativesjournal.net](http://www.alternativesjournal.net);
155. Wendt, A. (Summer, 1995). Constructing International politics. *International Security*. Vol.20. NO.1. 71-81. <https://www.jstor.org/stable/2539217>
156. Wendt, A. (2000). *Social Theory of International Politics*. Cambridge: Cambridge University Press;
157. Yilmaz, I., Bashirov G. (2018). The AKP after 15 Years : Emergence of Erdoganism in Turkey, *Third World Quarterly*. DOI: 10.1080/01436597.2018.1447371. 5-12.;
158. „Turkey Makes Up With Russia; America Also Needs To End New Cold War With Moscow“; Doug Bandow; 05.07.2016; ბიზნეს ანალიტიკური გამოცემა „ფორბსი“  
 ობ.: <http://www.forbes.com/sites/dougbandow/2016/07/05/turkey-makes-up-with-russia-america-also-needs-to-end-new-cold-war-with-moscow/#54f938f8332b>
159. With friends like these: Turkey, Russia, and the end of an unlikely alliance; Asli Aydintaşbaş; 23.06.2016; საგარეო ურთიერთობათა ევროპული საბჭოს ვებ-გვერდი. ობ.: [http://www.ecfr.eu/publications/summary/with\\_friends\\_like\\_these\\_turkey\\_russia\\_and\\_the\\_end\\_of\\_an\\_unlikely\\_7048](http://www.ecfr.eu/publications/summary/with_friends_like_these_turkey_russia_and_the_end_of_an_unlikely_7048);

160. Советник Эрдогана: Турция будет применять силу в случае угрозы нацбезопасности; 26.02.2016; რუსეთის საინფორმაციო სააგენტო. იხ.: <http://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/2698127>;
161. Le Figaro: почему Запад поддержал “демократического диктатора” Эрдогана?; 18.07.2016; საინფორმაციო სააგენტო „კურსორინფო“ იხ.: <http://cursorinfo.co.il/news/prensa/2016/07/18/Le-Figaro-pochemu-zapad-podderzhal-demokraticheskogo-diktatora-erdogana/>.